

დამხმარე სახელმძღვანელო კვდამობებიისათვის



B1+

სავარჯიშო
რვეული

2018



**დამხმარე
სახელმძღვანელო
პედაგოგებისათვის**

სავარჯიშო რვეული

B1+

თბილისი
2019

**„დამხმარე სახელმძღვანელო პედაგოგიებისათვის“ B1+
სავარჯიშო რვეულზე მუშაობდნენ:**

**ჯგუფის ხელმძღვანელი და მეთოდისტი:
ნანა შავთვალაძე**

**დარგობრივი ექსპერტი:
მზია სულამანიძე**

**ავტორები:
ნანა შავთვალაძე
ნანა ჭირაშვილი**

**რედაქტორი:
ნანა ფრუიძე**

© (სსიპ) ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო
ადმინისტრირების სკოლა



საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო



დაკაბადონდა და დაიბეჭდა
შპს “New and Grand”-ში

ISBN 978-9941-8-0874-6

დამხმარე სახელმძღვანელო პედაგოგებისათვის – სარჩევი

თავი I ეროვნული სასწავლო გეგმა

ნაწილი I. სკოლა და საზოგადოება.....	5
ნაწილი II. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები (ზგემ).....	11
ნაწილი III. ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითადი ორიენტირები.....	19

თავი II ესგ და საგანმანათლებლო პრინციპები

ნაწილი I. საგანმანათლებლო პრინციპები.....	26
ნაწილი II. საგნობრივი სასწავლო გეგმა.....	33
ნაწილი III. სასწავლო გეგმები.....	39

თავი III კონსტრუქტივისტული სწავლა და სწავლება

ნაწილი I. სწავლა კეთებით, სწავლა აღმოჩენებით.....	46
ნაწილი II. კონსტრუქტივისტული თეორია.....	53
ნაწილი III. ინტერაქტიური სწავლება და სასწავლო გარემო.....	59

შემაჯამებელი I. 65**შუალედური შეფასების ტესტი 72****თავი IV სააზროვნო უნარების განვითარება**

ნაწილი I. სწავლების მეთოდები	80
ნაწილი II. ცოდნის ტრანსფერი და ინტეგრირებული სწავლება.....	87
ნაწილი III. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) გამოყენება სასწავლო პროცესში.....	93

თავი V ქცევის მართვა

ნაწილი I. ბიჰევიორისტული თეორია.....	100
ნაწილი II. კლასის მართვა.....	106
ნაწილი III. სწავლა მოდელზე დაკვირვებით.....	112

თავი VI შეფასება

ნაწილი I. მოსწავლის შეფასება.....119

ნაწილი II. შეფასების მეთოდები და ინსტრუმენტები.....125

ნაწილი III. მასწავლებლის შეფასება.....132

შემაჯამებელი II.....138

საბოლოო შეფასების ტესტი146

მოსასმენი დიალოგები.....155

პასუხები.....169

ეროვნული სასწავლო გეგმა

ნაწილი I

სკოლა და საზოგადოება

1.1. ა) დააკავშირეთ სიტყვები ერთმანეთთან:

ნიმუში: 3 ბ – სრულფასოვანი მოქალაქე

- | | |
|------------------------|--------------------|
| 1. საგანმანათლებლო | ა) მიზანი |
| 2. თანაბარი | ბ) მოქალაქე |
| 3. სრულფასოვანი | გ) გარემო |
| 4. სკოლის | დ) სახელოსნო |
| 5. დასახული | ე) დაწესებულება |
| 6. კეთილმოწყობილი | ვ) მისია |
| 7. სასწავლო | ზ) მონაწილეობა |
| 8. ემოციური | თ) კუთვნილება |
| 9. რელიგიური | ი) პირობები |
| 10. უსაფრთხო | კ) პროცესი |
| 11. აქტიური | ლ) მხარდაჭერა |

ბ) ჩასვით შესიტყვება შესაბამის წინადადებაში. გაითვალისწინეთ, ზოგჯერ საჭიროა სიტყვისთვის ფორმის შეცვლა:

ნიმუში: სრულფასოვანი მოქალაქეების ერთობლიობა ქმნის საზოგადოებას.

- საკლასო ოთახებისა და ბიბლიოთეკის გარდა, სკოლაში ასევე უნდა იყოს
- სკოლა არის, რომლის მთავარი დანიშნულება დამოუკიდებელი მოქალაქის აღზრდაა.
- ოჯახში ბავშვს სჭირდება
- ჩვენს სკოლაში მართლაც არის ფიზიკურად კომფორტული და
- ბავშვებს ყოველთვის აქვთ
- თქვენი აზრით, რა არის?
- უნდა იყოს ყველა მოსწავლისთვის, მათ შორის, განსხვავებული რასის, რელიგიური თუ ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებისთვისაც.
- დღეს ჩვენს სასკოლო ცხოვრებაში აუცილებელია მშობლების
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მომზადებული დოკუმენტის საფუძველზე, სკოლებმა დაგეგმეს
- მოსწავლეებს, მათი რასის, ეთნიკური და მიუხედავად, აქვთ საჭირო უნარ-ჩვევების შექმნის ერთნაირი შესაძლებლობა და, რა თქმა უნდა, სსსმ პირებსაც.

1.2. შეავსეთ ცხრილი, ჩასვით ზმნები სწორი ფორმით ნიმუშის მიხედვით და შეადგინეთ წინადადებები მომავალ დროში:

ნიმუში: ჩვენ **ჩამოვყალიბებთ** ისეთ გუნდს, რომელიც აქტიურად ითანამშრომლებს სკოლის ადმინისტრაციასთან.

გუშინ მთელი დღე	გუშინ	დღეს	ხვალ	უნდა
აყალიბებდა	ჩამოაყალიბა	აყალიბებს	ჩამოაყალიბებს	ჩამოაყალიბოს
	უზრუნველყო			
			გაავრცელებს	
				ჩაატაროს

1. მე
2. ისინი
3. ჩვენ
4. ის
5. თქვენ
6. ისინი
7. ჩვენ
8. შენ
9. ის
10. ისინი

1.3. ხაზი გაუსვით ზმნის სწორ ფორმას:

ნიმუში: ხვალ სკოლის ადმინისტრაცია **გაავრცელებს/ჩაატარებს განცხადებას** სასკოლო კონკურსში მონაწილეობის შესახებ.

1. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ **ჩამოაყალიბა/ჩაატარა** კონფერენცია ინკლუზიური განათლების შესახებ.
2. მათ შეხვედრაზე იმაზე ისაუბრეს, რაც **ქმნის/ავრცელებს** უსაფრთხო გარემოს სკოლებში.
3. მომავალი წლიდან ჩვენ **ვიმუშავებთ/ხელს შევუწყობთ** სსსმ ბავშვებთან.
4. გუშინ დირექტორთან შეხვედრაზე პედაგოგებმა და სასწავლო ნაწილმა **გააანალიზეს/იმსჯელეს** სხვადასხვა საკითხზე.
5. ნინო ხვალ მონაწილეობას **იფიქრებს/მიიღებს** სკოლის ადმინისტრაციის მიერ მომზადებულ კონფერენციაზე.
6. სკოლის გარდა, მშობლები და საზოგადოებაც უნდა **დაეხმარონ/დააკავშირონ** ბავშვს პიროვნებად ჩამოყალიბებაში.

7. ჩვენ ყოველთვის **ვითვალისწინებთ/ვცდილობთ** ჩვენი მოსწავლეების ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და ვრთავთ მათ სპორტულ თუ ფიზიკურ აქტივობებში.
8. ის მოსწავლე, ვინც **გააგრძელებს/მიაღწევს** სწავლას გერმანიაში, შეიძენს ცოდნას, რომელიც დაეხმარება წარმატებაში.
9. ჩვენ ვიმუშავებთ საკითხებზე, რომლებიც **ჩამოაყალიბებს/უზრუნველყოფს** მოსწავლეების ჩართულობას სხვადასხვა აქტივობაში.
10. სკოლა მოსწავლეს აძლევს ცოდნას და **უვითარებს/ზრუნავს** საჭირო უნარ-ჩვევებს.

1.4. წაიკითხეთ წინადადებები და მოცემული სიტყვები ჩასვით ნიმუშის მიხედვით; გამოიყენეთ კონსტრუქცია: ... ნათ. ბრ. -ის გარდა

ნიმუში: (ჯანსაღი ცხოვრების წესი) ჯანსაღი ცხოვრების წესის გარდა, ბავშვებთან ტოლერანტობასა და უსაფრთხოებაზე საჭირო საუბარი.

1. (მასწავლებლები)....., მშობლებიც მონაწილეობენ სასკოლო ცხოვრებაში.
2. ჩვენს სკოლაში (ბიბლიოთეკა)....., სპორტული დარბაზიც კეთილმოწყობილია.
3. წელს (კონკურსები), სხვადასხვა შეხვედრის ჩატარებასაც ვგეგმავთ.
4. (ცოდნის შექმნა)....., აუცილებელია მოსწავლეებში საჭირო უნარ-ჩვევების განვითარება.
5. (სსსმ პირები), შშმ ბავშვებზე აქტიურად მონაწილეობენ სასწავლო პროცესში, რადგან ყველა ბავშვს აქვს ცოდნის შექმნის შესაძლებლობა.
6. (ეთნიკური ჯგუფები), რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლებსაც უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, ისწავლონ თანაბარ პირობებში.
7. (დამოუკიდებელი პიროვნება), მნიშვნელოვანია სკოლამ აღზარდოს სრულფასოვანი მოქალაქე.
8. (სკოლა)....., საჭიროა ბავშვების აღზრდაში მშობლებისა და საზოგადოების აქტიური მონაწილეობა.
9. (კომფორტული), სკოლის გარემო უნდა იყოს ემოციურად უსაფრთხო.
10. მასწავლებელმა (საინტერესო აქტივობები), უნდა დაგეგმოს სახალისო აქტივობებიც.

1.5. ა) ჩასვით წინადადებებში ზმნები მომავალი დროის ფორმით ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: თუ მასწავლებელი წინასწარ (დაგეგმვა) დაგეგმავს გაკვეთილს, მისი ჩატარებული გაკვეთილი ყოველთვის ეფექტური (ყოფნა) **იქნება.**

1. თუ მასწავლებლები და მშობლები (თანამშრომლობა), ბავშვებს უფრო ახლო ურთიერთობა (ქონა) მათთან.
2. თუ პედაგოგები (ჩატარება) საინტერესო და მრავალფეროვან გაკვეთილებს, ბავშვებისთვის სწავლის პროცესი სახალისო (ყოფნა)
3. თუ მოსწავლეები (მოძებნა) ინტერნეტში ინფორმაციას, თვითონ (მომზადება)
..... პრეზენტაციებს.

- 4. თუ ბავშვები (საუბარი) აქტუალურ თემებზე, ისინი თავისუფლად (მსჯელობა) სხვადასხვა საკითხზე.
- 5. თუ სკოლა (უბრუნველყოფა) უსაფრთხო გარემოს, ბავშვები ხალისით (სწავლა)..... .

ბ) ჩასვით წინადადებებში ზმნები მომავალი დროის ფორმით ნიმუშის მიხედვით და გამოიყენეთ კონსტრუქცია: თუ..., მაშინ ...:

ნიმუში: თუ ბავშვს (აქვს) **ექნება** მოტივაცია, **მაშინ** ის ყველა საგანს ადვილად (სწავლობს) **ისწავლის**.

- 6. სკოლის ადმინისტრაცია (ავრცელებს) განცხადებას კონკურსის შესახებ შუადღის სამ საათამდე, ყველა ბავშვი (იღებს) მონაწილეობას.
- 7. პედაგოგები და მოსწავლეები (აყალიბებენ) ერთმანეთთან თბილ ურთიერთობებს, მათ შორის ნაკლები პრობლემები (არის)
- 8. სკოლა ვერ (უვითარებს) სსსმ პირებს საჭირო უნარ-ჩვევებს, ახალ მასალასაც ადვილად ვერ (ითვისებენ) ასე სკოლა ვერ შეძლებს ინფორმაციის სრულყოფას.
- 9. მასწავლებლები და მოსწავლეები ორიენტირებულები (არიან) სწავლა-სწავლების გაუმჯობესებაზე, ისინი (აღწევენ) დასახულ მიზანს.
- 10. მოსწავლეს არ (აქვს) მოტივაცია, რთული (არის) მასთან მუშაობა.

1.6. მოცემული სიტყვებისა და ზმნების გამოყენებით შეადგინეთ მოკლე ტექსტი სკოლის შესახებ და დაარქვით სათაური:

მისია, მასწავლებლები, სკოლის ადმინისტრაცია, მიზანი, მოსწავლეები, ეთნიკური ჯგუფები, უნარ-ჩვევები, ბიბლიოთეკა, მშობლები, უსაფრთხო გარემო, მრავალფეროვანი, მოქალაქე, სსსმ პირი, პირობები, აქტივობები, ჩატარება, უბრუნველყოფა, გავრცელება, ჩამოყალიბება, ხელის შეწყობა.

1.7. წაიკითხეთ მოცემული წინადადებები. აღნიშნეთ სწორი (+) და არასწორი (-) ინფორმაცია:

1.	სწავლა-სწავლების პროცესში აუცილებელია სასიამოვნო და უსაფრთხო გარემო.	+
2.	თამაში ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვის განვითარებისთვის.	
3.	დღეს მოსწავლეები აქტიურად იყენებენ ინტერნეტს.	
4.	თუ ბავშვს აქვს სკოლაში პრობლემა, საჭიროა ილაპარაკოს ამ პრობლემის შესახებ მისთვის მნიშვნელოვან ადამიანთან (მშობელთან, მასწავლებელთან და სხვ.)	
5.	მოსწავლეებს ხშირად აქვთ კომუნიკაციის პრობლემა თანატოლებთან, მშობლებთან ან მასწავლებლებთან.	
6.	მშობლისა და მასწავლებლის გარდა, საჭიროების შემთხვევაში აუცილებელია სპეციალისტის დახმარებაც.	
7.	ბავშვები კონკურსებში არ იღებენ მონაწილეობას.	
8.	ქალაქების გარდა, ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრები სოფლებშიც უნდა იყოს.	
9.	სასკოლო ცხოვრება ერთფეროვანია, არ აწყობენ ექსკურსიებს და ასევე არ ატარებენ დიდ შეხვედრებს. ეს არის სწავლის პროცესის სრულყოფა.	
10.	მნიშვნელოვანია მთელი სასწავლო პროცესის დაგეგმვა.	

1.8. ა) წაიკითხეთ ტექსტი და დაადგინეთ:

- რაზე იმსჯელეს შეხვედრაზე?
- ვინ იყვნენ მონაწილეები?
- ვის მიერ იყო ორგანიზებული შეხვედრა?

სკოლა და საზოგადოება

გუშინ სკოლის დირექტორებსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებს შორის გაიმართა შეხვედრა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ შეხვედრას პედაგოგებიც ესწრებოდნენ. შეხვედრაზე იმსჯელეს არა მარტო სასწავლო გეგმასა და გაკვეთილის პროცესებზე, არამედ სკოლისა და საზოგადოების ურთიერთობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზეც.

მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ რაც უფრო ახლო ურთიერთობა ექნება სკოლას საზოგადოებასთან, სასკოლო ცხოვრება უფრო მრავალფეროვანი გახდება. სკოლის დირექტორმა, ბატონმა ზაზამ, აღნიშნა, რომ

რაც უფრო ახლო იქნება კავშირი სკოლასა და საზოგადოებას შორის, უფრო ნაკლები კონფლიქტი იქნება და ნაკლები განსხვავება იქნება მათ ინტერესებსა და მიზნებს შორის, რაც სკოლას უკეთესობისკენ შეცვლის.

სამინისტროს წარმომადგენელი, ბატონი გიორგი, მიიჩნევს, რომ ორივე მხარის ინტერესები უნდა იყოს გათვალისწინებული. მისი აზრით, პიროვნების ფორმირებისთვის აუცილებელია საჭირო ცოდნის მიცემა, საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, ჯანსაღი ცხოვრების წესი და სხვ.

ჟურნალისტის, ქალბატონი ნინოს, თქმით, სკოლამ უნდა აღზარდოს სრულფასოვანი, დამოუკიდებელი და განათლებული ადამიანი; საზოგადოებამ კი უნდა იზრუნოს სკოლის განვითარებაზე, რადგან სკოლა აძლიერებს საზოგადოებას და საზოგადოება აძლიერებს სკოლას.

ბ) უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რას ამბობს ქალბატონი ნინო?
2. რას ფიქრობს ბატონი ზაზა?
3. რა თქვა ბატონმა გიორგიმ შეხვედრაზე?



1.9. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

ა)

-ქალბატონო მანანა, თუ შეიძლება, ისაუბრეთ სკოლის მისიის შესახებ.
 -ჩემი აზრით, ხშირად სკოლა არ მშობელს მოსწავლის, ბავშვის, აღზრდის პროცესში.
 არ შეიძლება სკოლაში მხოლოდ ცოდნის იყოს მთავარი. მნიშვნელოვანია სხვა საჭირო..... შეძენაც. ამის გარდა, სკოლამ უნდა იზრუნოს ბავშვის, დამოუკიდებელ პიროვნებად ჩამოყალიბებაზე.
 -დიდი მადლობა.

ბ)

-ბატონო მამუკა, თუ შეიძლება, თქვენც გამოთქვით აზრი, მაგალითად, სასკოლო ცხოვრებაში მშობლის მონაწილეობის შესახებ.
 -მოქალაქის აღზრდაში უნდა მონაწილეობდეს არა მარტო სკოლა, არამედ ოჯახი და
 ჩემი აზრით, სკოლის მიერ წინასწარ დაგეგმილი პროცესი დაეხმარება სკოლას მიზნის მიღწევაში. რაც მთავარია, გეგმაში უნდა ჩანდეს მიღწევის გზები. მშობელიც უფრო მეტად უნდა იყოს სასკოლო ცხოვრებით; სამწუხაროდ, დატვირთული რეჟიმის გამო, მშობელი ხშირად ვერ ახერხებს ბავშვის ზრუნვას.
 -ძალიან დიდი მადლობა ყველას მობრძანებისა და ჩვენს დისკუსიაში მონაწილეობის მიღებისთვის, ნახვამდის.

1.10. უპასუხეთ შეკითხვებს და იმსჯელეთ მოცემულ საკითხებზე:

1. თქვენი აზრით, რა არის ყველაზე დიდი პრობლემა სკოლებში?
2. როგორ ფიქრობთ, დღეს სკოლებში მართო სწავლაზე კეთდება აქცენტი?
3. რა პრობლემები აწუხებთ ბავშვებს? ასეთ შემთხვევაში მონაწილეობს თუ არა სკოლა, ოჯახი და საზოგადოება პრობლემების გადაჭრაში?
4. არის თუ არა მოსწავლეებს შორის მეგობრული ურთიერთობა?
5. მშობლები აქტიურად ინტერესდებიან თუ არა თავიანთი შვილების სასკოლო ცხოვრებით?

ნაწილი II**ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები (ზგემ)****2.1. მოცემულია ფრაზები; შესაბამის ადგილზე ჩასვით ისინი წინადადებებში:**

ნიმუში: ადამიანმა დამოუკიდებლად უნდა შეიძინოს ახალი ცოდნა.

- **ახალი ცოდნა**

- საკუთარი ადგილი
- ბუნებრივი გარემო
- ქვეყნის ინტერესები
- ადამიანთა უფლებები
- აღზრდილი ახალგაზრდა
- უწყვეტი განათლება
- სრულფასოვანი მოქალაქე
- თანამედროვე ტექნოლოგიები
- ტოლერანტი მოქალაქე
- საკუთარი პასუხისმგებლობა

1. ბავშვმა უნდა დაიცვას და ტრადიციები.
2. პროექტზე მუშაობის დროს ბავშვებმა ინფორმაციის მისაღებად წიგნების გარდა, გამოიყენეს
3. თითოეული მოქალაქის პასუხისმგებლობაა შენარჩუნება და დაცვა.
4. მნიშვნელოვანია მთელი ცხოვრების განმავლობაში.
5. ყველა ადამიანმა უნდა გაიაზროს
6. პიროვნებამ თვითრეალიზების საფუძველზე უნდა განსაზღვროს საზოგადოებაში.
7. პაცივისციემით მოექცევა პიროვნებებს, განსხვავებული კულტურის მქონე ჯგუფებს და ყოველთვის იცხოვრებს ამ პრინციპებით.

- 8. ზგემ-ი განსაზღვრავს, თუ როგორი უნდა იყოს დამოუკიდებელი და
- 9. სკოლის მიერ უნდა იყოს შემოქმედი, დამოუკიდებელი და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კანონმორჩილი.
- 10. ჩვენ უნდა დავიცვათ არა მარტო საკუთარი, არამედ სხვა

2.2. ა) დააკავშირეთ სიტყვები ერთმანეთთან:

ნიმუში: 1ბ-თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება

- | | |
|---------------------------------------|----------------|
| 1. თანამედროვე ტექნოლოგიების | ა. შენარჩუნება |
| 2. საკუთარი პასუხისმგებლობის | ბ. გამოყენება |
| 3. ზოგადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების | გ. შექმნა |
| 4. ბუნებრივი გარემოს | დ. მიყენება |
| 5. გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად | ე. გააზრება |
| 6. მიზნების | ვ. გამოყენება |
| 7. ღირებულებების | ზ. მოქცევა |
| 8. ახალი ცოდნის | თ. გაკეთება |
| 9. არჩევანის | ი. შექმნა |
| 10. პატივისცემით | კ. მიღება |
| 11. ზიანის | ლ. მიღწევა |

ბ) შეადგინეთ მოკლე ტექსტი, გამოიყენეთ მოცემული ზოგი შესიტყვება; თქვენივე სიტყვებით აღწერეთ, თუ როგორი უნდა იყოს სრულფასოვანი მოქალაქე ზგემ-ის მიხედვით და შეურჩიეთ სათაური:

2.3. ა) შეავსეთ ცხრილი:

გუშინ მთელი დღე	გუშინ	დღეს	ხვალ	უნდა
ინარჩუნებდა	შეინარჩუნა	ინარჩუნებს	შეინარჩუნებს	შეინარჩუნოს
	მიაყენა			
				მიიღოს
თვლიდა				

ბ) შეადგინეთ წინადადებები მოცემული ზმნების გამოყენებით:

ნიმუში: შევინარჩუნოთ: ჩვენ უნდა დავიცვათ და **შევინარჩუნოთ** ქვეყნის ტრადიციები და ღირებულებები.

1. იღებს:
2. თვლიან:
3. შეინარჩუნებს:
4. აყენებს:
5. მიიღეს:
6. ვთვლი:
7. მივიღებთ:
8. შეინარჩუნეთ:?
9. ჩავთვალე:
10. მიაყენებს:

2.4. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

1. თვითრეალიზება განსაზღვრავს პიროვნების ადგილს
 - ა) სკოლაში
 - ბ) საზოგადოებაში
2. ბავშვი პირველად სოციალურ უნარებს იძენს
 - ა) ოჯახში
 - ბ) სკოლაში
3. არსებული გამოცდილების გამოყენება სულიერი ღირებულებების შექმნაში დაეხმარება
 - ა) სკოლას
 - ბ) პიროვნებას
4. ბავშვებისთვის მნიშვნელოვანია კარგად ორგანიზებული, ფიზიკურად კომფორტული და ემოციურად უსაფრთხო გარემო
 - ა) სკოლაში
 - ბ) ოჯახში
5. ვიცი, რომ ადამიანის მოქმედებამ შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს გარემოს, ამიტომ ეს ყველაფერი ბავშვს უნდა ასწავლოს
 - ა) პიროვნებამ
 - ბ) ოჯახმა
6. განათლებისა და მომავალი შრომითი საქმიანობის სასარგებლოდ უნდა გააკეთოს არჩევანი
 - ა) სკოლამ
 - ბ) პიროვნებამ

- 7. კერძო სკოლის - „ინტელექტი XXI” - მისიაა, აღზარდოს განათლებული, ტოლერანტი, კანონმორჩილი, თვითრეალიზაციისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების მქონე
 - ა) მოზარდები
 - ბ) ჯგუფები
- 8. პიროვნებისთვის მნიშვნელოვანია ზოგადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების შექმნა, მათ შორის იმათთვის, ვისთვისაც საქართველოს სახელმწიფო ენა არ არის
 - ა) სრულფასოვანი
 - ბ) მშობლიური
- 9. სასკოლო კონკურსებზე საკუთარ ცოდნასა და ინტელექტს ამოწმებს
 - ა) საზოგადოება
 - ბ) ახალგაზრდა
- 10. მთელი ცხოვრების განმავლობაში უნდა განვითარდეს
 - ა) ოჯახი
 - ბ) პიროვნება

2.5. დაასრულეთ წინადადებები; გამოიყენეთ კონსტრუქცია: არა მხოლოდ....., არამედ...../არა მარტო.....,არამედ...

ნიმუში: საჭიროა (ცოდნის მიღება/გამოყენება) პრაქტიკაში.

საჭიროა არა მხოლოდ ცოდნის მიღება, არამედ პრაქტიკაში გამოყენება.

- 1. მნიშვნელოვანია თითოეული მოქალაქე იყოს (კანონმორჩილი/ტოლერანტი).
.....
- 2. ახალი ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შექმნისთვის აუცილებელია (გამოცდილება/ მიღწევები) გამოყენება.
.....
- 3. ახალგაზრდებთან აუცილებელია საუბარი (ტოლერანტობა/უსაფრთხოება).
.....
- 4. მასწავლებელს დაგეგმილი უნდა ჰქონდეს (სახალისო/მრავალფეროვანი) გაკვეთილებიც.
.....
- 5. მოსწავლეს თავისუფლად უნდა შეეძლოს (მსჯელობა/საკუთარი აზრი) გამოხატვაც.
.....
- 6. თითქმის ყველა სკოლაში არის კეთილმოწყობილი (საკლასო ოთახები/სპორტული დარბაზები).
.....
- 7. ბავშვი ცოდნასა და საჭირო უნარ-ჩვევებს (სკოლა/ოჯახი)იღებს.
.....
- 8. სკოლის ადმინისტრაციის დახმარებით მასწავლებლებმა (კონფერენციები/კონკურსები) ჩაატარეს.
.....
- 9. ზგემ-ის მიხედვით, ბავშვს უნდა შეეძლოს ბუნებრივი გარემოს (შენარჩუნება/დაცვა).
.....
- 10. მთელი ცხოვრების განმავლობაში აუცილებელია (საკუთარი შესაძლებლობები/ინტერესები) უწყვეტი განვითარება.
.....

2.6. დააკავშირეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით; გამოიყენეთ კონსტრუქცია: თუ..., მაშინ

ნიმუში: თუ იქნები შემოქმედი, **მაშინ** თვითონაც შექმნი ღირებულებებს.

თუ ბავშვი კარგად იგებს მასალას,	მისთვის ადვილი იქნება საზოგადოებასთან ურთიერთობა.
თუ პიროვნება იცხოვრებს დამოუკიდებლად,	თვითონაც შექმნი ღირებულებებს.
თუ სწავლის გარდა ახალგაზრდა შეიძენს საჭირო საკომუნიკაციო უნარ-ჩვევებს,	საზოგადოება მიიღებს სრულფასოვან, დამოუკიდებელ მოქალაქეს.
თუ ადამიანი გაიაზრებს საკუთარ პასუხისმგებლობას,	ხალისით სწავლობს, იძენს ცოდნასა და საჭირო უნარ-ჩვევებს, რომლებიც ეხმარება პიროვნებად ჩამოყალიბებაში.
თუ ბავშვი შეიძენს და გამოიყენებს ყველა იმ მახასიათებელს, რაც ქმნის სრულფასოვან ადამიანს,	ბავშვებში მოტივაციაც მაღალი იქნება.
თუ ვიცხოვრებთ მართო არსებული ღირებულებების ხარჯზე,	მოსწავლეები არა მართო კარგად გაიგებენ მასალას, არამედ რთულ დავალებებსაც კარგად შეასრულებენ.
თუ სწავლების პროცესში მასწავლებლები გამოიყენებენ თამაშებს,	გადაწყვეტილებებსაც მიიღებს დამოუკიდებლად პირად, ოჯახურ თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.
თუ ადამიანები გამოიყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიებს,	ეს ყველაფერი დაეხმარება მას თვითრეალიზაციაში.
თუ სწავლის პროცესი კარგად იქნება დაგეგმილი,	ის არ მიაყენებს ბუნებრივ გარემოს ზიანს.
თუ სკოლა თავის დანიშნულებას მაღალი ხარისხით შეასრულებს,	ვერ შევქმნით ახალ მატერიალურ, ინტელექტუალურ თუ სულიერ ღირებულებებს.
თუ იქნები შემოქმედი,	შეძლებენ სხვადასხვა შინაარსის ინფორმაციის მიღებას, რომელიც შეუძლიათ დაამუშაონ და გამოიყენონ დასახული მიზნებისთვის.

1.
2.
3.
4.

- 5.
- 6.
- 7.
- 8.
- 9.
- 10.

2.7. ა) წაიკითხეთ ტექსტი და შეეცადეთ თქვენი სიტყვებით გადმოსცეთ, რაზეა საუბარი ტექსტში:

ჩვენი სკოლა

ჩვენი სკოლის მისიაა ბავშვებში კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბება, თვითრეალიზაციისთვის ცოდნისა და საჭირო უნარ-ჩვევების შექმნა. აგრეთვე, საკუთარი პასუხისმგებლობის გაანალიზება და ქვეყნის ინტერესებისა და ტრადიციების დაცვა. მე ვფიქრობ, რომ ბავშვი უნდა იყოს შემოქმედით, რადგან ეს დაეხმარება მას ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შექმნაში.

ჩვენი სასკოლო გარემო ბავშვებისთვის უსაფრთხო და სასიამოვნოა. მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან აქტივობებს და, რა თქმა უნდა, ბავშვების მოტივაციაც მაღალია. ისინი კარგად იგებენ ახალ მასალას და აქტიურად არიან ჩართულნი თამაშებსა და სხვადასხვა სახალისო აქტივობაში.

საკუთარი აზრი მინდა გამოვხატო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებულ დოკუმენტზე, ანუ ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებზე. ვფიქრობ, რომ დოკუმენტში აღწერილი ყველა მახასიათებელი მნიშვნელოვანია, რადგან ხელს უწყობს ბავშვს სრულფასოვან და დამოუკიდებელ პიროვნებად ჩამოყალიბებაში. ჩემი აზრით, სკოლაში მართო ცოდნის შექმნა არ არის საკმარისი, ცოდნის გარდა, ყველა ის საჭირო უნარ-ჩვევა დაეხმარება ახალგაზრდას თვითრეალიზებაში, წარმატებასა და მიზნების მიღწევაში, რომელსაც სკოლაში იძენს.

სკოლის დირექტორი - ლამარა ლანჩავა

ბ) უპასუხეთ კითხვებს:

- 1. როგორი გარემოა შექმნილი სკოლაში?
- 2. სკოლის დირექტორის აზრით, როგორია სრულფასოვანი ადამიანი?
- 3. არის თუ არა საკმარისი სკოლაში ცოდნის შექმნა?
- 4. როგორ აქტივობებს იყენებენ მასწავლებლები სწავლების პროცესში?

5. სკოლის დირექტორისთვის რომელი მახასიათებელი არის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი, რომელიც აღწერილია გვერდ-ში?

2.8. წინადადებებში ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

აღწერილი კანონმორჩილი არჩევანი გვემი აღზრდილი ზოგადთვითრეალიზების პატივისცემა შემუშავებული ინტელექტუალური შემოქმედი

ნიმუში: გვემი არის დოკუმენტი, რომელიც აღწერს სრულფასოვანი მოქალაქის მახასიათებლებს.

1. ქმნის როგორც ახალ ღირებულებებს, ისე საკუთარ თავს.
2. ჩვენი სკოლის ბავშვებს ყოველთვის აქვთ მასწავლებლების
3. სკოლის მიერ ბავშვი უნდა იყოს სრულფასოვანი და დამოუკიდებელი.
4. ადრე გვემები დაეხმარება სკოლას ემოციურად უსაფრთხო და ფიზიკურად კომფორტული გარემოს შექმნაში.
5. სკოლა აძლევს ახალგაზრდას განათლებას.
6. ჩემი ამრით, ადამიანი გარემოს არასოდეს მიაყენებს ზიანს.
7. ადამიანები მეტს სწავლობენ და სხვა ადამიანებსაც უზიარებენ თავიანთ ცოდნას.
8. მან უკვე გააკეთა და აღარ იცხოვრებს ოჯახის ხარჯზე.
9. მთელი ცხოვრების განმავლობაში უნდა გამოვიყენოთ უწყვეტი განათლება, რაც დაგვეხმარება პროცესში.
10. იცით, რა ჰქვია დოკუმენტს, რომელშიც არის სრულფასოვანი მოქალაქის მახასიათებლები?



2.9. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

ა)
 -მოგესალმებით, ქალბატონო თამარ! თუ შეიძლება, ისაუბრეთ თქვენი სკოლის მისიის, გვემებისა და მეთოდების შესახებ.
 -ჩვენი სკოლის მიზანია აღზარდოს, რომელიც იქნება
 .. ის დაიცავს ქვეყნის ინტერესებს, და რა თქმა უნდა, ასევე იქნება..... და თვითონ შექმნის ღირებულებებს და არ იცხოვრებს არსებულის ის მთელი ცხოვრების განმავლობაში დამოუკიდებლად შეიძენს , იქნება წარმატებული და შეძლებს -..... საზოგადოებაში.

ბ)

-თუ შეიძლება, ისაუბრეთ თქვენი სკოლის ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესახებ, რომლებიც დაეხმარება ახალგაზრდებს წარმატებასა და მიზნის მიღწევაში.

-დიახ, რა თქმა უნდა. აუცილებელია, ახალგაზრდებმა:

✓ იფიქრონ და დაწერონ ის, რაც აინტერესებთ, რისი სწავლაც უნდათ და ამ მიზნის შესრულება იქნება ყველაზე მრავალფეროვანი, და პროცესი.

✓ მათ ასევე უნდა გამოიყენონ არა მხოლოდ , არამედ წიკითხონ მეტი წიგნი.

✓ მათ უნდა ისწავლონ სხვებთან ერთად, რადგან მუშაობა ყველაზე კარგი საშუალებაა გამოცდილების გაზიარებისთვის.

✓ მათ ასევე უნდა ისაუბრონ სხვადასხვა აქტუალურ თემაზე. უნდა გამოხატონ აზრი სხვადასხვა საკითხზე.

✓ ყველაზე მნიშვნელოვანია ადამიანის ცხოვრებაში. ახალგაზრდები ყოველთვის იქნებიან მოტივაციით სავსე და უფრო ენერგიული.

✓ განათლება გულისხმობს განვითარებას, შესაბამისად, ასეთი განათლება არის ის საშუალება, რომელიც მათ თვითრეალიზებას საზოგადოებაში.

სკოლის ადმინისტრაცია თითოეულ მოსწავლეს წარმატებას უსურვებს.

-ძალიან დიდი მადლობა, ქალბატონო თამარ!

-თქვენც გმადლობთ.

2.10. ა) ისაუბრეთ თემაზე „სრულფასოვანი მოქალაქე და უწყვეტი განათლება თვითრეალიზებისთვის“. გამოიყენეთ შემდეგი სიტყვები და ფრაზები:

ჩემი აზრით, უნდა იყოს, აღზრდილი, არსებულის ხარჯზე, უნარ-ჩვევები, გამოცდილების გაზიარება, დამოუკიდებლად, ცოდნა, სწავლა, გარდა ამისა, შეინარჩუნოს, არა მხოლოდ....არამედ...., მიღება, მიზნის მიღწევა, XXI საუკუნე, ზიანის მიყენება, მნიშვნელოვანი.

ბ) დაწერეთ ტექსტი (50 სიტყვა) „სრულფასოვანი მოქალაქე“:

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითადი ორიენტირები

3.1. ა) შეუცვალეთ ზმნებს ფორმა ნიმუშის მიხედვით:

ადასტურებს	დაადასტურებს
წარმოადგენს	
უშლის	
ართულებს	
ადარებს	
ამარტივებს	
თვლის	
იღებს	
ავრცელებს	
აყალიბებს	
აყენებს	

ბ) წაიკითხეთ წინადადებები და ნიმუშის მიხედვით ჩასვით შესაბამისი ზმნები საჭირო ადგილას:

ნიმუში: ალბათ, ამ ინფორმაციას ხვალ სკოლის ადმინისტრაციაც დაადასტურებს.....

- იმედი მაქვს, თითოეული მოქალაქე გაიზრდეს თავის პასუხისმგებლობას და გარემოს აღარ
..... ზიანს.
- გავრცელებული ინფორმაციით, ამ პროექტში მხოლოდ ჩვენი სკოლა
მონაწილეობას.
- მასწავლებელი მოსწავლეებისთვის კლუბს „ჯანსაღი ცხოვრება“.
- ვიზუალური სტილის მოსწავლეებისთვის მასწავლებელი სწავლის პროცესს
სურათებისა და ცხრილების გამოყენებით.
- ვფიქრობ, სკოლის დირექტორი ინფორმაციას ახალი საგნის სწავლების
შესახებ.
- იცით, რას ამ დოკუმენტის ავტორი?
- თუ მასწავლებელი არ ბავშვებს ერთმანეთს, კლასიც იქნება ერთიანი და
მოსწავლეებს ერთმანეთთან პოზიტიური ურთიერთობა ექნებათ.
- ვფიქრობ, თანამედროვე მიდგომების არცოდნა ნინოს ხელსგაკვეთილების
ეფექტურად ჩატარებაში.
- თუ სკოლა არ იქნება ორიენტირებული სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებაზე, ეს
..... დასახული მიზნების მიღწევას.

10. როგორ ფიქრობთ, ბატონი გიორგი დოკუმენტში აღწერილ რომელ მახასიათებელს
..... განსაკუთრებულად?

3.2. დააკავშირეთ სიტყვები ერთმანეთთან:

ნიმუში: 11 დ – ძირითადი დოკუმენტი

- | | |
|---------------------|---------------------|
| 1. მოტივირებული | ა. გამოცდილება |
| 2. სმენითი | ბ. მასალა |
| 3. ინდივიდუალური | გ. სტილი |
| 4. სასარგებლო | დ. დოკუმენტი |
| 5. სასწავლო | ე. გარემო |
| 6. თანაბარი | ვ. მოსწავლე |
| 7. პოზიტიური | ზ. მიდგომა |
| 8. მოწესრიგებული | ი. ჩართულობა |
| 9. მარტივად | კ. დამოკიდებულება |
| 10. პირადი | ლ. სწავლება |
| 11. ძირითადი | მ. წიგნი |

ბ) ჩასვით წინადადებებში ზემოთ დაკავშირებული წყვილები:

ნიმუში: ეროვნული სასწავლო გეგმა არის სასწავლო პროცესის რეგულაციის ის ძირითადი დოკუმენტი, რომელიც შემუშავებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ.

- კლასში ძალიან ბევრი ენერგიული და გვყავს.
- მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს მოსწავლეების.....
..... აქტივობებში.
- ფიქრობ, ანას სწავლის აქვს, რადგან ის ყოველთვის ხმამაღლა კითხულობს.
- ნინო მასწავლებლის თქმით, რამდენიმე მოსწავლე დახმარებას საჭიროებს, რადგან მათთვის
..... საკმაოდ რთულია.
- თქვენი აზრით, ჰოვარდ გარდნერის „მრავალმხრივი ინტელექტის თეორია და სწავლის სტილი“ არის
.....?
- თუ სკოლაში იქნება, მოზარდი თავს იგრძნობს ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხოდ.
- ქალბატონი მათა თვლის, რომ საჯარო სკოლებში ბავშვების მიმართ
..... ნამდვილად არის.
- ნინოს თავისი დაეხმარა განსხვავებული კულტურის მქონე ჯგუფებთან მუშაობაში.
- დღეს შეხვედრამე განხილვის საკითხი იქნება

10. და ინდივიდუალური მიდგომები წარმატებისთვის მნიშვნელოვანია.

3.3. წინადადებებში ჩასვით გამოთვებული სიტყვები სათანადო ფორმით:

მაღალი, ახალგაზრდები, მოსწავლე, ინფორმაცია, აღზრდა, საგანი, მასწავლებელი, მარტივად სწავლება, უნიკალური პიროვნება, თანმიმდევრობა, **პატივისცემა.**

ნიშუში: თუ მასწავლებელი აკონტროლებს თავის ემოციურ მდგომარეობას და იღებს სწორ გადაწყვეტილებებს, მაშინ ბავშვებზეც **პატივისცემით** ექცევიან მას.

1. (მოსწავლე) დამოკიდებულება სკოლის, სწავლისა და მასწავლებლის მიმართ უნდა იყოს პოზიტიური.
2. ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს, თუ როგორი თაობების (აღზრდა) უნდა შეუწყოს ხელი საქართველოს ზოგადი განათლების სისტემამ.
3. ყველა მოსწავლე (უნიკალური პიროვნება) მიიჩნევა.
4. სწავლის პროცესში მოსწავლეს სასწავლო მასალა (თანმიმდევრობა) უნდა მიეწოდოს, მარტივიდან რთულისკენ.
5. თუ მასწავლებელი თავისი საგნის პროფესიონალია, მაშინ ის უზრუნველყოფს საგნის (მარტივად სწავლება).....
6. (ახალგაზრდები) უნდა გააცნობიერონ საკუთარი მოვალეობები.
7. მხედველობითი სტილის ახალგაზრდებისთვის საჭიროა სასწავლო მასალა ვიზუალური (ინფორმაცია) იყოს დატვირთული.
8. სასწავლო პროცესში უნდა იყოს გათვალისწინებული არა მხოლოდ მოსწავლეების ინტერესები და სურვილები, არამედ ხელი უნდა შეეუწყოს მათ დაინტერესებას სხვადასხვა (საგანი) მიმართ.
9. მაღალი აკადემიური (მოსწრება) მქონე ახალგაზრდები ჩართული არიან პროექტებში.
10. (მასწავლებელი) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვალეობაა მოწესრიგებული სასწავლო გარემოს ჩამოყალიბება.

3.4. ა) შეავსეთ ცხრილი:

გუშინ მთელი დღე	გუშინ	დღეს	ხვალ	უნდა
წარმოადგენდა	წარმოადგინა	წარმოადგენს	წარმოადგენს	წარმოადგინოს
	შეუშალა			
			გაართულებს	
				დაადასტუროს

ადარებდა				
		იხილავს		
	გამართლება			

ბ) გამოიყენეთ მოცემული გზნები და შეადგინეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: ხვალ კათედრის სხდომამე ვიმსჯელებთ ესგ-ს ძირითად ორიენტირებზე.

1. დღეს
2. უნდა
3. გუშინ მთელი დღე
4. გუშინ
5. ხვალ
6. უნდა
7. ხვალ
8. გუშინ
9. გუშინ მთელი დღე
10. ხვალ

3.5. ჩასვით შესაბამისი ფორმები გამოტოვებულ ადგილას:

- ის გარდა (2), მაშინ....(3)რომელიც (2) არა მართლ....არამედ,
 არა მხოლოდ....არამედ, -ის ხარჯზე

ნიმუში: სკოლაში ბიბლიოთეკის გარდა, ყველა საკლასო ოთახი მოწესრიგებულია.

1. ყველა მოსწავლე მიიჩნევა უნიკალურ პიროვნებად
 თავისი ინდივიდუალური შესაძლებლობებით, პირადი გამოცდილებითა და
 სწავლის სტილით.
2. იმ მოსწავლესთან, დამატებით საჭიროებს დახმარებას, მასწავლებელმა უნდა
 გამოიყენოს ინდივიდუალური მიდგომა.
3. მოზარდი უნდა იყოს დაფასებული, იგი შეძლებს იყოს კარგი მოქალაქე.
4. თუ სწავლა-სწავლების პროცესი იქნება მრავალფეროვანი, მოსწავლეებს უფრო
 დადებითი დამოკიდებულება ექნებათ სწავლის მიმართ.
5. ახალგაზრდებს მართლაც უნდათ თვითონ შექმნან ღირებულებები და არ უნდათ იცხოვრონ მართლ
 არსებული

6. მასწავლებელი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებს ვერ მიაღწევს, თუ არ გაითვალისწინებს მოსწავლეების ინტერესებს,
..... მათ სურვილებს.
7. ამ პროექტში სკოლის მოსწავლეები, სტუდენტებიც არიან ჩართული და ეს ამარტივებს პროექტის მართვას.
8. თუ მასწავლებელი დეტალურად დაგეგმავს გაკვეთილს, მოსწავლე მთელი დროის განმავლობაში იქნება დაკავებული და ჩართული აქტივობებში.
9. მასწავლებელი მშობელმაც უნდა იზრუნოს იმაზე, რომ მათ შორის იყოს პოზიტიური ურთიერთობები, ეს მოსწავლეზეც დადებით გავლენას მოახდენს.
10. სად შეიძლება იმ პიროვნების ნახვა, ამ პროექტზე მუშაობდა?

3.6. გაიყავით სამ ჯგუფად; თითო ჯგუფმა წაიკითხოს ჩარჩოში მოთავსებული სიტყვები და შესიტყვებები; გაააქტიუროს თითოეული სიტყვა; შექმნას ტექსტი, დაარქვას სათაური და წარმოადგინოს:

1..... ხმამაღლა, კითხულობს, დისკუსია, აუდიომასალა, იმასსოვრებს, მონაწილეობის მიღება, სემინარები, უყვარს, ლექციების მოსმენა, ხმადაბლა, ჯგუფში მუშაობა.
2. მოდრობა, უნარი, სხეულის მართვა, გაკონტროლება, აქვს, კარგად, აკეთებს, სწავლობს, მოსწონს, ამარტივებს.
3. ხედავს, ჩანაწერი, უყვართ, აკეთებს, სურათები, ვიზუალური, გამოყენება, მასალა, წაკითხვა, ცხრილები, სწავლა.



3.7. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- მოგესალმებით ქალბატონო ანა. თუ შეიძლება, ისაუბრეთ თქვენი სკოლის შესახებ. პირველ რიგში, როგორი უნდა იყოს სკოლის გარემო, ბავშვმა რომ თავი უსაფრთხოდ იგრძნოს?
- მნიშვნელოვანია გარემო. მაგალითად, საკლასო ოთახები, ბიბლიოთეკა, ყველაფერი უნდა გვაძლევდეს შესაძლებლობას, რომ ბავშვებმა შეძლონ მუშაობა
.... ან ჯგუფებში. მოწესრიგებულ გარემოში ბავშვები სწავლობენ უფრო მეტს და არიან მოტივირებულები. იზრდება მათი და ხდება გაუმჯობესება.
- როგორ ფიქრობთ, რა კავშირია მოსწავლის მოტივაციასა და ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითად ორიენტირებს შორის?
- მაგალითად, თუ მოსწავლე მიიჩნევა უნიკალურ პიროვნებად, ის ყოველთვის, რადგან ფასდება თავისი ინდივიდუალური, ემოციებით, ინტერესებით,

....., ცოდნითა და გამოცდილებით. მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეს, რომ დამოუკიდებლად ააგოს, ახალი ინფორმაცია დააკავშიროს ადრე ნასწავლთან და შეძლოს ანალიზი და თავისუფლად ამრის შესაბამისად, მოსწავლე დაინახავს სწავლის მიზანს.

- დიდი მადლობა, ქალბატონო ანა, ინტერვიუსთვის, ნახვამდის.
- ნახვამდის.

3.8. წაიკითხეთ წინადადებები და შეურჩიეთ სწორი დასასრული:

1. თითოეულ მოსწავლეს, მიუხედავად მისი აკადემიური მოსწრებისა...
2. ახალგაზრდებმა უნდა შეიძინონ სამოგადობრივი წესრიგის....
3. მასწავლებელი მიაღწევს შედეგს....
4. მასწავლებელი პასუხისმგებელია...
5. გაკვეთილები უნდა იყოს ორიენტირებული....
6. კლასში უსაფრთხო გარემო არის ...
7. პედაგოგმა უნდა აკონტროლოს ...
8. სკოლის მიზანია მოსწავლემ გაიაზროს....
9. კინესთეტიკური სტილის ადამიანები....
10. საგნის სწავლების დროს მნიშვნელოვანია....

ა. ცოდნის მიღებისა და განვითარების თანაბარი პირობები აქვს.

- ბ. ცოდნის მიღებასა და საჭირო უნარ-ჩვევების შექმნაზე.
- გ. სწავლობენ მოძრაობით.
- დ. დაცვის უნარ-ჩვევები.
- ე. მოსწავლეების მოტივაციის გაზრდა.
- ვ. თუ გაითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითად ორიენტირებს.
- ზ. საუკეთესო გარემო ბავშვის ეფექტური სწავლებისთვის.
- თ. მოსწავლის სწავლასა და განვითარებაზე.
- ი. საკუთარი მოვალეობები.
- კ. საკუთარი ემოციები.

ბ) ნიმუშის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

1.	2.	3.	4.	5.	6.	7.	8.	9.	10.
ა									

3.9. იპოვეთ განსხვავებული სიტყვა და მონიშნეთ:

1. მოწესრიგებული, წესრიგი, დაფასებული.
2. მიდგომა, შედარება, გართულება.
3. ცოდნა, არცოდნა, რეგულაცია.
4. აღწერილი, აღზრდილი, განსაზღვრა, შემუშავებული.
5. ესგ, სსსმ, ზგემ.
6. საინტერესო, სახალისო, მრავალფეროვანი.
7. პატივისცემით, დახმარებით, მხარდაჭერით.
8. გაართულებს, გაამარტივებს, ხმადაბლა.
9. სასწავლო პროგრამა, თანაბარი ჩართულობა, უნიკალური მასალა.
10. ფიზიკურად, ემოციურად, დამოუკიდებლად.

3.10. უპასუხეთ კითხვებს და იმჯელეთ შემდეგ საკითხებზე:

1. თქვენი აზრით, რა უშლის ხელს სასწავლო პროცესის წარმატებას?
2. როგორი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს მასწავლებელს მოსწავლეებთან, რომ იყოს დაფასებული?
3. რა რჩევებს მისცემდით მასწავლებელს?
4. როგორი გარემო უნდა ჰქონდეთ მოსწავლეებს სკოლაში?

ესგ და საგანმანათლებლო პრინციპები

ნაწილი I

საგანმანათლებლო პრინციპები

1.1. წინადადებებში ჩასვით გამოტოვებული სიტყვები სათანადო ბრუნვაში:

პრინციპები, მასწავლებელი, ინფორმაცია, მოსწავლე, მოტივაცია, პიროვნება, ეტაპობრივი, ბიბლიოთეკა, გამოცდილება, დაკავშირება, დახმარება.

ნიმუში: სკოლებში, რა თქმა უნდა, იცავენ საგანმანათლებლო პრინციპებს.

1. ზოგჯერ მოსწავლეს არ აქვსდა მისთვის სწავლა არ არის საინტერესო პროცესი.
2. გაკვეთილზე გონება დიდ ინფორმაციას იღებს.
3. ადმინისტრაციის მასწავლებლები აწყობენ საინტერესო ღონისძიებებს.
4. ცოდნის მიღება უნდა მოხდეს წინარე ცოდნის დახმარებით.
5. ძველი და ახალი ცოდნის ბავშვების მეხსიერებაში იზრდება გააზრებისა და დამახსოვრების შესაძლებლობა.
6. პროექტზე მუშაობის დროს მოსწავლეები დიდ იღებენ.
7. დღეს თითქმის ყველა სკოლას აქვს კეთილმოწყობილი..... და სპორტული დარბაზი.
8. სკოლა მნიშვნელოვანი საფეხურია მოსწავლეებისთვის, რადგან ის უვითარებს საჭირო უნარ-ჩვევებს და აყალიბებს
9. მოსწავლის მიერ ხდება მიწოდებული..... დამუშავება.
10. რა უნდა გაითვალისწინოს სწავლების პირველ საფეხურზე?

1.2. ა) დააკავშირეთ სინონიმური და ანტონიმური შესიტყვებები ერთმანეთთან ამრობრივად:

ნიმუში: 5 ბ-რთული ადვილი

- | | |
|--------------------|----------------|
| 1. ძველი | ა. ოლიმპიადა |
| 2. სწავლა | ბ. ადვილი |
| 3. სხვადასხვანაირი | გ. არსებული |
| 4. ხმადაბლა | დ. მართლაც |
| 5. რთული | ე. სწავლება |
| 6. დისკუსია | ვ. ერთნაირი |
| 7. ამრიგად | ზ. ეთნიკური |
| 8. გაგება | თ. ახალი |
| 9. მიღებული | ი. გააზრება |
| 10. კონკურსი | კ. ხმამაღლა |
| 11. რელიგიური | ლ. კონფერენცია |

ბ) ჩასვით შესიტყვებები საჭირო ფორმით წინადადებებში ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: ნინოს ძალიან უყვარს მათემატიკა, ეს საგანი მისთვის თან **რთულია**, თან – **ადვილი**.

1. ბავშვებმა სწავლის დროს უნდა შეძლონ სასწავლო მასალის და.....
.....
2. პროცესში რადგან მოსწავლე დიდ ინფორმაციას იღებს, ცოდნის მიღება ეტაპობრივად უნდა მოხდეს.
3. წელს გვინდა უფრო მეტი მოსწავლის ჩართვა სასკოლო და
4. მასწავლებელი როცა გაკვეთილს გეგმავს, აქტივობებიკი არ უნდა იყოს, არამედ და მრავალფეროვანი.
5. სწავლის დროს და ცოდნის ერთმანეთთან დაკავშირებით იზრდება გააზრებისა და დამახსოვრების შესაძლებლობა.
6. არა მარტო, არამედ მონაწილეობის დროს ახალგაზრდები თავიანთი ცოდნისა და უნარების დემონსტრირებას ახდენენ.
7. ყველა ბავშვი თანაბარ პირობებშია, მიუხედავად მათი თუ
.....კუთვნილებისა.
8. არ მიყვარს კითხვა, ჩემთვის უფრო ადვილია სწავლა, როცა
..... ვკითხულობ.
9. და ცოდნის დაკავშირება ეხმარება ბავშვს მასალის დამახსოვრებაში.
10., თუ ბავშვი კარგად არ სწავლობს, ე. ი მას ჯერ არ გაუაზრებია სწავლის პროცესი და არ იცის, რა უნდა ისწავლოს ან როგორ ისწავლოს.

1.3. ა) შეავსეთ ცხრილი:

დღეს	გუშინ მთელი დღე	გუშინ	ხვალ	უნდა	ჯერ არ
არჩევს	არჩევდა	გამოარჩია	გამოარჩევს	გამოარჩიოს	გამოურჩევია
იზებირებს					
					დაუკმაყოფილებია
			დაიმახსოვრებს		
		დაახარისხა			

ბ) გმნის საჭირო ფორმის გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

ნიმუში: გუშინ შეხვედრაზე მიწოდებული ინფორმაციიდან ნინომ **გამოარჩია** ამ საფეხურისთვის მისთვის მნიშვნელოვანი ელემენტები.

1. დღეს:.....
.....

2. ჯერ არ:
-
3. უნდა:
-
4. გუშინ მთელი დღე:
-
5. ხვალ:
-
6. ჯერ არ:
-
7. გუშინ:
-
8. უნდა:
-
9. ჯერ არ:
-
10. გუშინ:
-

1.4. წაიკითხეთ წინადადებები და ნიმუშის მიხედვით შეუცვალეთ გმნას ფორმა:

ნიმუში: მოსწავლე ამ ეტაბზე ინფორმაციას ახარისხებს.

ა) მოსწავლეს ამ ეტაბზე ინფორმაცია ჯერ არ დაუხარისხებია.

ბ) მოსწავლემ ამ ეტაბზე უნდა დაახარისხოს ინფორმაცია.

1. გაკვეთილზე მასწავლებელი არჩევს მოსწავლეებს ცოდნის დონის მიხედვით.

ა).....

ბ).....

2. გიორგი სკოლის დირექტორის სტანდარტს აკმაყოფილებს.

ა).....

ბ).....

3. ეკა მასალას სურათებითა და ცხრილებით **იმახსოვრებს**. ვიზუალური მესხიერება აქვს.
 - ა).....
 - ბ).....
4. ბავშვები სხვადასხვა შინაარსის ინფორმაციას თან **ახარისხებენ**, თან **ამარტივებენ**
 - ა).....
 - ბ).....
5. მავა **იფეპირებს** ტექსტს და ისე **იმახსოვრებს**.
 - ა).....
 - ბ).....
6. მათა **ატარებს** ტრენინგს ბავშვთა უსაფრთხოების შესახებ.
 - ა).....
 - ბ).....
7. მოსწავლეები **ასრულებენ** პროექტზე მუშაობას.
 - ა).....
 - ბ).....
8. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო **ავრცელებს** ინფორმაციას სკოლებში ახალი საგნის სწავლების შესახებ.
 - ა).....
 - ბ).....
9. მასწავლებლები **აძლიერებენ** მოსწავლეებში უნარს, რომ იყვნენ წარმატებულები არა მარტო სკოლაში, არამედ საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც.
 - ა).....
 - ბ).....
10. წელს სანდრო სასკოლო ოლიმპიადაში **იღებს** მონაწილეობას.
 - ა).....
 - ბ).....

1.5. შეადგინეთ წინადადებები მოცემული სიტყვებით საგანმანათლებლო პრინციპების შესახებ; გამოიყენეთ კონსტრუქცია: ... +ნათ. ბრ.-ის +სახელმზნა:

ნიმუში: საგანმანათლებლო პრინციპები/გათვალისწინება

მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პრინციპების გათვალისწინება.

ელემენტები/ გამორჩევა

ცოდნა/მიღება

მასალა/დამახსოვრება

მოსწავლე /ჩართვა

სწავლის პროცესი/გააზრება

დახმარე სახელმძღვანელო ვადამოგებიანთათვის

- ინფორმაცია/ დახარისხება
- კონკრეტული მიზანი/განსაზღვრა
- შედეგი/მიღწევა
- კონფერენცია/ჩატარება
- უნარი/დემონსტრირება

1.
2.
3.
4.
5.
6.
7.
8.
9.
10.

1.6. წაიკითხეთ მოცემული წინადადებები. აღნიშნეთ სწორი (+) და არასწორი (-) ინფორმაცია:

1	საჭიროა მოსწავლეების ჩართვა სხვადასხვა აქტივობაში.	+	
2	ბავშვები აქტიურად მონაწილეობენ აქტივობებში, ანუ მათ მოტივაცია დაბალი აქვთ.		
3	მასწავლებელმა უნდა განუვითაროს ბავშვს სააზროვნო უნარები.		
4	სამწუხაროდ, სწავლა-სწავლების დროს მოსწავლის გონება დიდ ინფორმაციას ვერ იღებს.		
5	მოსწავლე დამუშავებული და დახარისხებული ინფორმაციით შექმნის ახალ ცოდნას.		
6	არსებობს ცოდნის ოთხი კატეგორია, ანუ რა ვიცი, როგორ გავაკეთო, როდის გამოვიყენო და რატომ გამოვიყენო.		
7	დევიდ პერკინსის მოსაზრების მიხედვით, ორიენტირებული უნდა ვიყოთ აზროვნებასა და ფიქრზე, ანუ მართო ცოდნაზე არ უნდა ვიყოთ ორიენტირებული.		
8	სწავლების თითოეულ საფეხურზე მასწავლებელი უნდა დაეხმაროს ბავშვს, მიაღწიოს სასურველ შედეგს.		
9	მათემატიკა ყველა ბავშვისთვის მართლაც ადვილი საგანია.		
10	ზოგჯერ მოსწავლეთა ცოდნის დონე არ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს.		

1.7. ხაზი გაუსვით კავშირის (ანუ, ე.ი, რომელიც, სადაც, რადგან, როცა, რაც) სწორ ფორმას:

ნიმუში: თამუნამ პროექტზე მუშაობა მაშინ დაიწყო, **როცა/ანუ** მოძებნა და დაახარისხა ინფორმაცია.

1. ანა ატარებს პრეზენტაციას, **ანუ/როცა** ჯერ არ დაუსრულებია.
2. ბავშვი თავს გრძობს უსაფრთხოდ იქ, **რაც/სადაც** მოწესრიგებული გარემოა.
3. არ გამოიყენო ეს მასალა, **რადგან/სადაც** ჯერ არ არის დამუშავებული.
4. მესხიერებაში უნდა დააგროვო დახარისხებული ცოდნა, **რაც/ანუ** არ დაიბეპირო.
5. ჩემი აზრით, **რომელიც/როდესაც** მასწავლებელმა გაამარტივა მასალა, მოსწავლეებმა ადვილად შეძლეს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება.
6. ის ბავშვი, **ანუ/რომელიც** არ სწავლობს კარგად, ვერ აცნობიერებს სწავლის მიზანს.
7. რადგან სასწავლო ნაწილმა დაადასტურა ეს ინფორმაცია, **ე.ი. რაც** შეხვედრამ განიხილეს ეს საკითხი.
8. ახალგაზრდებმა **როცა/სადაც** კლუბში წარადგინეს თემა „ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ“, ის საინტერესო იყო და ყველამ ბევრი კარგი რამ დაიმახსოვრა.
9. ბავშვს, **რომელიც/ე.ი.** არ მონაწილეობს აქტივობებში, სჭირდება მასწავლებლის დახმარება.
10. პატარას, **ანუ/რადგან** ყოველდღე დიდ ინფორმაციას იღებს, შეუძლია სხვადასხვა სააზროვნო ოპერაციების შესრულება.

1.8. ა) წაიკითხეთ ტექსტი და დაარქვით სათაური:

გამარჯობა, მე ვარ ეკა მაისურაძე. 10 წელია, რაც სკოლაში ვასწავლი ქართულს. სკოლაში მუშაობა თან რთული არის, თან საინტერესო. ბავშვები ყოველდღე იღებენ დიდ ინფორმაციას და მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მათ მასალის დამახსოვრებაში. დახარისხებულ მასალას ბავშვები ნამდვილად ადვილად იმახსოვრებენ. გაკვეთილები უნდა იყოს სახალისო და მრავალფეროვანი, რომ მოსწავლეები იყვნენ მოტივირებულები და აქტიურები. ამიტომ წიგნში არსებული მასალის გარდა, ვიყენებ სხვადასხვა დამატებით აქტივობას; მინდა, რომ ყველა ბავშვს ჰქონდეს ინტერესი სწავლის მიმართ და აქტიურად მიიღონ მონაწილეობა არა მარტო სასკოლო კონკურსებსა და ოლიმპიადებში, არამედ დისკუსიებსა და პროექტებში. ასე მოსწავლეები შეიძენენ გამოცდილებას და მოახდენენ თავიანთი ცოდნისა და უნარების დემონსტრირებას.

რაც შეეხება ურთიერთობებს, მასწავლებელი უნდა იყოს დაფასებული და იგივე დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს ბავშვების მიმართ. ჩვენ აუცილებლად მივალწევთ დასახულ მიზანს, თუ ვითანამშრომლებთ.

ბ) უპასუხეთ კითხვებს:

1. როგორია სკოლაში მუშაობა ეკასთვის?
2. მისი აზრით, როგორი უნდა იყოს გაკვეთილები?
3. რა საშუალებები ეხმარება ბავშვებს ცოდნისა და უნარების დემონსტრირებაში?
4. რა გზით მიაღწევენ მასწავლებლები და მოსწავლეები დასახულ მიზანს?



1.9. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- ქალბატონო თათია, თქვენს კლასში როგორ ხდება ინფორმაციის დამუშავება?
- რა თქმა უნდა,, წინარე ცოდნის დახმარებით, ანუ ვიწყებ მარტივით და შემდეგ სასწავლო მასალას.
- როგორ ეხმარებით მოსწავლეებს მასალის ?
- ვიყენებ სხვადასხვა აქტივობას, თამაშებს, რაც ამაღლებს ბავშვების მოტივაციას. ასევე ვიყენებ სურათებსა და, ვაწყობთ ასეთი აქტივობის დროს ბავშვები მსჯელობენ და გამოხატავენ საკუთარ აზრებს მოცემული საკითხის შესახებ.
- ანუ აქცენტს აკეთებთ უფრო და, ვიდრე მართო ცოდნის შეძენაზე.
- დიახ, მართლაც ასეა, რადგან ბავშვმა უნდა შეძლოს მიღებული ცოდნის დახარისხება,, და პრაქტიკაში გამოყენება.
- დიდი მადლობა.

1.10. ისაუბრეთ თემაზე „ცოდნა და მისი კატეგორიები“; გამოიყენეთ შემდეგი სიტყვები და ფრაზები; მოიყვანეთ კონკრეტული მაგალითები თქვენი გამოცდილებიდან:

მოსწავლე, კატეგორია, წესები, ცოდნის ათვისება, მიღებული, ფაქტები, ცოდნა, ნასწავლი მასალა, თეორიები, გამოყენება, ადეკვატურად, კონკრეტული, სავარჯიშო, შესრულება, განმტკიცება, დახარისხება, გზა.

საბნობრიჰი სასწავლო გეგმა

2.1. ა) დააკავშირეთ სიტყუები ერთმანეთთან აბრობრივად:

ნიმუში: 11 გ – შენარჩუნება ზიანის მიყენება

- | | |
|------------------------|---------------------------|
| 1. სრული | ა. დაბეპირება |
| 2. საშინაო | ბ. მათემატიკა |
| 3. ძლიერი | გ. ზიანის მიყენება |
| 4. ქართული ენა | დ. კონკრეტული |
| 5. მიზანი | ე. სუსტი |
| 6. მაღალი | ვ. საბოგადობრივი |
| 7. დაწყებითი | ზ. არასრული |
| 8. დამახსოვრება | თ. საშუალო |
| 9. ზოგადი | ი. საკლასო |
| 10. პირადი | კ. შედეგი |
| 11. შენარჩუნება | ლ. დაბალი |

ბ) ჩასვით წინადადებებში ზემოთ დაკავშირებული წყვილები:

- ახალგაბრდებმა იმუშავეს თემაზე „ბუნებრივი გარემოს**შენარჩუნება**..... , ადამიანის მიერ ბუნებისთვის **ზიანის მიყენება** და პრობლემის გადაჭრის გზები.“
- ლაშას, ნინოს კი ზოგადი განათლება აქვს.
- ჩემი აბრით, ადამიანი თავს საბოგადობის სრულფასოვან წევრად იგრძნობს, თუ მას ექნება და ცხოვრება.
- ეკას ძალიან უყვარს საგნები: და
- გიორგის ორივე დავალება, და, სწორად არის გაკეთებული.
- რადგან ბავშუებს აქვთ განსხვავებული შესაძლებლობები, კონკურსზე მათ შეაფასებენ ან ან, ან ქულებით.
- მასწავლებელმა უნდა იცოდეს მოსწავლეების არა მარტო, არამედ მხარეებიც, მაგალითად, როგორ წერს ბავშვი, როგორ კითხულობს, სად აქვს პრობლემა და ა. შ.
- მარიამს ჰქონდა კონკრეტული, შესაბამისად, მან მიიღო სასურველი მოსწავლემ უნდა დაამთავროს ზოგადი განათლების სამივე საფეხური, ანუ, საბაბო და
- შეხვედრაზე ჩვენ გვექონდა საუბარი და არა რაიმე კონკრეტული საკითხის შესახებ.
- მაკას შეუძლია არა მარტო მნიშვნელოვანი ფაქტების, არამედ მთელი ტექსტის

2.2. ა) წაიკითხეთ კითხვები და პასუხები:

კითხვები:

1. რა შემთხვევაში იქნება ზოგადი განათლება სრული?
2. რას აღწერს საგნობრივი სტანდარტი?
3. როგორ ხდება შეფასება თითოეულ საგანში?
4. რას იყენებენ მასწავლებლები სასწავლო წლის დაგეგმვისთვის?
5. რაში ეხმარება საგნობრივი გეგმა მასწავლებელს?
6. არის თუ არა განსაზღვრული საგნობრივ სასწავლო გეგმაში თითოეული საგნის სწავლების მიზნები?
7. შეუძლია თუ არა მასწავლებელს შეცვალოს მიღებული და დადგენილი გეგმა?
8. რისი გაგება შეიძლება ინდიკატორის დახმარებით?
9. საგანმანათლებლო პროცესის რომელი ნაწილისთვის უნდა იყოს განსაზღვრული სასწავლო შედეგი?
10. რა არის შესაძლებელი სასწავლო საკითხების თანმიმდევრულად შესწავლით?

პასუხები:

ა. იგი თითოეული კლასის მიხედვით აღწერს, თუ რა უნდა იცოდეს მოსწავლემ კონკრეტულ საგანში და ასევე, რა უნარ-ჩვევებს უნდა ფლობდეს ის.

ბ. რა თქმა უნდა, მასწავლებელი მას ვეღარ შეცვლის.

გ. თუ მოსწავლე დაამთავრებს ზოგადი განათლების სამივე საფეხურს.

დ. შეფასება ხდება ინდიკატორის საშუალებით წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე.

ე. მათი შესწავლით შესაძლებელია თითოეულ საგანში სტანდარტით განსაზღვრული შედეგის მიღწევა, ბავშვის შესაბამის დონეზე განვითარება.

ვ. ამ შემთხვევაში მასწავლებლები იყენებენ საგნობრივ სასწავლო გეგმებს.

ზ. ის განსაზღვრული უნდა იყოს საგანმანათლებლო პროცესის ნებისმიერი ნაწილისთვის, ეს იქნება გაკვეთილი, კვირა, სემესტრი, სასწავლო წელი თუ საფეხური.

თ. მასში არა მარტო საგნის სწავლების მიზნებია განსაზღვრული, არამედ ამოცანებიც.

ი. მისი დახმარებით მასწავლებელი ადვილად გადასცემს ბავშვს ცოდნას.

კ. შესაძლებელია გავიგოთ, როგორია მოსწავლის მიერ მიღებული ცოდნის ხარისხი.

ბ) კითხვებს შეურჩიეთ სწორი პასუხები და ნიმუშის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

1.	2.	3.	4.	5.	6.	7.	8.	9.	10.
ბ									

2.3. ა) შეავსეთ ცხრილი:

დღეს	გუშინ მთელი დღე	გუშინ	ხვალ	უნდა	ჯერ არ
აფასებს	აფასებდა	შეაფასა	შეაფასებს	შეაფასოს	შეუფასებია
		წაიყვანა			
				შეცვალოს	
					გადაუცია
მიჰყავს					

ბ) ზმნის საჭირო ფორმის გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: მასწავლებელს ჯერ არ შეუფასებია ტესტები.

1. ჩვენ
2. მე
3. მას
4. თქვენ
5. მათ
6. ის
7. შენ
8. მან
9. ისინი
10. მას

2.4. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

1. მასწავლებელს ჯერ არ წაუყვანია მოსწავლეები
 - ა) ექსკურსიაზე ბ) ტრენინგზე
2. მოსწავლეებს ცოდნის მიხედვით აფასებენ ყველა
 - ა) პროექტში ბ) საგანში
3. ნინომ მაღალი ქულა მიიღო
 - ა) ტესტში ბ) შრომით სწავლებაში
4. ცვლილების შეტანა უკვე გვიანია, ვერ შევცვლით
 - ა) გეგმას ბ) ინდიკატორს

5. ჩემი აზრით, თითქმის ყველა ახალგაზრდას აქვს
 - ა) სრული ზოგადი განათლება
 - ბ) სრული უფლება
6. ეკა ყოველთვის ადვილად გადასცემს ბავშვებს
 - ა) თემას
 - ბ) ცოდნას
7. უნდა დავიცვათ ბუნებრივი გარემო, ამას აქვს
 - ა) პრინციპული მნიშვნელობა
 - ბ) სულიერი ღირებულება
8. გიორგიმ დაამთავრა ზოგადი განათლების სამივე
 - ა) ეტაპი
 - ბ) საფეხური
9. თამუნა უკვე დამოუკიდებლად აკეთებს
 - ა) საშინაო დავალებას
 - ბ) სხვადასხვა საკითხს
10. ყველა მოსწავლეს აქვს განსხვავებული
 - ა) შესაძლებლობები
 - ბ) ტრადიციები

2.5. ჩასვით წინადადებებში შესაფერის დროსა და ფორმაში მოცემული სიტყვები:

შეცვლა შეფასება დახარისხება მოწოდება დამახსოვრება გადაცემა
მიღება შენარჩუნება გართულება დაზეპირება ჩათვლა

ნიმუში: სკოლის ადმინისტრაციამ **შეცვალა** კონკურსის ჩატარების წესი.

1. მაია ფიქრობს, რომ მას მაღალი ქულებით.
2. სანდროს ჯერ არ გადაწყვეტილება, თუ სად უნდა სწავლის გაგრძელება.
3. ჩვენ გვინდა არსებული მდგომარეობა სკოლაში.
4. მარია პროფესიონალია, მას შეუძლია ადვილად ცოდნა ბავშვებს.
5. ნიკა გუშინ მთელი საღამო ცხრილს.
6. ანამ ვერ ტექსტი, რადგან საკმაოდ ძნელი იყო მისი დონისთვის.
7. მე ტექსტში ცვლილება შევიტანე და შენ სურათები ჯერ არ ?
8. ჩვენ, ალბათ, ახალი კრიტერიუმების მიხედვით საკითხებს საკლასო და შემაჯამებელ დავალებაში.
9. ხათუნა, რომ მნიშვნელოვანია მოსწავლეების ჩართვა მრავალფეროვან აქტივობებში.
10. მასწავლებელმა ეტაპობრივად უნდა მასალა - მარტივიდან რთულისკენ.

2.6. დაწერეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: ოლიმპიადა – ოლიმპიადის მიმართ / ოლიმპიადის შესახებ

ოლიმპიადის მიმართ ბავშვებს დიდი ინტერესი აქვთ.

ინტერნეტში შეგიძლიათ ნახოთ ინფორმაცია ოლიმპიადის შესახებ.

1. კრიტერიუმების ცვლილება -

.....

.....

2. საგნობრივი სასწავლო გეგმა -

.....
.....

3. საკლასო დავალება -

.....
.....

4. სახვითი ხელოვნება -

.....
.....

5. საგნობრივი პროგრამა -

.....
.....

6. განვითარებული მოსწავლე -

.....
.....

7. სასკოლო აქტივობები -

.....
.....

8. ცოდნის ხარისხი -

.....
.....

9. დაბალი ქულები -

.....
.....

10. პროფესიული განვითარება -

.....
.....

2.7. წაიკითხეთ ტექსტები და დაარქვით სათაური:

ა)

.....

იგი წარმოადგენს იმ ინფორმაციის, უნარ-ჩვევებისა და ღირებულებების ერთობლიობას, რომელსაც მოსწავლეები იძენენ სწავლის პროცესში ყველა ასაკის მიხედვით. ისინი განსაზღვრული უნდა იყოს საგანმანათლებლო პროცესის ნებისმიერი ნაწილისთვის, ანუ ერთნაირად მნიშვნელოვანია თითოეული გაკვეთილის, კვირის, სემესტრის და სასწავლო წლის შედეგი.

ბ)

.....

ის თითოეული კლასის მიხედვით აღწერს, თუ რა უნდა იცოდეს მოსწავლემ კონკრეტულ საგანში სასწავლო წლისა და საფეხურის ბოლოს; ასევე, რა უნარ-ჩვევებს უნდა ფლობდეს ის. მასში მოცემული ყველა შედეგის მიღწევა შესაძლებელია. მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, თუ რა ისწავლა მოსწავლემ, არამედ მთავარია ცოდნის ხარისხი, ანუ როგორ ისწავლა და როგორ შეუძლია მას ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. რადგან მოსწავლეებს აქვთ განვითარებული განსხვავებული შესაძლებლობები, შესაბამისად, ისინი სხვადასხვა ხარისხით აღწევენ შედეგებს და მათი შეფასებაც ხდება ან მაღალი, ან დაბალი ქულებით.



2.8. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- ქალბატონო ეკა, ჩვენ უკვე ვისაუბრეთ საგნობრივ სტანდარტსა და სასწავლო შედეგზე და, თუ შეიძლება, მოკლედ გვითხარით, თუ რას გულისხმობს, რომელიც ასევე შედის საგნობრივ სასწავლო გეგმაში.

- დიახ, რა თქმა უნდა, გეტყვით. საგნობრივ პროგრამაში თითოეული კლასის მიხედვით თითოეულ საგანში საგნის სწავლების მიზნები და როგორც უკვე ვახსენეთ, სქემაში შედის , რაც გულისხმობს თითოეული კლასის ბოლოს მისაღწევ შედეგს და ასევე,, რომლის საშუალებით შესაძლებელია შევაფასოთ დავალების შესრულების

- ანუ რის საფუძველზე შეგიძლიათ შეაფასოთ შედეგები?

- როგორც ვთქვი, შედეგებს ვაფასებთ ინდიკატორის საშუალებით წინასწარ დადგენილი ამრიგად, ვიღებთ საგნობრივი სასწავლო გეგმის ისეთ სტრუქტურას, რომელშიც შედის საგნობრივი სტანდარტი, სასწავლო შედეგი, ინდიკატორი და საგნობრივი პროგრამა, ანუ

2.9. მოცემული სიტყვებისა და ზმნების გამოყენებით შეადგინეთ მოკლე ტექსტი და დაარქვით სათაური:

სრული, პრინციპული, განსაზღვრა, განვითარებული, გეგმა, წაყვანა, არასრული, დაწყებითი, საბაზო, ცვლილება, ინდიკატორი, შედეგი, უნარ-ჩვევები, დაფასება, საკითხი, გამოყენება, ხარისხი, საგანი, დაწყებითი, კრიტერიუმი, შრომითი სწავლება, განსაზღვრული.

.....
.....
.....
.....
.....

.....

.....

.....

.....

.....

2.10. უპასუხეთ შეკითხვებს და იმსჯელეთ მოცემულ საკითხებზე:

1. თქვენი აზრით, აუცილებელია ყველა სკოლამ გამოიყენოს საგნობრივი სასწავლო გეგმები? სასწავლო პროცესში რატომ არის მათი გამოყენება მნიშვნელოვანი?
2. რატომ არ არის შესაძლებელი მასწავლებლისთვის საგნობრივი სასწავლო გეგმის შეცვლა?
3. როგორ ფიქრობთ, მშობელს უნდა ჰქონდეს თუ არა ინფორმაცია საგნობრივი სასწავლო გეგმის შესახებ?
4. შეუძლია თუ არა მოსწავლეს თითოეულ საგანში მიღებული უნარ-ჩვევების გამოყენება არა მარტო სასკოლო ცხოვრებაში, არამედ სრული ზოგადი განათლების მიღების შემდეგ მთელი ცხოვრების განმავლობაში?

ნაწილი III

სასწავლო გეგმები

3.1. წინადადებებში შესაბამის ადგილზე ჩასვით მოცემული ფრაზები:

ნიმუში: ჯონ დიუს აზრით, სწავლებისთვის განკუთვნილი ცოდნა უნდა იყოს ფსიქოლოგიურად და ლოგიკურად ორგანიზებული.

ლოგიკურად ორგანიზებული

- სასწავლო გეგმა
- დამხმარე რესურსები
- მასწავლებლის მუშაობა
- გაკვეთილის გეგმა
- მოსწავლის მოტივაცია
- საგნობრივ კათედრებზე
- მოსწავლის შესაძლებლობები
- სასწავლო წელი
- ინფორმაციის მიწოდება
- სასწავლო პროცესი

დახმარე სახელმძღვანელო ვადამოგებიანათვის

1. გაკვეთილებზე..... ხდება ნაბიჯ-ნაბიჯ, ანუ ეტაპობრივად.
2. სკოლებში იწყება სასწავლო პროცესის დაგეგმვით.
3. მასწავლებლები გეგმებს დაწერენ ეროვნული სასწავლო და საგნობრივი სასწავლო გეგმების საფუძველზე.
4. ლელამ თითოეული გაითვალისწინა და ისე ჩაატარა გამოცდა.
5. თუ სწორად იქნება დაგეგმილი, მაშინ ეს მართლაც გაამარტივებს შედეგების მიღწევას.
6. მოსწავლეებმა დააფასეს მათა და მის მიერ მომზადებული თვალსაჩინოება.
7. ეკამ ძირითადი სახელმძღვანელოს გარდა, ასევე გამოიყენა თვითნაღიბისთვის.
8. მაღალია, თუ ის ჩართულია სახალისო და მრავალფეროვან აქტივობებში.
9. არსებობს რამდენიმე ტიპის ძირითადად გეგმებს აქვთ ერთნაირი სტრუქტურირება.
10. მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა შეიმუშაოს

3.2. ა) დააკავშირეთ სიტყვები ერთმანეთთან:

ნიმუში: 2 ა – წლიური გეგმა

- | | |
სკოლის დირექციამ და მასწავლებლებმა ერთობლივად **ვიმუშავეთ** დასახული მიზნის მისაღწევად. **გავითვალისწინეთ** ესგ-ს მოთხოვნები და **დავვგვგმეთ** მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი; **გამოვიყენეთ** თანამედროვე მიდგომები და ტექნოლოგიები; **ჩავატარეთ** ისეთი ღონისძიებები, რომლებიც გათვალისწინებული იყო ტოლერანტი და ინტელექტუალური პიროვნებების აღზრდისთვის.

12. აირჩიეთ სწორი პასუხი და გახაზეთ: (2.0 ქულა)

საზოგადოების ფორმირება, ანუ ...	შექმნა	დანიშნულება	ჩამოყალიბება
სრულფასოვანი მოქალაქის მახასიათებლები, ანუ	კომპეტენციები	თვისებები	კრიტერიუმები
ზოგადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები, ანუ...	წერა- კითხვა	მოსმენა-საუბარი	წერა, კითხვა, საუბარი, მოსმენა
ცოდნის მიღება ხდება ეტაპობრივად, ანუ	თანმიმდევრულად	წარმატებულად	შინაარსობრივად
უნარების დემონსტრირება, ანუ	თქმა	ჩვენება	ახსნა

13. გახაზეთ სიტყვა, რომელიც არღვევს კანონზომიერებას: (5.0 ქულა)

ნიმუში: მოზარდი	მოქალაქე	ბავშვი	მოსწავლე
1. მახასიათებელი	თვისება	ფაქტი	ნიშანი
2. აკავშირებს	ხელს უწყობს	ეხმარება	თანამშრომლობს
3. სახალისო	საინტერესო	მრავალფეროვანი	ფსიქოლოგიური
4. ნაბიჯ-ნაბიჯ	ნელ-ნელა	გონივრულად	ეტაპობრივად
5. სასარგებლო	ორგანიზებული	ხელსაყრელი	სასურველი

14. უპასუხეთ განათლების ექსპერტის მიერ დასმულ კითხვებს:

(10.0 ქულა)

განათლების ექსპერტი: რა შემთხვევაში არის მოსწავლისთვის სწავლა საინტერესო და ეფექტური?

მასწავლებელი:

განათლების ექსპერტი: რა როლი აქვს მასწავლებელს?

მასწავლებელი:

განათლების ექსპერტი: რომელ აქტივობებს ანიჭებენ მოსწავლეები უპირატესობას?

მასწავლებელი:

განათლების ექსპერტი: რა უპირატესობა აქვს აღმოჩენებით სწავლებას?

მასწავლებელი:

განათლების ექსპერტი: რა უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა აღმოჩენებით სწავლების დროს?

მასწავლებელი:

15. დააკვირდით სურათს, დაასათაურეთ და დაწერეთ თემა:

(16.0 ქულა)

ა) დაასათაურეთ სურათი:

(2.0 ქულა)



ბ) დაწერეთ თემა (მოცულობა 100-120 სიტყვა):

(14.0 ქულა)

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

თავი IV

სააზროვნო უნარების განვითარება

ნაწილი I

სწავლების მეთოდები

1.1. ა) დააკავშირეთ სიტყვები ერთმანეთთან:

ნიმუში: 1 ბ – როლური თამაში

- | | |
|---------------------|---------------|
| 1. როლური | ა. სქემა |
| 2. ასახსნელი | ბ. თამაში |
| 3. წარმოსახვის | გ. საკითხი |
| 4. მოძიებული | დ. თემა |
| 5. ანალიტიკური | ე. ინფორმაცია |
| 6. ვენის | ვ. უნარი |
| 7. გრაფიკული | ზ. მოძიება |
| 8. გონებრივი | თ. გამოხატვა |
| 9. შესასწავლი | ი. დიაგრამა |
| 10. შთაბეჭდილებების | კ. იერიში |
| 11. მასალის | ლ. აზროვნება |

ბ) ლოგიკურად ჩასვით შესიტყვებები წინადადებებში; ყურადღება მიაქციეთ, რომ ზოგჯერ აუცილებელია სიტყვის ფორმის შეცვლა:

1. როლური თამაში ხელს უწყობს მოსმენის უნარ-ჩვევების განვითარებას.
2. ნონა ფიზიკის მასწავლებელია და გაკვეთილზე აქტიურად იყენებს დიაგრამებსა და
....., რაც მაქსიმალურად აადვილებს შესასწავლი მასალის ათვისებას.
3. ნიკას არ მოსწონს როლური თამაშები, იმიტომ რომ კარგი
... არ აქვს და, შესაბამისად, კარგად არ შეუძლია პერსონაჟების ქცევისა და განცდის გადმოცემა.
4. ჩემი აზრით, ეს მარტივად არ არის, უფრო მეტი საინტერესო მასალის მოძიება მჭირდება ამ თემის გარშემო.
5. ამ წიგნში მოცემულია სავარჯიშოები.
6. აქტივობის დასრულების შემდეგ ბავშვებს შეუძლიათ
7. ნინომ გაკვეთილზე გამოიყენა მრავალფეროვანი მეთოდები, ამიტომ ბავშვებმა ადვილად აღიქვეს და დაიმახსოვრეს
8. ბავშვებმა იმუშავეს ინდივიდუალურად და შემდეგ ერთმანეთს გაუზიარეს
9. მიზანია აზროვნების გააქტიურება.

10. ეკამ მოსწავლეებს ურჩია ჯანსაღი ცხოვრების წესზე.
11. ნასწავლი მასალის შეჯამების დროს ანამ გამოიყენა, სადაც მოვლენებს შორის ნათლად ჩანდა მსგავსება და განსხვავება.

1.2. ა) შეუცვალეთ სიტყვებს ფორმა ნიმუშის მიხედვით:

დაბეპირებული	დასაბეპირებელი
მოწესრიგებული	
გათვალისწინებული	
შეფასებული	
ჩატარებული	
მოძიებული	
განალიზებული	
დამუშავებული	
გაკეთებული	
გამარტივებული	
დაფასებული	

ბ) ჩასვით ეს სიტყვები შესაბამის წინადადებაში:

ნიმუში: გიორგის ხვალისთვის მთელი ტექსტი აქვს **დასაბეპირებელი**.

1. მასწავლებლის შრომა მართლაც არის
2. გაკვეთილზე არა მარტო ძირითადი, არამედ დამხმარე რესურსების გამოყენებაც მინდა, ამიტომ ინფორმაცია მაქვს.
3. დავალებების შერჩევისას არის მოსწავლეთა შესაძლებლობები.
4. ჩემი აზრით, ეს ტექსტი არის
5. სექტემბერში რამდენიმე პროექტი გვაქვს
6. როლური თამაშის შემდეგ ბავშვებს აქვთ პერსონაჟების ქცევა. გარდა ამისა, მათ წარმოსახვის უნარის საშუალებით უნდა გადმოსცენ მოქმედი გმირების განცდები.
7. მეექვსეკლასელების გარდა, ყველა კლასი არის
8. ამ კვირაშია სპორტული დარბაზი.
9. ვფიქრობ, ეს საკითხები არის კარგად
10. მაისის ბოლოს მასწავლებლებთან მაქვს კონფერენცია.

1.3. ა) შეავსეთ ცხრილი:

დღეს	გუშინ მთელი დღე	გუშინ	ხვალ	უნდა	ჯერ არ
ენვევა	ენვეოდა	მიენვია	მიენვევა	მიენვიოს	მისჩვევია
			შეზღუდავს		
					დამორჩილება
ეძლევა					
		დაეუფლა			

ბ) ზმნის საჭირო ფორმის გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: ჯგუფური მუშაობის დროს ბავშვი **ენვევა** საკუთარი აზრების თავისუფლად ჩამოყალიბებას.

1. გუშინ
2. დღეს
3. ჯერ არ
4. ხვალ
5. გუშინ მთელი დღე
6. უნდა
7. ხვალ
8. თურმე
9. შეიძლება
10. დღეს

1.4. წაიკითხეთ წინადადებები და ნიმუშის მიხედვით შეუცვალეთ ზმნას ფორმა:

ნიმუში: ბავშვები **ფლობენ** თანამედროვე ტექნოლოგიებს.

- ა) ბავშვები, **ალბათ, დაეუფლებიან** თანამედროვე ტექნოლოგიებს.
- ბ) ბავშვები **შეიძლება დაეუფლონ** თანამედროვე ტექნოლოგიებს.
- გ) ბავშვები **თურმე დაუფლებიან** თანამედროვე ტექნოლოგიებს.

1. მასწავლებელი არ **ზღუდავს** მოსწავლეებს დროში.
 - ა)
 - ბ)
 - გ)
2. საკლასო დისკუსიის დროს მონაწილეებს შესაძლებლობა **ეძლევათ** თავიანთი მოსაზრება გამოთქვან პრობლემის შესახებ.
 - ა)
 - ბ)

- გ)
3. ასახსნელი მასალის გადაცემის შემდეგ ლანა ბავშვების ცოდნას სხვადასხვა თვალსაჩინოებით **განამტკიცებს**.
- ა)
- ბ)
- გ)
4. მაკა არა მარტო დროს, არამედ რესურსებსაც ეფექტურად **ანაწილებს**.
- ა)
- ბ)
- გ)
5. ნინო **აღნიშნავს**, რომ ინტერაქტიული სწავლებისას როგორც პედაგოგს, ისე მოსწავლესაც აქვს მიღწეულ შედეგზე პასუხისმგებლობა.
- ა)
- ბ)
- გ)
6. ბავშვები ერთმანეთს **უსვამენ** საინტერესო კითხვებს მოძიებული ინფორმაციის გარშემო.
- ა)
- ბ)
- გ)
7. ჯგუფური მუშაობის დროს მოსწავლეები **ენვევიან** ერთმანეთთან თანამშრომლობას.
- ა)
- ბ)
- გ)
8. დისკუსიის მსვლელობის დროს ყველა ბავშვი **ემორჩილება** წინასწარ შემუშავებულ წესებს.
- ა)
- ბ)
- გ)
9. ვენის დიაგრამის დახმარებით მოსწავლეები ვიზუალურად **აღიქვამენ** ორ საგანს ან მოვლენას შორის არსებულ მსგავსებასა და განსხვავებას.
- ა)
- ბ)
- გ)
10. მშობლების ჩართვა სასკოლო ცხოვრებაში მოსწავლეებს დადებითად **განაწილებს** სკოლის მიმართ.
- ა)
- ბ)
- გ)

1.5. წაკითხეთ წინადადებები და გახაზეთ სწორი ვარიანტი:

ნიმუში: ანა საგნობრივ სასწავლო გეგმაში **ნურაფერს/ვერაფერს** შეცვლის.

1. გაკვეთილზე წინოს ძირითადი სახელმძღვანელოს გარდა **არაფერი/ნურაფერი** გამოუყენებია.
2. საკლასო დისკუსიის დაწყებამდე საჭიროა გარემოს სწორად ორგანიზება და ამ პროცესის დასრულებამდე **ნურაფერს/არაფერს** ურჩევთ მოსწავლეებს.
3. ნიკამ თემის ირგვლივ **ვერაფერი/ნურაფერი** გაიხსენა.
4. თუ მოსწავლე მიწოდებული ინფორმაციიდან **ნურაფერს/არაფერს** დაამუშავებს, მაშინ ვერ გამოარჩევს მნიშვნელოვან ელემენტებს.
5. ვფიქრობ, მშობლებმა ღონისძიების ჩატარების შესახებ **ვერაფერი/არაფერი** იციან.
6. ელენემ ახალი მასალიდან **ვერაფერი/ნურაფერი** დაიმახსოვრა.
7. დირექტორის გარეშე ვერ **ნურაფერს/ვერაფერს** განიხილავთ.
8. მოსწავლეებმა ადვილად აღიქვეს და გაიაზრეს შესასწავლი საკითხი, ანუ **ნურაფერი/არაფერი** დარჩა ასახსნელი და გაუგებარი.
9. მასწავლებელსა და მშობლებს ბავშვების წაყვანა უნდათ ექსკურსიაზე, მაგრამ ვერ **ვერაფერი/ნურაფერი** მოახერხეს.
10. სკოლის ადმინისტრაციამ გაავრცელა განცხადება კონკურსის ორგანიზების, ჩატარების ადგილისა და დროის შესახებ, ამიტომ ჩვენ **ნურაფერს/ვერაფერს** შევცვლით.

1.6. შეარჩიეთ ერთი თანდებული და ჩასვით წინადადებებში შესაფერის ადგილას: ... ნათ. ბრ. + ის ირგვლივ/გარშემო

ნიმუში: ჯგუფმა უნდა მოიფიქროს კითხვები სადისკუსიო თემის ირგვლივ.

1. გამოწვევის ფაზაში მოსწავლეები იხსენებენ, რა იციან შესასწავლი საკითხი
2. მოსწავლეებს მოსწონთ ჯგუფურად მუშაობა და ყოველთვის ლუკას მერხი მსჯელობენ სხვადასხვა თემაზე.
3. ნიკას სრულყოფილად აქვს მოძიებული, შეფასებული და გაანალიზებული ინფორმაცია პრობლემა
4. ჩვენი სკოლის ეზო ბევრი ლამაზი ყვავილია.
5. უშმ ბავშვების ჩვენს სკოლებში ხშირად ფიქრობენ და მათთვის ხშირად ქმნიან აქტივობებს.
6. გონებრივი იერიშის დროს მასწავლებელი ადგენს, რა ცოდნას ფლობენ მოსწავლეები ასახსნელი და შესასწავლი თემა
7. შეხვედრაზე ვისაუბრეთ სკოლაში არსებული სიტუაცია
8. კლასში დაფა არის თვალსაჩინოებები, რომლებიც ეხმარება ბავშვებს სასწავლო მასალის დამახსოვრებაში.
9. მასწავლებელი სვამს ისეთ შეკითხვებს, რომლებიც სურათების განსხვავებული მოსაზრებების დაფიქსირების საშუალებას მისცემს მოსწავლეებს.
10. გაკვეთილზე მოსწავლეები ჩართული არიან დისკუსიებსა და ანალიზში ტექსტი

1.7. წაიკითხეთ ჩარჩოში მოთავსებული სიტყვები და შესიტყვებები; გაააქტიურეთ თითოეული სიტყვა; შექმენით ტექსტი და დაარქვით სათაური:

ორგანიზება, დაფიქსირებული, სააზროვნო უნარები, შთაბეჭდილება, ანალიტიკური, მოძიება, შერჩევა, წარმოსახვა, დაფიქსირება, გრაფიკული სქემები, განცდა, წინაპირობა, გაანალიზებული, მიზეზშედეგობრიობის დიაგრამა, შემოქმედებითი, მეთოდი, საკლასო დისკუსია, ნათლად, კრიტიკული აზროვნება, ვიზუალურად აღქმა, მაქსიმალურად, მსგავსება.

1.8. ა) წაიკითხეთ ტექსტი და დაასათაურეთ:

.....

გაკვეთილის ჩატარება სხვადასხვა მეთოდის დახმარებით არის შესაძლებელი. ყველა მეთოდს აქვს გამოყენების წინაპირობა. მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომელი მეთოდი რა უნარებს ავითარებს და რა არის მისი დადებითი მხარე.

დისკუსია არის ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი მეთოდი, რომლის მიზანი სხვადასხვა მიდგომის, იდეისა თუ პრობლემის ჯგუფში განხილვაა. დისკუსია ეხმარება მოსწავლეებს ისეთი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში, როგორებიცაა: მსჯელობა, განსხვავებული აზრის მოსმენა, ერთმანეთის პატივისცემა და ა. შ. ამ დროს მასწავლებელი ასრულებს ფასილიტატორის როლს და მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ, გამოხატონ საკუთარი აზრი საკითხის ირგვლივ.

გონებრივი იერიში ხელს უწყობს შემოქმედებითი, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების განვითარებას. გონებრივი იერიში მიჰყავს მასწავლებელს. მან უნდა შეძლოს პროცესში ყველა მოსწავლის ჩართვა. მასწავლებელმა უნდა შექმნას უსაფრთხო გარემო, სადაც მოსწავლეები თავისუფლად გამოხატავენ როგორც მოსაზრებებს, ისე - შთაბეჭდილებებს.

ბ) შეეცადეთ თქვენი სიტყვებით გადმოსცეთ, რაზეა საუბარი ტექსტში:



1.9. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- ქალბატონო ლია, საქართველოს ყველა სკოლაში წარმატებით ნერგავენ პრაქტიკაში ინტერაქტიულ მეთოდებს. მასწავლებლები ხშირად იყენებენ დისკუსიის, გონებრივი იერიშისა და როლური თამაშის მეთოდს. თქვენ როგორ ეხმარებით მოსწავლეებს განვითარებაში?
- დიახ, მასწავლებლები გაკვეთილზე იყენებენ სხვადასხვა მეთოდს. ყველა მეთოდს აქვს გამოყენების წინაპირობა, ანუ მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომელი მეთოდი რა უნარებს ავითარებს. მაგალითად, მოსწავლეებში ანალიტიკური აზროვნების განვითარებას უწყობს ხელს გამოყენება. შედარების დროს ძირითადად დიაგრამას ვიყენებ. მისი საშუალებით მოსწავლეს საკითხის აღქმა შეუძლია. გარდა ამისა, ვიყენებ მიზემშედგობრიობის დიაგრამას, სადაც არის დაფიქსირებული პრობლემის მიზეზები და შედეგები.
- რას ურჩევთ მასწავლებლებს, როგორ შეუძლიათ დაეხმარონ მოსწავლეებს აზროვნების განვითარებაში?
- მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ როგორც სხვათა აზრის მოსმენისა და გათვალისწინების, ისე საკუთარი მოსაზრების და დაცვის უნარი.
- დაბოლოს, რას გვეტყვით უნარის განვითარებაზე?
- უფრო მეტი დრო მიეცით მოსწავლეებს პრობლემის თავისუფალი დისკუსიისა და აზროვნებისთვის. გამოიყენეთ ისეთი აქტივობები, რომლებიც მოსწავლეებში ავითარებენ ბევრმა კვლევამ დაადასტურა, რომ ბავშვს სჭირდება თავისუფალი დრო ფიქრისა და წარმოსახვისთვის.
- ძალიან დიდი მადლობა საინტერესო საუბრისთვის.

1.10. უპასუხეთ კითხვებს და იმჯელეთ მოცემულ საკითხებზე:

1. რა არის დისკუსიის, გონებრივი იერიშისა და როლური თამაშების დადებითი მხარეები?
2. რა უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა დისკუსიის, როლური თამაშისა და გონებრივი იერიშის ეფექტიანად მართვისთვის?
3. ინტერაქტიული სწავლებისას დისკუსიის, როლური თამაშებისა და გონებრივი იერიშის გარდა, კიდევ რომელ მეთოდებს იყენებენ? რომელი მეთოდები აადვილებს მაქსიმალურად შესასწავლი მასალის ათვისებას?
4. თქვენი აზრით, რა შეიძლება იყოს დისკუსიის სუსტი მხარე? გონებრივი იერიში მართო მასწავლებელს მიჰყავს, თუ მოსწავლესაც შეუძლია მისი წაყვანა? როლური თამაშის შეჯამებისას რა უნდა იყოს

ცოდნის ტრანსფერი და ინტეგრირებული სწავლება

განალიზებული და შეფასებული?

2.1.ა) გმნებს შეუცვალეთ ფორმა ნიმუშის მიხედვით:

ენიჭება	მიენიჭება
ეცვლება	
ეყრდნობა	
ეძლევა	
ხასიათდება	
ემორჩილება	
ეჩვევა	
ეფუძნება	
ეუფლება	
ინერგება	
ზღუდავს	

ბ) წაიკითხეთ წინადადებები და ნიმუშის მიხედვით ჩასვით შესაბამისი გმნები საჭირო ადგილას:

ნიმუში: ელენეს მიენიჭება უფროსი მასწავლებლის სტატუსი.

1. II მსოფლიო ომთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელსაც, ჩემი აზრით, გიორგი, სრულყოფილი არ არის.
2. ოჯახის ბიუჯეტის გონივრულად დაგეგმვა მათემატიკაში მიღებულ ცოდნას
3. საგაკვეთილო პროცესი უნდა იყოს საინტერესო, მოსწავლეებს მოტივაცია უფრო მაღალი ექნებათ და, შესაბამისად, სწავლის მიმართ დამოკიდებულება.
4. ინტეგრირებული სწავლების დროს მოსწავლე ერთ საგანში მიღებული ცოდნის გამოყენებას მეორე საგნის წინარე ცოდნად.
5. ჩემი აზრით, პრეზენტაციის დახმარებით ბავშვები საკმაო ცოდნას გარემოს შესახებ.
6. გონებრივი იერიშის დროს მასწავლებელი არ მოსწავლეებს, ანუ მათ საშუალება ექნებათ ჩამოაყალიბონ რაც შეიძლება მეტი იდეა.
7. საქართველოს ყველა სკოლაში სწავლების ინტერაქტიული მეთოდები.
8. სსსმ არის მოსწავლე, რომელიც ფიზიკური და გონებრივი განვითარების დარღვევით.
9. იმ მოსწავლის მიმართ, ვინც არ დისკუსიამდე შემუშავებულ წესებს, მასწავლებლის მხრიდან საჭირო იქნება შესაბამისი რეაგირება.
10. მასწავლებლებს შესაძლებლობა ჩაატარონ ინტეგრირებული გაკვეთილები.

2.2.ა) შეავსეთ ცხრილი:

დღეს	გუშინ მთელი დღე	გუშინ	ხვალ	უნდა	ჯერ არ
ეცვლება	ეცვლებოდა	შეეცვალა	შეეცვლება	შეეცვალოს	შეეცვლია
		დაეფუძნა			
				დახასიათდეს	
	ეყრდნობოდა				
			მიენიჭება		
ეჩვენება					

ბ) ზმნის საჭირო ფორმის გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: მეექვსეკლასელებს გაკვეთილების ცხრილი შეეცვლიათ.

11. ხვალ
12. დღეს
13. ჯერ არ
14. გუშინ
15. გუშინ მთელი დღე
16. უნდა
17. ხვალ -
18. თურმე
19. შეიძლება
20. დღეს

2.3. ხაზი გაუსვით ზმნის სწორ ფორმას:

ნიმუში: დიმიტრი უზნაძის აზრით, ადამიანის აზროვნება ხასიათდება/ენიჭება ტრანსპოზიციის, ანუ გადატანის უნარით.

1. ეს სახელმძღვანელო **ეყრდნობა/ხასიათდება** მოსწავლეზე ორიენტირებულ მეთოდებს.
2. თუ ახალი სასწავლო მასალა **დაემორჩილება/დაეფუძნება** წინარე ცოდნას, მაშინ მოსწავლე უფრო ადვილად დაიმახსოვრებს მას.
3. ქალბატონმა იამ გონებრივი იერიშის მეთოდის გამოყენების დროს არ **შეზღუდა/დახასიათდა** მოსწავლეები და არ შეაფასა კრიტიკულად მათი არცერთი იდეა.
4. შეხვედრაზე ყურადღება **გამამხვილეს/გაანაწილეს** ახალგაზრდების დასაქმებასა და საზოგადოებაში ინტეგრაციაზე.
5. შემოქმედებითი აზროვნება **ეყრდნობა/ხასიათდება** იდეების მრავალფეროვნებით.
6. ინტეგრირებული გაკვეთილების დახმარებით მოსწავლეებს **ეძლევათ/ეცვლებათ** სწავლის მიმართ დამოკიდებულება.

7. ნინომ მასწავლებლებთან შეხვედრის დროს **გამოყო/დაეყრდნო** რამდენიმე მთავარი საკითხი ცოდნის ტრანსფერსა და ინტეგრირებულ სწავლებასთან დაკავშირებით.
8. მოსწავლეები **ასახავენ/ეჩვენებენ** ერთ დისციპლინაში მიღებული ცოდნის გადატანას მეორეში. ამ დროს მოსწავლეები განსაკუთრებით ადვილად ითვისებენ ახალ მასალას მონათესავე საგნებში.
9. მასწავლებლები **აღნიშნავენ/ალიქვამენ**, რომ ტრანსფერის უნარის გარეშე მოსწავლე დაგროვებულ ცოდნას ეფექტურად ვერ გამოიყენებს.
10. დაწყებით საფეხურზე განსაკუთრებული მნიშვნელობა **ენიჭება/ეფუძნება** ბავშვების სპორტულ ღონისძიებებში ჩართვას.

2.4. ა) დააკავშირეთ სიტყვები ერთმანეთთან:

ნიმუში: 7 ა – ინტეგრირებული გაკვეთილი

- | | |
|-------------------------|-----------------|
| 1. დაგროვებული | ა. გაკვეთილი |
| 2. მონათესავე | ბ. გააზრება |
| 3. ინტეგრირებული | გ. თემა |
| 4. სამყაროს | დ. მეცნიერებები |
| 5. ომის | ე. უნარი |
| 6. მაღალი | ვ. საგნები |
| 7. ინტეგრირებული | ზ. ცოდნა |
| 8. ჰუმანიტარული | თ. სწავლება |
| 9. საზოგადოებაში | ი. ინტეგრაცია |
| 10. ტრანსფერის | კ. შედეგები |
| 11. პასუხისმგებლობის | ლ. აღქმა |

ბ) ლოგიკურად ჩასვით შესიტყვებები წინადადებებში; ყურადღება მიაქციეთ, რომ ზოგჯერ აუცილებელია სიტყვის ფორმის შეცვლა:

ნიმუში: გუშინ ნინომ და თამუნამ იმსჯელეს იმაზე, თუ როგორ ჩაატარონ **ინტეგრირებული გაკვეთილი**.

1. ჩვენ განვიხილეთ რამდენიმე საკითხი.....
2. აუცილებელია შშმ პირების
3. კონკურსის მონაწილეებმა აჩვენეს.
4. საბუნებისმეტყველო საგნებში მიღებული ცოდნით ენიჭება ბავშვს
- უნარი.
5. ახალგაზრდამ უნდა შეძლოს პრაქტიკულად გამოყენება.
6. დღევანდელი გაკვეთილი არის, და მოსწავლეებს დაეხმარება პრეზენტაციის მომზადებაში.
7. მოიცავს როგორც ქართულ ენასა და ლიტერატურას, ისე ხელოვნებასა და უცხო ენას.

8. შესაძლებელია სკოლაში მიღებული ცოდნის გამოყენება ნაწილობრივ ან მთლიანად განსხვავებულ სიტუაციაში.
9. დროს მოსწავლე ახდენს ცალკეულ სასწავლო დისციპლინებში მიღებული ცოდნის სინთეზს.
10. თითოეულ მოქალაქეს უნდა ჰქონდეს გარემოს დაცვაზე საკუთარი
..... უნარი.

2.5. ჩასვით წინადადებებში შესაფერის ადგილას მოცემული სიტყვები:

ანალოგიური მოძიებული შესასწავლი აღიარებული თანდაყოლილი ასახსნელი
დაგროვებული დაფიქსირებული ანალიტიკური შეუძლებელი **დალაგებული**

ნიმუში: წრიულად დალაგებული მერხები დისკუსიის მონაწილეებს ეხმარება კომუნიკაციის უფრო ადვილად დამყარებაში.

1. ეკამ ცოდნა ეფექტურად გამოიყენა საზოგადოებასთან ინტეგრაციისთვის.
2. ტრანფერის უნარი არ არის, ამიტომ მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს ამ უნარის შექენასა და განვითარებაში.
3. მიზემშედევობრიობის დიაგრამაზე ნაწილობრივ იყო პრობლემის მიზეზები და შედეგები.
4. მოსწავლე გაკვეთილის არცოდნის შემთხვევაშიც კი უნდა იყოს დაფასებული და
5. ყველაფრის სწავლება და სწავლა არის
6. სწავლების მეთოდების შერჩევის მიზანი მოსწავლეებში კრიტიკული, შემოქმედებითი და
..... აზროვნების განვითარებაა.
7. თუ ადამიანი ერთხელ გადაჭრის პრობლემას, მისთვის აღარ იქნება რთული
..... ამოცანის შესრულება.
8. გიორგიმ ინფორმაცია მთლიანად დაამუშავა და, შესაბამისად, გამოიყენებს დასახული მიზნის მიღწევისთვის.
9. ირმა საინტერესო აქტივობებს გეგმავს თემის ირგვლივ.
10. მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა ადვილად აღიქვან და დაიმახსოვრონ
საკითხები.

2.6. მოცემული სიტყვებისა და ზმნების გამოყენებით შეადგინეთ მოკლე ტექსტი და დაარქვით სათაური:

ანალოგიური, საზოგადოება, ცვლა, შეუძლებელი, ინტეგრირებული, დაყრდნობა, დაგროვებული, გადატანა, მინიჭება, ხასიათი, დასაქმება, ტრანსფერი, დაფუძნება, ინტეგრაცია, მთლიანად, ტრანსპორტი, თანდაყოლილი, მონათესავე, საგანი, ნაწილობრივ, სიტუაცია, გაერთიანება, საბუნებისმეტყველო.

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

2.7. ა) წაიკითხეთ ტექსტი და შესაბამის ადგილზე ჩასვით მოცემული სიტყვები და ფრაზები:

ტრანსფერი	შექენა	წაახალისოს	მართლაც	მასწავლებელი	აზრით	დაგროვებული
		ნასწავლი	თანდაყოლილი	გადატანა		

ცნობილი ამერიკელი განათლების სპეციალისტის, დევიდ პერკინსის
 ეფექტიანი სწავლების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია, დავეხმაროთ პიროვნებებს ცოდნის გამოყენებაში.
 უნდა დაეხმაროს მოსწავლეს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის
 გამომუშავებაში. ერთ სიტუაციაში ნასწავლის განსხვავებულ სიტუაციაში გამოყენების უნარს
 ეწოდება.

ტრანსფერის უნარი არ არის მასწავლებლის დახმარებით შესაძლებელია ამ
 უნარის და განვითარება. მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს იმაზე,
 თუ როგორ არის შესაძლებელი შექმნილი უნარის სხვა სიტუაციაში. გარდა ამისა,
 თემის სწავლებისას მან უნდა მოსწავლეები, თვითონაც გააანალიზონ, თუ სად, როგორ
 და რა ფორმით გამოიყენონ მასალა. ტრანსფერის უნარის გარეშე
 შეუძლებელია მოსწავლემ ცოდნა პრაქტიკაში ეფექტურად გამოიყენოს.

ბ) კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტი და მისი შინაარსის მიხედვით დასვით კითხვები:

1.
.....
2.
.....
3.
.....
4.
.....
5.
.....



2.8. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- ა)
- ქალბატონო ია, თუ შეიძლება გვესაუბრეთ თქვენ მიერ ჩატარებული გაკვეთილის შესახებ.
 - სიამოვნებით, მასწავლებელი უნდა იყოს ასეთი მიდგომა სასწავლო პროცესს უფრო საინტერესოსა და მრავალფეროვანს გახდის., რომ მოსწავლეები ინტეგრირებული გაკვეთილებით უფრო კარგად სწავლობენ, ვიდრე ჩვეულებრივ პროცესში.
 - რა მიზნით ასეთი გაკვეთილი?
 - ინტეგრირებული გაკვეთილი დაგვეგმე მათემატიკის მასწავლებელთან ერთად მოსწავლეებში ტრანსფერის უნარის შექმნისა და განვითარების
 - ანუ მოსწავლეები ინტეგრირებული გაკვეთილებით სწავლობენ?
 - დიახ, ასეა. გაკვეთილის მსვლელობის დროს ბავშვებმა ერთმანეთს დაუკავშირეს მიღებული ცოდნა. მოსწავლეებმა იმუშავეს ჯგუფებში და ადვილად მოახერხეს ერთმანეთთან კომუნიკაცია და

- ბ)
- ქალბატონო ია, გავაგრძელოთ ჩვენი საუბარი., რთული ხომ არ იყო სხვადასხვა სასწავლო დისციპლინაში მიღებული ცოდნის დაკავშირება?
 - ბევრი კვლევა, რომ მოსწავლეებისთვის არ არის ადვილი ერთ სიტუაციაში .. სხვა სიტუაციაში გამოყენება. მაგალითად, ის, რაც ისწავლეს მათემატიკაში, ბავშვებს ვერ გადააქვთ საგნების გაკვეთილებზე. მოსწავლემ რომ შეძლოს ერთ ნასწავლის სხვა დისციპლინაში, უნდა ისწავლოს კავშირების დამყარება, ანუ; ამიტომ ხშირად ვგეგმავთ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, რომ მოსწავლემ შეძლოს ტრანსფერი.
 - დიდი მადლობა საინტერესო საუბრისთვის.

2.9. წაიკითხეთ მოცემული წინადადებები. აღნიშნეთ სწორი (+) და არასწორი (-) ინფორმაცია:

1.	აზროვნებას ერთხელ გადაჭრილი პრობლემის ხერხი ახალ პრობლემაზე ანალოგიურად გადააქვს.	+	
2.	მასწავლებლის როლია, დაეხმაროს მოსწავლეს ტრანსფერის უნარის განვითარებაში, რომელსაც ახალგაზრდები გამოიყენებენ ნაწილობრივ ან მთლიანად განსხვავებულ სიტუაციაში.		
3.	ტრანსფერი შეიძლება იყოს თანდაყოლილი.		

4.	მასწავლებლები ყოველდღე ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს.		
5.	მოსწავლეთა უმრავლესობა ინტეგრირებული გაკვეთილებით აღწევს ესგ სტანდარტით გათვალისწინებულ მაღალ შედეგს.		
6.	აღიარებულია, რომ ადამიანის აზროვნება ხასიათდება ტრანსპოზიციის, ანუ გადატანის უნარით.		
7.	საბუნებისმეტყველო საგნებში შედის ქიმია, ბიოლოგია და ისტორია.		
8.	ყველა სკოლაში ინერგება სწავლების ინტერაქტიული მეთოდები.		
9.	ინტეგრირებულ გაკვეთილს ორი საგნის მასწავლებელი გეგმავს.		
10.	ინტეგრირებულ გაკვეთილზე მოსწავლე სწავლობს, როგორ უნდა დააკავშიროს სხვადასხვა დისციპლინაში მიღებული ცოდნა.		

2.10. ისაუბრეთ თემაზე: „რა უპირატესობა ენიჭება ინტეგრირებული გაკვეთილის ჩატარებას“. გამოიყენეთ შემდეგი სიტყვები და ფრაზები:

სასწავლო დისციპლინები, თემა, პასუხისმგებლობის გააზრება, ჰუმანიტარული მეცნიერებები, ინტეგრირებული გაკვეთილი, დაგეგმვა, მონათესავე საგნები, წინარე ცოდნა, განსხვავებული, ცალკეული, სიტუაცია, უმრავლესობა, ომი, დეტალურად.

ნაწილი III
ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) გამოყენება სასწავლო პროცესში

3.1. წინადადებებში შესაბამის ადგილზე ჩასვით მოცემული ფრაზები:
ნიმუში: პედაგოგიურ პრაქტიკაში აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროექტები.

- სასწავლო პროექტები**
- რამდენიმე საფეხური
 - ბუნებრივი ნიჭი
 - ერთადერთი წყარო
 - სპეციფიკური სქემები
 - სლაიდშოუს წარდგენა
 - ერთობლივი მუშაობა
 - კომპეტენტური მომხმარებლები
 - დამკვიდრებული პრაქტიკა
 - თეორიის დაკავშირება
 - კვლევის ჩატარება

დახმარე სახელმძღვანელო ვადამოგებისათვის

1. მოსწავლეთა უმრავლესობა კარგად ფლობს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების უნარს, ამიტომ მათთვის მასწავლებელი აღარ არის ცოდნის მიღების
2. პროექტის მომზადების პროცესს აქვს
3. ინტერნეტრესურსების გამოყენება ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს გახდნენ ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების
4. სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების დანერგვით შესაძლებელია მოსწავლეებმა განივითარონ და სხვა საჭირო უნარ-ჩვევები.
5. ნიკამ ისწავლა Power-point-ის პროგრამაში მუშაობა და თავისუფლად შეუძლია
6. ინტეგრირებული გაკვეთილისთვის გვჭირდება....., რომლებიც ამ კვირაშია გასაკეთებელი.
7. ორი საგნის მასწავლებლის ხელს უწყობს ბავშვებში ტრანსფერის უნარის გამომუშავებას.
8., რომ კვლევით ან სხვა სახის პროექტზე მოსწავლეები ხან ინდივიდუალურად, ხან ჯგუფურად მუშაობენ.
9. ახალგაზრდებმა შეარჩიეს პროექტის თემა, მოიძიეს ინფორმაცია და ახლა სჭირდებათ , შემდეგ კი მონაცემთა ორგანიზება.
10. სასწავლო პროექტების სპეციფიკა ისაა, რომ მოსწავლეებს შეუძლიათ პრაქტიკასთან.

3.2. ა) დააკავშირეთ სიტყვები ერთმანეთთან:

ნიმუში: ნ ა – ტრადიციული განათლება

- | | |
|----------------------|---------------------|
| 1. ისტ-ის | ა. განათლება |
| 2. საინფორმაციო | ბ. ძებნა |
| 3. მოსამზადებელი | გ. კულტურა |
| 4. დამკვიდრებული | დ. მასალა |
| 5. თვალსაჩინო | ე. გამოყენება |
| 6. ტრადიციული | ვ. ტექნოლოგიები |
| 7. გამოცდილების | ზ. იდეები |
| 8. დამოუკიდებლად | თ. მიღება |
| 9. პრაქტიკული | ი. აქტივობები |
| 10. ინოვაციური | კ. პრაქტიკა |
| 11. ციფრული | ლ. პროექტი |

ბ) ლოგიკურად ჩასვით შესიტყვებები წინადადებებში; ყურადღება მიაქციეთ, რომ ზოგჯერ აუცილებელია სიტყვის ფორმის შეცვლა:

1. **ტრადიციული განათლება** არ იყენებს ინდივიდუალურ მიდგომებს თითოეულ ბავშვთან.

2. საშუალებით ცოდნის მიღება ბევრად უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე ტრადიციული მეთოდებით.
3. ინტეგრირებული გაკვეთილისთვის ჩვენი მოსამზადებელია.
4. ბავშვს თვითონ შეუძლია მოძებნოს სხვადასხვა შინაარსის ინფორმაცია და დაამუშავოს, ამიტომ მასწავლებელი აღარ არის ცოდნისა და ერთადერთი წყარო.
5. შეიძლება იყოს კვლევითი, ინტეგრირებული ან შემოქმედებითი.
6. ჩემი აზრით, უფრო ეფექტურად შეუწყობს ხელს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული უნარ-ჩვევების განვითარებას.
7. პრეზენტაციის შემდეგ მონაწილეებისთვის დაგეგმილია
8. ჩვენი დავალება იყო თემის ირგვლივ ინფორმაციის, მისი შეფასება, გაანალიზება და დამუშავება.
9. კონფერენციის მონაწილეები ერთმანეთს უზიარებენ ისტ-ის გამოყენების საუკეთესო პრაქტიკას, სტრატეგიებს და
10. ინოვაციური სასწავლო რესურსის შექმნაში ხშირად მასწავლებლები და მოსწავლეები ერთად არიან ჩართული, რაც ხელს უწყობს დამკვიდრებას სკოლაში.
11. სკოლებში არის, რომ ორი საგნის მასწავლებელი ატარებს ინტეგრირებულ გაკვეთილს.

3.3. ა) შეავსეთ ცხრილი:

დღეს	გუშინ მთელი დღე	გუშინ	ხვალ	უნდა	ჯერ არ
ირჩევა	ირჩეოდა	აირჩა	აირჩევა	აირჩეს	არჩეულა
იძებნება					
		შეფასდა			
					მიჩნეულა
			დამკვიდრდება		

ბ) ზმნის საჭირო ფორმის გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: მოსამზადებელი პროექტისთვის მოსწავლეების მიერ **აირჩევა** რამდენიმე თემა.

1. ხვალ
2. დღეს
3. გუშინ
4. ჯერ არ
5. გუშინ მთელი დღე
6. უნდა

- 7. ხვალ
- 8. დღეს
- 9. შეიძლება
- 10. თურმე

3.4. ხაზი გაუსვით ზმნის სწორ ფორმას:

ნიმუში: შემოქმედებითი ადამიანის ამროვნება ხასიათდება/ირჩევა იდეების მრავალფეროვნებით.

- 1. კონსტრუქტივისტული მიდგომის მიხედვით, მოსწავლეს სწავლაში **მიიჩნევა/ენიჭება** აქტიური და დამოუკიდებელი როლი.
- 2. **მიიჩნევა/ეფუძნება**, რომ ისტ-ის გამოყენება მოსწავლეებს ეხმარება სხვადასხვა დისციპლინით გათვალისწინებული შედეგების მიღწევაში.
- 3. ტექნოლოგიების გამოყენისთვის ადგილი ჯერ ვერ **მოიძებნა/მიეცა**.
- 4. კვლევითი პროექტისთვის 10 მონაწილიდან 5 ბავშვი **აირჩა/ენვევა**.
- 5. მოსწავლეებს პრეზენტაციების, ანუ სლაიდშოუს Power-point-ში წარდგენის შესაძლებლობა **შეფასდა/ მიეცათ**.
- 6. ყველა ადამიანი **ფლობს/მოიპოვებს** ფიზიკურ და ინტელექტუალურ უნარებს.
- 7. ჯგუფურად მუშაობის დროს მოსწავლეებმა უნდა **ადიქვან/დაემორჩილონ**, რომ მათი წარმატება ერთმანეთზე დამოკიდებული.
- 8. სასწავლო პროექტებისთვის მოსწავლეების მიერ ინტერნეტში მოძიებული ინფორმაცია **შეფასდება/ დაინერგება** და დამუშავდება.
- 9. ახალგაზრდები **აღმოაჩინენ/ენვევიან** სპეციფიკური სქემების, ილუსტრაციების, ფორმულებისა და აუდიო-ვიდეოფაილების შექმნას, რაც ხელს უწყობს ციფრული კულტურის დამკვიდრებას სკოლაში.
- 10. გიორგი **ახარისხებს/ზღუდავს** ინფორმაციას ინტერნეტრესურსებიდან.

3.5. ჩასვით წინადადებებში საჭირო უარყოფითი ზმნიზღებები: არსად/ვერსად/ნურსად ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: ბავშვების მიერ გაკეთებული პლაკატი ნინომ**ვერსად**..... ნახა.

- 1. ჯერ წახვალთ! კონფერენციის შემდეგ გაიმართება ტექნოლოგიების გამოყენა.
- 2. მე, ალბათ, წავალ სექტემბრის ბოლომდე, იმიტომ, რომ დასამუშავებელი მაქვს აუდიო-ვიდეოფაილები.
- 3. ვფიქრობ, ელენე ასახავს მის მიერ ჩატარებულ პრაქტიკულ აქტივობებს.
- 4. ბავშვებმა ნახეს მათ მიერ მოძიებული ინფორმაცია, ამიტომ ჯერ ვერ მოახერხებენ სლაიდშოუს წარდგენას Power point-ში.
- 5. ჯერ განიხილოთ პროექტთან დაკავშირებული საკითხები.
- 6. დღეს გაკვეთილების შემდეგ ბავშვები წავლენ, რადგან ილუსტრაციები და პლაკატები აქვთ გასაკეთებელი.
- 7. იტყვიან ამ დოკუმენტის შესახებ, სკოლის ადმინისტრაცია თვითონ გაავრცელებს ინფორმაციას ამაზე.

8. ევა ფიქრობს, რომ მისი შრომა არის დაფასებული.
9. წაიყვანთ ბავშვებს, ამ ოთახში კომპიუტერები ყველასთვის არის გათვალისწინებული.
10. ნიკას მართლაც აქვს განსაკუთრებული ნიჭი, მაგრამ ვერ გამოიყენა.

3.6. მოცემული სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით დაწერეთ მოკლე ტექსტი „ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ციფრული კულტურის დამკვიდრება სასკოლო ცხოვრებაში“:

ერთობლივი სლაიდშოუ თვალსაჩინო ნიჭი კვლევითი ტექნოლოგია ილუსტრაცია, კომპეტენტური პრეზენტაცია სპეციფიკა წარდგენა მოსამზადებელი სპეციფიკური ინტერნეტრესურსი ფორმულა დამკვიდრება ერთადერთი წყარო ინოვაცია ინტერფეისი ინოვაციური დამკვიდრებული სასწავლო პროექტები

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

3.7. ა) წაიკითხეთ ტექსტი და დაადგინეთ:

- რა მიზნით გაიმართა კონფერენცია?**
- ვინ იყვნენ მონაწილეები?**
- რას შეუწყობს ხელს სასწავლო პროცესში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვა და გამოყენება?**

ტექნოლოგიების კონფერენცია

გუმინ სასტუმრო „ტიფლისში“ საგანმანათლებლო ტექნოლოგიების კონფერენცია გაიმართა. მისი მიზანი იყო ტექნოლოგიური ინოვაციების გაზიარება მასწავლებლებისთვის. კონფერენციაში მონაწილეობას იღებდა 50 პედაგოგი. ქალბატონმა თეამ ყურადღება გაამახვილა სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების სწორად გამოყენებაზე. მან ასევე ისაუბრა იმაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს სხვადასხვა საგანში ისტ-ის ინტეგრაცია.

კონფერენციის გარდა, გაიმართა ტექნოლოგიების გამოფენა იმ კომპანიების ორგანიზებით, რომლებიც ტექნოლოგიების სფეროში მოღვაწეობენ ან საგანმანათლებლო სემინტისთვის პროდუქციას ქმნიან. ბატონი ირაკლის თქმით, აუცილებელია უფრო მეტი პედაგოგისა და დირექტორის ჩართვა ასეთ ღონისძიებებში, მათთვის სიახლეების გაცნობა და ა.შ.

ქალბატონმა ანამ აღნიშნა, რომ ახალგაზრდა თაობა უნდა გახდეს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კომპეტენტური მომხმარებელი; აუცილებელია, განვიითარონ ბუნებრივი ნიჭი და საჭირო უნარები. მაგალითად, მისი თქმით, ისტ-ის გამოყენება მოსწავლეებს უვითარებს კვლევისა და ინფორმაციის ძიების უნარს. ასევე, მათ უნდა შეძლონ საკუთარი პროდუქტის შექმნა და პრეზენტაცია. მასწავლებელთან

ერთად ერთობლივი მუშაობით უნდა მოახერხონ ისეთი თვალსაჩინო მასალის შექმნა, როგორცაა სპეციფიკური სქემები, დიაგრამები, ფორმულები, ილუსტრაციები, პლაკატები, აუდიო-ვიდეოფაილები და ა.შ.

„კონფერენცია ყოველ წელს გაიმართება და მასში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა უფრო მეტ მასწავლებელს ექნება“. - აღნიშნა ქალბატონმა თეამ. დაბოლოს, მან კონფერენციის ყველა მონაწილეს გადასცა სერტიფიკატი.

ბ) უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რა თქვა ბატონმა გიორგიმ?
2. რაზე გაამახვილა ყურადღება ქალბატონმა თეამ?
3. რას ფიქრობს ქალბატონი ანა ისტ-ის გამოყენებაზე?



3.8. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- ქალბატონო დიანა, თუ შეიძლება გვესაუბრეთ სასწავლო პროექტებთან დაკავშირებით.
- პრაქტიკაა, რომ მოსწავლეები ხან ინდივიდუალურად, ხან ჯგუფურად მუშაობენ. პროექტი შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის და ნებისმიერ სასწავლო დისციპლინას უკავშირდებოდეს. პროექტის მომზადების პროცესს აქვს რამდენიმე
- ამ დროს როგორ ხდება ინფორმაციის მოძიება, ანუ რა საშუალებებს იყენებენ პროექტის მონაწილეები?
- ინფორმაციის მოსაძიებლად მოსწავლეები იყენებენ ეს კი საშუალებას აძლევს ახალგაზრდებს, გახდნენ ისტ-ის მომხმარებლები.
- მართლაც ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა.
- დიახ, ასეა. უკვე წარმოუდგენელია მის გარეშე არსებობა. მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ უნარი, გამოიყენონ ტექნოლოგიები და მათი საშუალებით გახდეს ინფორმაცია. მათ უნდა შეძლონ საკუთარი შექმნა და პროექტის დასასრულს მისი
- , ანუ სლაიდშოუს წარდგენა Power point-ში.
- კარგი მიდგომაა, რომ სასწავლო პროექტების დახმარებით მოსწავლეები თეორიას აკავშირებენ პრაქტიკასთან.
- დიახ, სასწავლო პროექტების სწორედ ესაა.
- დიდი მადლობა, ქალბატონო დიანა საინტერესო ინფორმაციის გაზიარებისთვის.

3.9. იპოვეთ და მონიშნეთ განსხვავებული სიტყვა:

1. ილუსტრაციები, პლაკატები, ინოვაცია, აუდიო-ვიდეოფაილები.
2. ინტერფეისი, ტრანსფერი, ინტეგრაცია, ერთობლივი.
3. სპეციფიკა, იძებნება, ირჩევა, ფასდება.
4. კვლევითი, სპეციფიკური, ინოვაციური, პრეზენტირება.
5. არსად, ხან...ხან..., ვერსად, ნურსად.

6. ინდივიდუალურად, ერთადერთი, ჯგუფურად, ერთობლივად.
7. მიჩნევა, დამკვიდრება, ძებნა, წყარო.
8. კვლევითი, ნიჭი, ინტეგრირებული, შემოქმედებითი.
9. გამოფენა, ღონისძიება, კონფერენცია, ინტერფეისი.
10. საინფორმაციო ტექნოლოგიები, ხელს უწყობს, ერთადერთი წყარო, ციფრული კულტურა.

3.10. უპასუხეთ კითხვებს და იმსჯელეთ მოცემულ საკითხებზე:

1. რომელი საფეხურები არის გასათვალისწინებელი სასწავლო პროექტის მომზადების დროს? აღნიშნეთ თითოეული მათგანის ძირითადი მახასიათებლები.
2. რატომ არის მნიშვნელოვანი ციფრული კულტურის დამკვიდრება სასწავლო პროცესში?
3. რა დადებითი გავლენა შეიძლება ჰქონდეს მოსწავლეზე ისტ-ის გამოყენებას?
4. რა განსხვავებაა ტრადიციულ და თანამედროვე განათლებას შორის?

ქვევის მართვა

ნაწილი I

ბიჰევიორისტული თეორია

1.1. წინადადებებში ჩასვით გამოტოვებული სიტყვები სათანადო ბრუნვაში:

ბიჰევიორიზმი	ამბიცია	ტრავმა	ლონისძიება	ზიანი	ქცევამეცნიერება
ლიდერობა	უპასუხისმგებლობა	დასჯა	რეაქცია	შედევანი	

ნიმუში: ბიჰევიორიზმი ინგლისური სიტყვაა და ქცევამეცნიერებას ნიშნავს.

1. მასწავლებელს უნდა ჰქონდეს სწორი რთული სიტუაციების დროს. მან არასდროს უნდა მიაყენოს ზიანი მოსწავლის განვითარებას.
2. პოზიტიური დასჯის მეთოდი არის როგორც მოკლევადიან პერიოდში, ასევე, გრძელვადიან პერსპექტივაში.
3. ირაკლის შეუძლია ამ სპორტული ორგანიზება.
4. მასწავლებელს არასასურველი ქცევის განმტკიცებით მოსწავლეებში გაუზრდია
5. ამერიკელი ფსიქოლოგის, სკინერის მიხედვით, დასწავლისათვის უმნიშვნელოვანესია განმტკიცებისა და გამოყენება.
6. დასჯისას მასწავლებელმა არ უნდა მიაყენოს მოსწავლის თვითშეფასებას.
7. შეისწავლის ადამიანის ქცევის ცვლილებას სწავლის პროცესში.
8. ია უნიჭიერესი მოსწავლეა, მას განვითარებული აქვს როგორც შემოქმედებითი, ისე უნარი.
9. ავთომ არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ ფსიქოლოგიური მიიღო.
10. პოზიტიური დასჯის მეთოდი არ უშლის ხელს მოზარდში ემპათიისა (თანაგრძობის) და ჯანსაღი უნარის განვითარებას.

1.2. ა) დააკავშირეთ სიტყვები ერთმანეთთან:

ნიმუში: 2 ა – დადებითი უარყოფითი

- | | |
|---------------------|-----------------|
| 1. გრძელვადიანი | ა. უარყოფითი |
| 2. დადებითი | ბ. ჯგუფური |
| 3. სასურველი | გ. ეფექტური |
| 4. პოზიტიური | დ. შენიშვნა |
| 5. გაკეთებული | ე. ნეგატიური |
| 6. შექება | ვ. გასაკეთებელი |
| 7. უპასუხისმგებლობა | ზ. მოკლევადიანი |
| 8. არაეფექტური | თ. არასასურველი |

- | | |
|-------------------|----------------------|
| 9. ბიპევიორისტული | ი. პასუხისმგებლობა |
| 10. ფიზიკური | კ. ფსიქოლოგიური |
| 11. ინდივიდუალური | ლ. კონსტრუქტივისტული |

ბ) ჩასვით წინადადებებში ზემოთ დაკავშირებული წყვილები:

ნიმუში: ზოგიერთ ბავშვს დადებითი, ზოგს კი უარყოფითი დამოკიდებულება აქვს სწავლის მიმართ.

1. ზოგადად, დასჯა არის , მაგრამ პოზიტიური დასჯა ერთ-ერთი
..... მეთოდია, რომელიც მიზნის მიღწევაში დაგვეხმარება.
2. მუშაობისგან განსხვავებით, მუშაობის დროს ბავშვი ეჩვევა თანაკლასელებთან თანამშრომლობას.
3. ეკას განმტკიცების ნაცვლად გამოუყენებია.
4. შეხვედრაზე განიხილეს როგორც, ისე პერსპექტივები. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ფიზიკური დასჯის გამოყენება უარყოფით ეფექტს მოიტანს, განსაკუთრებით, გრძელვადიან პერსპექტივაში.
5. დიანას თვალსაჩინო მასალა ჰქონია ინტეგრირებული გაკვეთილისთვის, ანას კი აქვს.
6. მასწავლებელს განუმტკიცებია არასასურველი ქცევა და მოსწავლეებში გაუზრდია, ამიტომ უმნიშვნელოვანესია, მასწავლებელმა ასწავლოს მოსწავლეს
7. დასჯის შედეგად ბავშვმა მძიმე ტრავმა მიიღო.
8. გიორგი ნიჭიერი ბავშვია და მიყვარს მისი, თუმცა არასასურველი ქცევის გამო, რამდენჯერმე მივეცი დღეს გაკვეთილზე
9. მიდგომის მიხედვით, მოსწავლე სწავლის პროცესში პასიურია,
..... თეორიის მიხედვით კი მოზარდი სწავლის პროცესის აქტიური მონაწილეა.
10. მასწავლებელმა უნდა განამტკიცოს ქცევები, ქცევის შემთხვევაში კი გამოიყენოს პოზიტიური დასჯის მეთოდი.

1.3. ა) შეავსეთ ცხრილი:

დღეს	გუშინ მთელი დღე	გუშინ	ხვალ	უნდა	ჯერ არ
ასუსტებს	ასუსტებდა	შეასუსტა	შეასუსტებს	შეასუსტოს	შეუსუსტებია
				განამტკიცოს	
		გამომამუღავნა			
	ერთვებოდა				
					შესწავლილა

ბ) ზმნის საჭირო ფორმის გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: პოზიტიური დასჯა არ გულისხმობს ფიზიკურ დასჯას. მისი მიზანია, შეასუსტოს არასასურველი ქცევა.

1. ხვალ
2. დღეს
3. გუშინ
4. ჯერ არ
5. გუშინ მთელი დღე
6. უნდა
7. ხვალ
8. ჯერ არ
9. შეიძლება
10. თურმე

გ) ჩასვით ზმნების აქტიური და პასიური ფორმები სწორად:

ნიმუში:

აქტიური	პასიური
ასუსტებს	სუსტდება
გაამჟღავნა	
	მტკიცდება
ჩართო	
	ისწავლება

1.4. შეცვალეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: შაბათს სკოლის ეზოში ნიკოს სპორტული ღონისძიება ჩაუტარებია.

შაბათს სკოლის ეზოში ნიკოს მიერ სპორტული ღონისძიება ჩატარებულა.

1. ბავშვებს დაუსწავლიათ სასურველი ქცევები.
.....
2. ზოგჯერ სლაიდშოუს წარდგენის დროს ნათია რთავს ვიდეოებს.
.....
3. პრეზენტაციებისთვის ანამ არსებული ინფორმაციიდან საჭირო მასალა აარჩია.
.....
4. მიჩნეულია, რომ მოსწავლეები საშინაო დავალებების შესრულებით განამტკიცებენ მტკიცე ცოდნას.
.....
5. ეკას მოუძებნია საინტერესო მასალა ქცევათმეცნიერებასთან დაკავშირებით.
.....
6. ნიკა სწავლის მიმართ სიყვარულს ამჟღავნებს.
.....

7. მოსწავლეების სწავლის შედეგები მასწავლებლებმა შეაფასეს.
.....
8. პოზიტიური დასჯის მეთოდით ნინოს ნელ-ნელა შეუსუსტებია ბავშვების არასასურველი ქცევები.
.....
9. შეხვედრაზე განიხილეს ისტ-ის სწავლებასთან დაკავშირებული საკითხები.
.....
10. მარიამი მიიჩნევს, რომ დასჯამ შეიძლება გამოიწვიოს მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმა.
.....

1.5. წაიკითხეთ მოცემული წინადადებები. აღნიშნეთ სწორი (+) და არასწორი (-) ინფორმაცია:

1.	სკოლებში არასოდეს იმართება სპორტული ღონისძიებები.	-	
2.	თუ მასწავლებელი წახალისებს მოსწავლეს, ის გამოიყენებს პოზიტიურ განმტკიცებას.		
3.	სასურველი ქცევა მაშინვე უნდა განმტკიცდეს, როგორც კი გამოჩნდებოდეს მოსწავლის მიერ.		
4.	სკინერის მტკიცე აზრია, რომ ზოგადად დასჯა ქცევის შეცვლის ეფექტური მეთოდია.		
5.	ბავშვს შეუძლია ნებისმიერი ქცევის დასწავლა.		
6.	ნეგატიურისგან განსხვავებით, პოზიტიური დასჯა შედეგიანია.		
7.	ბიჰევიორისტული თეორია სწავლების დირექტიულ თეორიას წარმოადგენს.		
8.	დასჯილი ბავშვი ყოველთვის იღებს ფიზიკურ ტრავმას.		
9.	ასოციაციური დასწავლა არ საჭიროებს ინფორმაციის დამუშავებას, გაანალიზებასა და აზრის გამოტანას.		
10.	დასჯა უნდა იყოს რაც შეიძლება რბილი, რომ ზიანი არ მივაყენოთ მოსწავლის თვითშეფასებას.		

1.6. ა) წაიკითხეთ ტექსტი და შესაბამის ადგილზე ჩასვით მოცემული სიტყვები და ფრაზები:

სასურველი დირექტიული შეასუსტოს ნეგატიური ამრიგად განმტკიცება
დასწავლა ბიჰევიორისტული არასასურველი აზრით

..... სწავლების თეორია არის მასწავლებელზე ორიენტირებული,
..... სწავლება. ამ თეორიის მიხედვით, შესაძლებელია მოსწავლეებში ქცევის
შეცვლა და სასურველი ქცევის

სკინერის, დასწავლისთვის უმნიშვნელოვანესია განმტკიცებისა და დასჯის
გამოყენება. განმტკიცებას და დასჯაც შეიძლება იყოს არა მხოლოდ პოზიტიური, არამედ,
რადგან ნებისმიერი ქცევა შესაძლებელია განმტკიცდეს - კარგიც და ცუდიც.

პოზიტიური განმტკიცება ქცევის განმტკიცების ყველაზე ეფექტური მეთოდია,
ამიტომ სკინერი გვირჩევს მის გამოყენებას. ნეგატიურისგან განსხვავებით, პოზიტიური დასჯის მიზანია,

..... არასასურველი ქცევა. მაგალითად, თუ ბავშვმა არ იცის გაკვეთილი, მასწავლებელმა შეიძლება დაწეროს ცუდი ნიშანი იმ მიზნით, რომ ცუდი ქცევა შესუსტდეს.

....., ამ თეორიის მიხედვით, განმტკიცება უმნიშვნელოვანესია, რადგან მისი დახმარებით შესაძლებელია ისეთი ამოცანების გადაჭრა, როგორც არის ახალი ქცევის ფორმირება, უკვე არსებული ქცევის და არასასურველი ქცევის შესუსტება.

ბ) კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტი და მისი შინაარსის მიხედვით დასვით კითხვები:

1.
2.
3.

1.7. გამოიყენეთ მოცემული სიტყვები და ფრაზები; დაწერეთ ტექსტი „ბიჰევიორიზმი სასწავლო პროცესში“:

ზიანი, შედეგიანი, ღონისძიება, შეწყვეტა, ლიდერობა, ტრავმა, დასწავლა, ემპათია, თანაგრძნობა, უპასუხისმგებლობა, მოკლევადიანი პერიოდი, ამბიციაცია, ქცევათმეცნიერება, გამჟღავნება, რეაქცია, გრძელვადიანი პერსპექტივა, ჩართვა, ზოგადად, დასჯილი, სასურველი ქცევები, განმტკიცება, ნეგატიურისგან განსხვავებით.

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....



1.8. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- ქალბატონო ნონა, ბევრი ადამიანი თვლის, რომ ყველაზე წარმატებული სწავლების სტრატეგიაა. თქვენ როგორ ფიქრობთ, სწორია თუ არა ეს მოსაზრება?
- ეს მეთოდი დიდი წარმატებით გამოიყენება სწავლებაში. ბიჰევიორისტული მიდგომა სწავლება-სწავლაში ხაზს უსვამს..... . მასწავლებელმა უნდა შექმნას ისეთი

სასიამოვნო გარემო, სადაც ყველა ბავშვი აქტიურად იქნება ჩართული საგაკვეთილო პროცესში, მიიღებს მონაწილეობას სპორტულ , ითანამშრომლებს თანაკლასელებთან და ა. შ.

- მასწავლებლები წახალისებანთან ერთად დასჯასაც ხომ იყენებენ?
- რა თქმა უნდა, იყენებენ. ზოგადად არაეფექტურია, მაგრამ თუ ის აუცილებელია, რაც შეიძლება რბილი უნდა იყოს, რომ არ მივაყენოთ მოსწავლის თვითშეფასებას. დასჯა შესაძლებელია იყოს არა მხოლოდ ნეგატიური, არამედ მაგალითად, პოზიტიური დასჯის მიზანია, მოსწავლეებში არასასურველი ქცევა,
 - ანუ ეს მეთოდი ?
 - დიახ, რა თქმა უნდა, შედეგიანია როგორც მოკლევადიან პერიოდში, ასევე - გრძელვადიან
 - გასაგებია, დიდი მადლობა.

1.9. წაიკითხეთ წინადადებები. იპოვეთ შეცდომა, ხაზი გაუსვით და გაასწორეთ:

1. ქცევათმეცნიერება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საგანმანათლებლო პროგრამებზე.
2. მოსწავლე იმ შემთხვევაში დაისწავლა ქცევას, თუ მასწავლებელს ექნება დადებითი რეაქცია.
3. სკინერის მიხედვით, სტიმულის, რეაქციისა და განმტკიცების დახმარება შეიძლება ქცევის მართვა.
4. ფიზიკური ტრავმის გამო სანდრომ ვერ მიიღო რამდენიმე სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობს.
5. ნინომ გამოიყენა ნეგატიური დასჯის ფორმა. ახლა გიორგის დასჯილია და მასწავლებელი მას ექსკურსიაზე აღარ წაიყვანს.
6. თუ ბავშვები სწავლობენ ცუდად და მასწავლებელი არ სჯის მათ, ბიჰევიორისტული თეორიის მიხედვით, ეს ნეგატიური განმამტკიცებელია და ბავშვებში ზრდის უპასუხისმგებლობა.
7. მასწავლებლები ხშირად იყენებს პოზიტიურ დასჯას, იმიტომ რომ შედეგიანია არა მარტო მოკლევადიან პერიოდში, არამედ გრძელვადიან პერსპექტივაში.
8. რამდენიმე ნეგატიურად დასჯილ მოსწავლეს ფსიქოლოგიური ტრავმა მიუღია, ამიტომ იშვიათად გამოუყენებიათ ასეთი დასჯის ფორმა.
9. მაკა ხშირად აწყობს სახალისო ღონისძიებებს, რითაც ის ეხმარება ბავშვებს ჯანსაღი ამბიციის, ლიდერობისა და ემპათიის, ანუ თანაგრძნობის უნარის განვითარებისთვის.
10. ჩემი აზრით, გაკვეთილზე ქცევის წესების დარღვევის შემთხვევაში მაშინვე უნდათ მოხდეს არასასურველი ქცევების შეწყვეტა.

1.10. უპასუხეთ კითხვებს და იმსჯელეთ მოცემულ საკითხებზე:

1. თქვენი აზრით, უწყობენ თუ არა ხელს მასწავლებლები არასასურველი ქცევის განმტკიცებას? რა შემთხვევაში იზრდება მოსწავლეებში უპასუხისმგებლობა?
2. როგორ ფიქრობთ, მასწავლებლებს წინასწარ აქვთ განსაზღვრული ის სასურველი ქცევები, რომლებსაც სჭირდებათ განმტკიცება?
3. თქვენი მოსაზრებით, ბიჰევიორიზმი, ანუ ქცევათმეცნიერება არის თუ არა დაკავშირებული მკაცრ დისციპლინასთან?

4. თქვენი აზრით, როდის ხდება ბავშვების აქტიურად ჩართვა საგაკვეთილო პროცესში? გარდა ამისა, როგორ უნდა შეუწყოს ხელი მასწავლებელმა მოსწავლეებში ისეთი უნარების განვითარებას, როგორებიცაა ჯანსაღი ამბიცი, ლიდერობა და ემპათია (თანაგრძნობა)?

ნაწილი II

კლასის მართვა

2.1. ა) ზმნებს შეუცვალეთ ფორმა ნიმუშის მიხედვით:

სახავს	აისახება
აგვარებს	
სწავლობს	
ათანხმებს	
ამჟღავნებს	
განამტკიცებს	
ერევა	
ასუსტებს	
არღვევს	
მიიჩნევს	
რთავს	

ბ) წაიკითხეთ წინადადებები და ნიმუშის მიხედვით ჩასვით შესაბამისი ზმნები საჭირო ადგილას:

ნიმუში: მოსწავლის ქცევაზე დადებითად **აისახება** მასწავლებლისა და მშობლების თანამშრომლობა.

1. ბავშვები თვითონ ჩაატარებენ ღონისძიებას და მასწავლებელი არ მის ორგანიზებაში.
2. მასწავლებელი უნდა გრძნობდეს, როდისაა მოსწავლისგან მოსალოდნელი არასასურველი ქცევა და პოზიტიური დასჯის დახმარებით ასეთი ქცევა
3. თუ მასწავლებელი გამოიყენებს სხვადასხვა სტრატეგიას, დისციპლინის საკითხი
4. მოსწავლეების მხრიდან როგორც კი სასურველი ქცევები, მასწავლებელმა მაშინვე უნდა განამტკიცოს ისინი.
5. ჩემი აზრით, ხვალ ყველა მოსწავლე აქტიურად დისკუსიაში.
6. თუ ყველა მოსწავლეს აქტიურობის თანაბარი შესაძლებლობა ექნება, დისციპლინა არ
7. სასწავლო ნაწილი არ გვემავს ღონისძიების ორგანიზებაში ჩარევას, ამიტომ ნინო მასწავლებელი ღონისძიების ჩატარების დროსა და ადგილზე დირექტორთან
8. ბიჰევიორისტული თეორიის მიხედვით, ნებისმიერი ქცევა
9., რომ ყველა წარმატებულ მასწავლებელს კლასის მართვის თავისი, ორიგინალური სტილი აქვს.

10. თუ ბავშვის არასასურველი ქცევა, ეს მოსწავლეებში გაზრდის უპასუხისმგებლობას; ამიტომ განმტკიცების ნაცვლად მნიშვნელოვანია მასწავლებელმა შეძლოს არასასურველი ქცევის მინიმუმამდე დაყვანა.

2.2. ა) შეავსეთ ცხრილი:

დღეს	გუშინ მთელი დღე	გუშინ	ხვალ	უნდა	ჯერ არ
გვარდება	გვარდებოდა	მოგვარდა	მოგვარდება	მოგვარდეს	მოგვარებულია
	ერეოდა				
			შეთანხმდება		
					ასახულა
				ჩაერიოს	

ბ) ზმნის საჭირო ფორმის გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: მასწავლებლის ჩარევით კლასში ყველა პრობლემა ეტაპობრივად მოგვარებულია.

1. ჯერ არ
2. დღეს.....
3. გუშინ
4. ჯერ არ
5. გუშინ მთელი დღე
6. თურმე
7. ხვალ
8. ჯერ არ
9. შეიძლება
10. უნდა

2.3. ხაზი გაუსვით ზმნის სწორ ფორმას:

ნიმუში: წელს უფრო მეტი ბავშვი **ჩართულა** ორიგინალური პროექტის მომზადებაში.

1. გამოწვევის ფაზაში კითხვის დასმის სტრატეგია დადებითად **დასწავლილა/ასახულა** მოსწავლეთა ჩართულობაზე.
2. არასასურველი ქცევის პრევენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიის გამოყენების დროს ამგვარი ქცევა **დარღვეულა/შესუსტებულა**.
3. კათედრებმა უნდა განიხილონ არა მხოლოდ წარმატებები, არამედ ის პრობლემები, რომლებიც **ჯერ არ განმტკიცებულა/მოგვარებულა**.
4. სასურველი ქცევების გარდა, მოსწავლეების მიერ **შეთანხმებულა/დასწავლილა** არასასურველი ქცევებიც. განსაკუთრებით, ლაშას ქცევები ყოფილა ზედმეტად თვალშისაცემი.
5. ნინო უკმაყოფილო ყოფილა შედეგებით, მაგრამ ამ საკითხის მოგვარებაში ვერ **ჩარეულა/მიჩნეულა**.

- 6. ჯერ ვერ **ჩარეულან/შეთანხმებულან** კვლევითი პროექტის ბიუჯეტზე.
- 7. **შეფასებულა/მიჩნეულა**, რომ კლასის მართვისას, პროფილაქტიკა უფრო ეფექტურია, ვიდრე კორექცია.
- 8. ცოდნა **განმტკიცებულა/არჩეულა** პრაქტიკული აქტივობებით.
- 9. გაკვეთილზე ქცევის წესები **მოძებნილა/დარღვეულა** და მასწავლებელს მოსწავლეების ამგვარ ქმედებაზე შესაბამისი რეაქცია ჰქონია.
- 10. ბავშვების მხრიდან დიდი ინტერესი **გამომჟღავნებულა/ასახულა** ქცევის წესების მასწავლებელთან ერთად შედგენაზე.

2.4. ა) დააკავშირეთ სიტყვები ერთმანეთთან:

ნიმუში: 4 გ – ქცევის წესები

- | | |
|------------------|-------------------|
| 1. ჰუმანისტური | ა. თავისებურებები |
| 2. პროცესის | ბ. დაყვანა |
| 3. პიროვნული | გ. წესები |
| 4. ქცევის | დ. ქცევა |
| 5. მინიმუმამდე | ე. შედეგი |
| 6. არასასურველი | ვ. ორგანიზება |
| 7. უნივერსალური | ზ. სტილი |
| 8. დროის | თ. შენარჩუნება |
| 9. დისციპლინის | ი. მართვა |
| 10. კლასის | კ. რეცეპტი |
| 11. ორიგინალური | ლ. მოდელი |

ბ) ჩასვით წინადადებაში ზემოთ დაკავშირებული წყვილები:

ნიმუში: მინდა მოსწავლეებთან ერთად შევცვალო არსებული **ქცევის წესები**.

- 1. კლასის მართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიაა
- 2. სწავლება-სწავლის დამოკიდებულია სასწავლო პროცესის სწორ ორგანიზებაზე.
- 3. ნინომ აღნიშნა, რომ კლასში მას გამოუყენებია როგორც დემოკრატიული, ისე
- 4. გაკვეთილზე მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს, ანუ არასასურველი ქცევის მინიმუმამდე დაყვანა.
- 5. არ არსებობს კლასის მართვის, რომლის დახმარებითაც დისციპლინის პრობლემები მოგვარდება.
- 6. არის პროცესი, რომლის დროსაც მასწავლებელი ქმნის და განამტკიცებს მოსწავლის მისაღებ ქცევებს.
- 7. მოსწავლეს გამოუმჟღავნებია და თურმე მასწავლებელი არ ჩარეულა.

8. არ არსებობს კლასის მართვის უნივერსალური რეცეპტი, ამიტომ ყველა მასწავლებელს კლასის მართვის თავისი, აქვს.
9. მოსწავლეებს განსხვავებული და შესაძლებლობები აქვთ, ამიტომ მიდგომაც განსხვავებული სჭირდებათ.
10. საგაკვეთილო პროცესში უმნიშვნელოვანესია მოსწავლეთა არასასურველი ქცევის
.....

2.5. წაიკითხეთ წინადადებები. გამოტოვებული ადგილების შევსებისთვის გამოიყენეთ კონსტრუქცია: ...ნათ.ბრ. + ის განმავლობაში/გვერდით

ნიმუში: ღონისძიების განმავლობაში..... თვალშისაცემი იყო ახალგაზრდების აქტიური ჩართულობა.

1. (შეხვედრა) ისაუბრეს კლასში მოსალოდნელი არასასურველი ქცევებისა და მათი პრევენციის შესახებ.
2. მარიამის აზრით, (გაკვეთილი) მოსწავლესთან ხმამაღლა საუბარი სასკოლო ცხოვრების ნაწილია, თუმცა ნესტანი ამ მოსაზრების მომხრე არაა.
3. (მეცადინეობა) მასწავლებლისთვის რთული იყო კლასის მართვა და დისციპლინის შენარჩუნება.
4. (დაფა), კედელზე არა მხოლოდ ილუსტრაციები, არამედ მასწავლებლისა და მოსწავლეების მიერ შედგენილი ქცევის წესებიც კიღია.
5. ჩვენ დიდი (ხანი) ვერ ვთანხმდებოდით სანქციებზე.
6. (დისკუსია)..... ნიკას ლიდერობის უნარი თვალშისაცემი იყო.
7. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ აქვს კეთილმოწყობილი ეზო, ხვალ სამსაათზე სპორტული ღონისძიება მაინც გაიმართება სკოლის (შენობა)
8. ნინო ორი (დღე) ვერ ახერხებდა სლაიდშოუს გაკეთებას Power point-ში.
9. მანანა მთელი (ცხოვრება)..... ტრადიციული განათლების მომხრე იყო.
10. მასწავლებლის ჩარევისა და დახმარების გარეშე ბავშვებმა ორიგინალური პლაკატი გააკეთეს, რომელიც საქართველოს (რუკა) კიღია.

2.6. მოცემული სიტყვებისა და ზმნების გამოყენებით შეადგინეთ მოკლე ტექსტი და დაარქვით სათაური:

მომხრე	სანქცია	ასახვა	თვალშისაცემი	ჩარევა	უნივერსალური	შედეგიანობა	მოგვარება
თვითდისციპლინა	მოსალოდნელი	შეთანხმება	მოწინააღმდეგე	ორიგინალური	დარღვევა		
თავისებურება	კორექცია	ზედმეტად	პროფილაქტიკა	შენარჩუნება			
	გამომუშავება	მართვა	მინიმუმამდე				

.....
.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

2.7. ა) წიკითხეთ კითხვები და პასუხები:

კითხვები:

1. პედაგოგებს მოსწონთ ახალი ტექნოლოგიების დანერგვა სკოლებში?
2. რას გულისხმობს მართვის დემოკრატიული სტილი?
3. ვინ ადგენს ქცევის წესებს?
4. კლასის ეფექტური მართვა რა უნარის გამომუშავებას უწყობს ხელს?
5. არსებობს თუ არა კლასის მართვის უნივერსალური რეცეპტი?
6. მასწავლებლისთვის რომელი უფრო მნიშვნელოვანია: ქცევის წესების პრევენცია თუ კორექცია?
7. რა არის თვითდისციპლინა?
8. რას ნიშნავს დისციპლინის შენარჩუნება?
9. მოსწავლეების განსხვავებული პიროვნული თავისებურებები და შესაძლებლობები აისახება თუ არა მათ ქცევაზე?
10. რაზე დამოკიდებული სწავლება-სწავლის პროცესის შედეგიანობა?

პასუხები:

ა. მოსწავლეებს განსხვავებული პიროვნული თავისებურებები, ინტერესები და შესაძლებლობები აქვთ. ეს ყველაფერი გაკვეთილის დროს გასათვალისწინებელია, ამიტომ ყველა თანხმდება იმაზე, რომ ამგვარი რეცეპტი არ არსებობს.

ბ. ჩემი აზრით, არავინ უნდა იყოს ამ ინოვაციის მოწინააღმდეგე. ვფიქრობ, ყველა პედაგოგი ისტ-ის გამოყენების მომხრეა.

გ. მასწავლებელთან ერთად მუშაობს მთელი კლასი და ადგენს ქცევის წესებს. ამის გარდა, ისინი თანხმდებიან სანქციებზეც.

დ. ეს აისახება არა მხოლოდ მათ ქცევაზე, არამედ სწავლის ხარისხზეც.

ე. წარმატებული მასწავლებლებისთვის უფრო მნიშვნელოვანია პრევენცია, ვიდრე კორექცია.

ვ. იგი დაფუძნებულია მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობაზე. მართვის დემოკრატიული სტილისთვის ყოველთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მოსაზრება სხვადასხვა საკითხის შესახებ.

ბ.ის დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ეფექტურად მართავს მასწავლებელი კლასს და ინარჩუნებს დისციპლინას.

თ. იგი საკუთარი ქცევის მართვას გულისხმობს.

ი. მოსწავლეთა არასასურველი ქცევის მინიმუმამდე დაყვანას.

კ.ის ხელს უწყობს მოსწავლეებში თვითდისციპლინის უნარის გამომუშავებას.

ბ) კითხვებს შეურჩიეთ სწორი პასუხები და შეავსეთ ცხრილი:

1.	2.	3.	4.	5.	6.	7.	8.	9.	10.
ბ									

2.8. ა) წაიკითხეთ ტექსტი და დაასათაურეთ:

.....

კლასის მართვა გაკვეთილზე მოსწავლეთა ქცევის მართვას მოიცავს. შესაბამისად, სწავლება-სწავლის პროცესის შედეგიანობა იმაზეა დამოკიდებული, რამდენად ეფექტურად მართავს მასწავლებელი კლასს და ინარჩუნებს დისციპლინას. მოსწავლეებში მნიშვნელოვანია თვითდისციპლინის უნარის გამომუშავება, ანუ საკუთარი ქცევის მართვა.

მასწავლებელთა ნაწილი დემოკრატიული, ნაწილი ჰუმანისტური ან ბიჰევიორისტული სტილის მომხრეა. სამივე მოდელის მომხრეები თანხმდებიან იმაზე, რომ კლასის მართვისას პროფილაქტიკა უფრო ეფექტურია, ვიდრე კორექცია, ანუ არჩევანის გაკეთებისას ისინი პროფილაქტიკას ირჩევენ.

კლასის მართვა უფრო ადვილი იქნება, თუ მასწავლებელი სასწავლო წლის დასაწყისშივე მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავებს ქცევის წესებს. გარდა ამისა, ისინი სანქციებზეც უნდა შეთანხმდნენ.

დაბოლოს მასწავლებლის ქცევა, მისი პოზიტიური დამოკიდებულება მოსწავლის მიმართ კლასის მართვის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, რადგან მასზეა დამოკიდებული მოსწავლეთა სასურველი ქცევები და მოტივაცია.

ბ) შეეცადეთ თქვენი სიტყვებით გადმოსცეთ რაზეა საუბარი ტექსტში:



2.9. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- ქალბატონო ნათელა, თქვენ სწავლების რომელი სტილის ხართ?
- ბიჰევიორისტული სტილის არ ვარ, მაგრამ ჩემთვის კლასის
..... დემოკრატიული სტილი უფრო მისაღებია, ვიდრე ბიჰევიორისტული.

- რატომ არის თქვენთვის უფრო მისაღები სტილი?
- კლასის მართვის დემოკრატიული სტილის დროს უპირატესობა ენიჭება მასწავლებლისა და მოსწავლის თანამშრომლობას, რათა მოხდეს არასასურველი ქცევის.....
- გასაგებია. კლასის მართვის დროს რა სტრატეგიებს იყენებთ?
- ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია მოსწავლის და შექება. სტიმულს აძლევს მოსწავლეებს. მათ ექნებათ წარმატების განცდა და კიდევ უფრო აქტიურად ჩაერთვებიან საგაკვეთილო პროცესში.
- როგორც უკვე აღნიშნეთ, თქვენთვის ასეთი სტილი მისაღებია; რაში ეხმარება მართვის ეს მოდელი მოსწავლეებს?
- იგი მათ და კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებაში ეხმარება.
- დიდი მადლობა, ქალბატონო ნათელა, საინტერესო საუბრისთვის.

2.10. უპასუხეთ კითხვებს და იმსჯელეთ მოცემულ საკითხებზე:

1. თქვენი აზრით, რა უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა ქცევის წესების შემუშავების დროს?
2. როგორ ფიქრობთ, როდის არის ნაკლებად მოსალოდნელი ქცევის წესების დარღვევა და დისციპლინის პრობლემები კლასში?
3. თქვენი აზრით, რატომ არის პროფილაქტიკა უფრო ეფექტური, ვიდრე კორექცია?
4. პედაგოგები კლასის მართვის რომელი სტილის მომხრეები ან მოწინააღმდეგეები არიან? რატომ?
5. თქვენი აზრით, რომელია ზედმეტად თვალშისაცემი ქცევები, რომლებზეც მასწავლებელს მაშინვე უნდა ჰქონდეს რეაქცია?

ნაწილი III

სწავლა მოდელზე დაკვირვებით

3.1. წინადადებებში ჩასვით გამოტოვებული სიტყვები სათანადო ბრუნვაში:

მოტივაცია	გამეორება	მიდგომა	მცდელობა	ქცევა	თვითრეგულირებადი
	შექება	მიბაძვა	თვითრეგულაცია	დადებითი	

ნიმუში: (მოტივაცია) **მოტივაციის** ამადლების სტრატეგიების ცოდნა მასწავლებელს სჭირდება არა მხოლოდ ბავშვებთან, არამედ კოლეგებთან.

1. მიჩნეულია, რომ ბავშვი ბაძავს სხვა ადამიანის ქცევას, თუ მოდელის ქცევა (შექება) იმსახურებს.
2. ალბერტ ბანდურას თეორიის მიხედვით, თურმე ადამიანის ქცევა (თვითრეგულირებადი) ყოფილა.
3. მოსწავლეებმა უნდა დააფასონ თავიანთი (კომპეტენტურობა) ზრდა და ამით სიამოვნება მიიღონ.
4. მოზრდილი ბავშვებისგან განსხვავებით, პატარა ბავშვები არ ხასიათდებიან (თვითრეგულაცია) უნარით.

5. სოციალური დასწავლის თეორია ნეობიჰევიორისტულ (მიდგომა)არის მიჩნეული.
6. ქცევის დამახსოვრების შემდეგ მოსწავლემ უნდა შეძლოს მისი შენარჩუნება (გამეორება)
7. მოდელზე დაკვირვების გზით ადამიანის მიერ ქცევაში ცვლილების პროცესს (მოდელირება) ჰქვია.
8. ქცევის გამოვლენის შემდეგ მასწავლებელმა ყოველთვის უნდა შეაფასოს მოსწავლის (მცდელობა) , ანუ მოსწავლემ უნდა იცოდეს, რა გააკეთა კარგად ან რისი გაუმჯობესება სჭირდება.
9. ალბერტ ბანდურას მიხედვით, ადამიანის ქცევა უფრო კარგად განმტკიცდება, თუ იგი (დადებითი) არის შეფასებული არა გარეშე პირის, არამედ თვითონ ამ ადამიანის მიერ.
10. ადამიანის ცნობიერებაში ყალიბდება (ქცევა) სტანდარტები არა მხოლოდ სხვა ადამიანების ქცევაზე დაკვირვებით, არამედ საკუთარი გამოცდილების შედეგად.

3.2. ა) დააკავშირეთ სიტყვები ერთმანეთთან:

ნიმუში: 10 ე – ქცევის ცვლილება

- | | |
|----------------------|--------------------|
| 1. ნეობიჰევიორისტული | ა. ქცევა |
| 2. თვითრეგულაციის | ბ. განმამტკიცებელი |
| 3. ქცევაზე | გ. მიდგომა |
| 4. გარეშე | დ. პირი |
| 5. გარეგანი | ე. ცვლილება |
| 6. კომპეტენტურობის | ვ. ზრდა |
| 7. თვითრეგულირებადი | ზ. რეცეპტი |
| 8. უნივერსალური | თ. ახსნა |
| 9. სიტყვიერად | ი. დაკვირვება |
| 10. ქცევის | კ. ბავშვები |
| 11. მოზრდილი | ლ. უნარი |

ბ) ჩასვით წინადადებებში ზემოთ დაკავშირებული წყვილები:

ნიმუში: სწავლა შინაგანი პროცესია, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ან არ გამოიწვიოს ქცევის ცვლილება.

1. სოციალური დასწავლის თეორიის მიხედვით, თუ ჩვენს ქმედებებს თვითონ ვაკონტროლებთ და არა სხვა ადამიანები, ე. ი. გვაქვს..... .
2. ადამიანის ქცევა უფრო კარგად განმტკიცდება, თუ მას დადებითად შეაფასებს არა , არამედ თვითონ ეს ადამიანი.
3. თუ მოსწავლეებში გამოუმუშავდება , ისინი გააანალიზებენ თავიანთ ძლიერ და სუსტ მხარეებს.
4. სხვა ადამიანის და საკუთარი გამოცდილება ეხმარება ადამიანის ქცევის სტანდარტების ჩამოყალიბებაში.

5. მნიშვნელოვანია, თუმცა ალბერტ ბანდურა არ თვლის მას ერთადერთ საშუალებად, რომელიც უზრუნველყოფს ქცევის შექმნასა და ცვლილებას.
6. არ არსებობს მოტივაციის ამალგების, ანუ მასწავლებელს შეუძლია სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება.
7. თვითონ მართავენ და აკონტროლებენ თავიანთ ქცევასა და აზროვნებას, შესაბამისად, მათი ქცევა თანდათან უფრო თვითრეგულირებადი ხდება.
8. ბავშვები უნდა ცდილობდნენ, გახდნენ უფრო უკეთესები, რათა დააფასონ თავიანთი
9. საკმარისი არაა მასწავლებელმა მოსწავლეს მარტო ქცევის მაგალითი აჩვენოს, ასევე, საჭიროა ამ ქცევის
10. ბიჰევიორიზმის საფუძველზე ჩამოყალიბებულია

3.3. ა) შეავსეთ ცხრილი:

დღეს	გუშინ მთელი დღე	გუშინ	ხვალ	უნდა	ჯერ არ
ბაძავს	ბაძავდა	მიბაძა	მიბაძავს	მიბაძოს	მიუბაძავს
			განმტკიცდება		
		ჩამოყალიბდა			
					გამოვლენილა

ბ) გმნის საჭირო ფორმის გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: უმჯობესია, ბავშვმა მიბაძოს იმას, ვინც შეეცებას ან ჯილდოს იმსახურებს.

1. გუშიწინ
2. დღეს
3. გუშინ
4. ჯერ არ
5. უნდა.....
6. თურმე
7. ხვალ
8. თურმე
9. ზეგ
10. გუშინ მთელი დღე

3.4. ჩასვით წინადადებებში მოცემული სიტყვები შესაფერის დროსა და ფორმაში:

მიბაძვა	მოგვარება	შეთანხმება	გამოვლენა	ასახვა	განმტკიცება	ჩამოყალიბება
	მიჩნევა	ჩართვა	გამჟღავნება	დარღვევა		

ნიმუში: მოსწავლეები აქტიურად (ჩართვა) **ჩართულან** სხვადასხვა კლასგარეშე აქტივობაში და ამით სიამოვნება მიუღიათ.

- ინტეგრირებული გვეთილის განმავლობაში, მოსწავლეების მიერ მაქსიმალურად (გამოვლენა) საკუთარი შესაძლებლობები.
- კლასში ბავშვები ხშირად (დარღვევა) ქცევის წესებს, რაც უარყოფითად აისახება საგაკვეთილო პროცესზე.
- ნინომ ჯილდო დაიმსახურა საინტერესო პრეზენტაციისთვის. თურმე ნიკას (მიბაძვა) ნინოსთვის და მასაც გაუკეთებია სლაიდშოუ Power point-ში.
- მოსწავლეებზე დაკვირვების საფუძველზე მოტივაციის ამაღლების შესაბამის სტრატეგიებს ქალბატონი ია (შერჩევა)
- მოსწავლის ნეგატიური დამოკიდებულება სკოლისა და სწავლის მიმართ უარყოფითად (ასახვა) სასწავლო პროცესზე.
- სანდრო (გამჟღავნება) ინტერესს და ცდილობს პრობლემის მოგვარებას.
- ალბერტ ბანდურას აზრით, ადამიანის ქცევა უფრო კარგად (განმტკიცება), როდესაც ის ამ ადამიანის მიერვე ფასდება დადებითად.
- მოსწავლეები ქცევის წესების დადგენის დროს მასწავლებელთან უკვე (შეთანხმება) სანქციებზე.
- კლასის მართვასთან დაკავშირებული პრობლემები მასწავლებლის მიერ (მოგვარება)
- (მიჩნევა), რომ მოსწავლეები უფრო მოტივირებულნი არიან მიბაძონ მოდელს, თუ ამისათვის შექმნას ან ჯილდოს დაიმსახურებენ.

3.5. დაწერეთ სიტყვები სწორი ფორმით და გამოიყენეთ თანდებული ...თანავე...:

ნიმუში: დიანა გამოცდილი პედაგოგია იგი პრობლემის (დანახვა)--**დანახვისთანავე**-- იწყებს მისი გადაჭრის გზების ძიებას.

- მაკამ (დაკვირვება) დამახსოვრა და შეძლო ამ ქცევის გამეორება.
- უმჯობესია, ბავშვებმა სკოლის (დაწყება) შეიმუშავეთ ქცევის წესები მასწავლებელთან ერთად.
- ნეგატიური განმტკიცების (გამოყენება) მასწავლებელს მოსწავლეებში უპასუხისმგებლობა გაუზრდია.
- კლასის (მოწყობა)..... ბავშვებს ჯანსაღი ინტერაქციის საშუალება ჰქონიათ.
- ლონისძიებასთან დაკავშირებით ეკას გაკვეთილის (დამთავრება) მიუცია ბავშვებისთვის რჩევები.
- სასურველი ქცევების (გამომჟღავნება) მასწავლებელს განუმტკიცებია ისინი.
- ინტერესის (გამოვლენა) ჩართულან ბავშვები სხვადასხვა კვლევით აქტივობაში.

- ბოლოს კი მასწავლებელს შეუფასებია მათი მცდელობა, ანუ რა გააკეთეს კარგად და რისი გაუმჯობესება არის საჭირო.
8. დირექტორთან (შეთანხმება) გაუვრცელებია მასწავლებელს ინფორმაცია სკოლაში სპორტული ღონისძიების ჩატარების შესახებ.
 9. მასწავლებელს ქცევის წესების (დარღვევა) მიუცია რამდენიმე ბავშვისთვის შენიშვნა.
 10. ბავშვებმა მოდელის (მიბაძვა) დაიმსახურეს შექება ყველა მასწავლებლისგან.

3.6. მოცემული სიტყვებისა და ზმნების გამოყენებით შეადგინეთ მოკლე ტექსტი და დაარქვით

სათაური:

მიბაძვა თვითრეგულირებადი გამოვლენა მოდელირება სიტყვიერად ჩამოყალიბება
 კომპეტენტურობა ზრდა განმტკიცება დადებითად უმჯობესი შექმნილი უარყოფითად
 თვითრეგულაცია დანახვა ამაღლება სიამოვნება მცდელობა გარეშე პირი
 განმამტკიცებელი ქცევის სტანდარტები

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

3.7. წაიკითხეთ ტექსტი და დაასათაურეთ:

.....

სოციალური დასწავლის თეორია, რომელიც შექმნილია ალბერტ ბანდურას მიერ, ნეობიჰევიორისტულ მიდგომად არის მიჩნეული. ალბერტ ბანდურა ხაზს უსვამს მოდელირების მნიშვნელობას. მისი აზრით, ადამიანმა შეიძლება შეიძინოს ახალი ქცევა სხვა ადამიანების ქცევაზე დაკვირვებითა და მიბაძვით.

ადამიანის ქცევა თანდათან თვითრეგულირებადი ხდება. ბავშვის ზრდასთან ერთად იზრდება ის პასუხისმგებლობაც, რომელსაც იგი საკუთარ ქცევაზე იღებს, რათა დასახულ მიზნებს მიაღწიოს. ამ დროს თვითრეგულაციის უნარიც თანდათან იზრდება. მოსწავლეები უფრო მოტივირებულნი და წარმატებულნი არიან, თუ ეს მიზნები მათ თავად დაისახეს.

მასწავლებელმა მოსწავლეს არა მხოლოდ უნდა აჩვენოს ქცევის მაგალითი, არამედ სიტყვიერადაც ახსნას, თუ რას აკეთებს. ამით მასწავლებელი დაეხმარება მოსწავლეებს ახალი ქმედებების სწრაფად ათვისებაში.

დაბოლოს, ალბერტ ბანდურა თვლის, რომ ოთხი აუცილებელი ეტაპია საჭირო იმისათვის, რომ მოსწავლემ წარმატებით ისწავლოს მოდელის ქცევაზე დაკვირვებით. ეს ეტაპებია: ყურადღება, დამახსოვრება, გამეორება და მოტივაცია. მოტივაციის ამაღლება კი უმნიშვნელოვანესია და მასწავლებელმა ამისათვის სხვადასხვა სტრატეგია შეიძლება გამოიყენოს.

ბ) შეეცადეთ თქვენი სიტყვებით გადმოსცეთ, რაზეა საუბარი ტექსტში:



3.8. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- ა)
- ქალბატონო ნინო, თუ შეიძლება გვითხარით, როგორ სწავლობს ადამიანი დასწავლის თეორიის მიხედვით?
 - ამ თეორიის მიხედვით, ადამიანმა შეიძლება ისწავლოს არა მხოლოდ საკუთარი ქცევის შედეგად, არამედ სხვა ადამიანების ქცევაზე დაკვირვებითაც, ანუ
 - სხვა ადამიანების ქცევის მოდელირებისა და საკუთარი გამოცდილების საფუძველზე კი ყალიბდება ქცევის
 - ქცევის სტანტარტები, ალბათ, შექმნის ქცევის თვითრეგულაციის შესაძლებლობას?
 - დიახ, ასეა. მოზრდილი ბავშვი თვითონ მართავს და აკონტროლებს თავის ქცევას, ანუ თანდათან იზრდება უნარი.
 - და როდის განმტკიცდება ადამიანის ქცევა?
 - ბატონი ბანდურა მიიჩნევს, რომ ადამიანის ქცევა უფრო კარგად განმტკიცდება, თუ ის დადებითად ფასდება არა გარეშე პირის, არამედ თავად ამ ადამიანის მიერ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თვითშეფასებით მიღებული განმტკიცება გარეგან უფრო ძლიერია.
- ბ)
- რას გულისხმობს ის ოთხი პროცესი, თუ შეიძლება ამაზეც რომ გვითხრათ რამე?
 - დიახ, ბატონი ბანდურა ოთხ პროცესს, რომლებიც ეხმარება ადამიანს სხვაზე დაკვირვების გზით რაიმეს დასწავლაში და ეს ეტაპებია: ყურადღება,, გამეორება და მოტივაცია.
 - მოკლედ რომ გვითხრათ თითოეული ეტაპის შესახებ?
 - მაგალითად, ყურადღება და დამახსოვრება ხელს უწყობს ქცევის ათვისებას, გამეორება და მოტივაცია კი უზრუნველყოფს ამ ადამიანის მიერ ნასწავლი განხორციელებას.
 - დაბოლოს, რა რჩევას მისცემდით მასწავლებლებს?
 - ბანდურას მიერ შექმნილი თეორიის გამოყენება მასწავლებლებს საშუალებას აძლევს საჭიროების შემთხვევაში შეცვალოს მოსწავლის ქცევა, აკონტროლოს ის და განსაზღვროს ეფექტური

..... სასურველი ქცევის დასწავლისთვის. ასე რომ, მასწავლებლებს ვურჩევ ამ თეორიის გამოყენებას.

- დიდი მადლობა საინტერესო საუბრისთვის.

3.9. იპოვეთ და მონიშნეთ განსხვავებული სიტყვა:

1. დანახვა, დაკვირვება, მიბაძვა, მიდგომა.
2. დადებითად, შედეგიანი, სიტყვიერად, უარყოფითად.
3. თვითრეგულირებადი, შექმნილი, თვითრეგულაცია, უმჯობესი.
4. ავლენს, ყალიბდება, მტკიცდება, სიამოვნება.
5. კომპეტენტურობა, უპასუხისმგებლობა, რეაგირება, ბაძავს.
6. ზრდა, ორიგინალური, მცდელობა, ამაღლება.
7. გარეშე პირი, ქცევის სტანდარტები, ქცევაზე დაკვირვება, საუკეთესო.
8. ორივე, დანახვისთანავე, დაკვირვებისთანავე, დაწყებისთანავე.
9. დაკვირვებით, დასჯით, მიბაძვით, წარმოსახვა.
10. გვერდით, არა მხოლოდ ეს, არამედ....., როგორც..., ისე....., არა მარტო ეს, არამედ.

3.10. ისაუბრეთ თემაზე „ალბერტ ბანდურას სოციალური დასწავლის თეორია და დაკვირვებით სწავლისთვის აუცილებელი ფაქტორები“. გამოიყენეთ შემდეგი სიტყვები და ფრაზები:

სიტყვიერად განმტკიცება უარყოფითად თვითრეგულირებადი უმჯობესი მიბაძვა
 მოდელირება ყურადღება მცდელობა კომპეტენტურობის ზრდა გარეშე პირი თვითშეფასება
 დანახვა მოტივაციის ამაღლება გამოვლენა თვითრეგულაციის უნარი დადებითად
 ქცევაზე დაკვირვება ჩამოყალიბება ქცევის სტანდარტები

ტაპი VI

შეფასება

ნაწილი I

მოსწავლის შეფასება

1.1. წინადადებებში შესაბამის ადგილზე ჩასვით მოცემული ფრაზები:

ნიმუში: კოტეს ზეპირი გამოსვლა ორწუთიანი იყო.

ზეპირი გამოსვლა

- ათქულიანი სისტემა
- აკადემიური მიღწევები
- ჩათვლის სისტემა
- განმავითარებელი შეფასება
- საკლასო დავალებები
- საგზაო ნიშნები
- საკონტროლო წერა
- ხარისხის მართვა
- მაღალი ქულა
- ექსპერიმენტის ჩატარება

1. ისეთ სპეციფიკურ საგნებში, როგორებიცაა „სპორტი“, „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“, გამოიყენება
2. ქიმიის გაკვეთილზე მოსწავლეებმა უნდა შეძლონ
3. მოსწავლეების ფასდება ათქულიანი სისტემით ხუთი დონის მიხედვით.
4. ნიკა მთელი დღის განმავლობაში მეცადინეობს, რადგან ხვალ მათემატიკაში აქვს. იქნებ გიორგიმაც მიზაძოს მას და იმეცადინოს.
5. პედაგოგებმა ხშირად უნდა გამოიყენონ
6. გეოგრაფიაში გიორგიმ ყველაზე მიიღო.
7. საშინაო და ფასდება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასებით.
8. საგანში „..... და მოძრაობის უსაფრთხოება“ მოსწავლეებს აფასებენ ჩათვლის სისტემით: ჩათვალა/არ ჩათვალა.
9. მოსწავლეთა შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების
10. სკოლებში არის შეფასების ათი ყველაზე მაღალი ქულაა.

1.2. ა) დააკავშირეთ სიტყვები ერთმანეთთან:

ნიმუში: 7 ბ – შეფასების სისტემა

- | | |
|---------------------|-------------------|
| 1. ბებიანი | ა. შეფასება |
| 2. არჩევითი | ბ. სისტემა |
| 3. არგუმენტირებული | გ. მომზადება |
| 4. განმსაზღვრელი | დ. ნამუშევრები |
| 5. აკადემიური | ე. საგნები |
| 6. ფერწერული | ვ. დავალება |
| 7. შეფასების | ზ. უნარი |
| 8. ესეს | თ. მსჯელობა |
| 9. შემაჯამებელი | ი. დაწერა |
| 10. პროექტის | კ. კომენტარი |
| 11. თვითშეფასების | ლ. მიღწევები |

ბ) ჩასვით შესიტყვება შესაბამის წინადადებაში. გაითვალისწინეთ, ზოგჯერ საჭიროა სიტყვისთვის ფორმის შეცვლა:

ნიმუში: სკოლებში შეფასების სისტემა არის ხუთდონიანი და ათქულიანი.

1. დისკუსიის დროს მოსწავლე ეჩვევა თავისუფალ და, ამიტომ მასწავლებელს კლასში არა ერთხელ, არამედ რამდენჯერმე გამოუყენებია ეს მეთოდი.
2. აკონტროლებს სწავლის ხარისხს.
3. პროცესს აქვს რამდენიმე საფეხური.
4. ფასდება განმსაზღვრელი შეფასებით.
5. პარასკევს, ხუთ საათზე, მოსწავლეთა მიერ შექმნილი გამოფენა გაიმართება. ქალბატონო ეკა, იქნებ თქვენც მოახერხოთ გამოფენაზე მოსვლა.
6. მოსწავლის შესაფასებლად გამოიყენება არა მარტო განმსაზღვრელი, არამედ განმავითარებელი შეფასებაც.
7. ნინომ მესამეკლასელების შესაფასებლად გამოიყენა
8. მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს გამომუშავებაში.
9. დროს ვლინდება მსჯელობისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. წერილობით შესრულების შემდეგ ანას არა ერთხელ, არამედ ბევრჯერ გადმოუცია თავისი ნაშრომის შინაარსი ბებირად.
10. სკოლაში ისწავლება არა მარტო სავალდებულო, არამედ

1.3. ა) შეავსეთ ცხრილი:

დღეს	გუშინ მთელი დღე	გუშინ	ხვალ	უნდა	ჯერ არ
ძღვეს	ძღვედა	დაძლია	დაძღვეს	დაძლიოს	დაუძღვეია

			დაახასიათებს		
ეთვლება					
				ავარჯიშოს	

ბ) ზმნის საჭირო ფორმის გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: პირველკლასელებმა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პროგრამა წარმატებით არა ერთხელ, არამედ ბევრჯერ **დაძლიეს**.

1. ზეგ
2. დღეს
3. გუშინ
4. ჯერ არ
5. უნდა
6. გუშინ მთელი დღე
7. ხვალ
8. თურმე
9. ჯერ არ
10. შეიძლება

1.4. ხაზი გაუსვით ზმნის სწორ ფორმას:

ნიმუში: სალომე უნიჭიერესი გოგოა, მას ყველა პედაგოგი დადებითად ახასიათებს/ავარჯიშებს.

1. ლევანს სწორად შესრულებული დავალება **ჩაეთვალა/დაძლია**, სანდროს კი არა, რომელმაც მასწავლებლისგან მიიღო რჩევები, თუ კონკრეტულად რაში სჭირდებოდა გავარჯიშება ცოდნის უკეთ გამოსავლენად.
2. ბევრი ფიქრობს, რომ თუ მშობლები არ **შეთანხმდებიან/ჩაერევიან** საშინაო დავალებების მომზადების პროცესში, ბავშვები უფრო დამოუკიდებლები გახდებიან. ეს კი დადებითად იმოქმედებს მათ განვითარებაზე.
3. ზეპირი გამოსვლის დროს ნიკომ მოკლედ **დაახასიათა/მიბაძა** მთავარი პერსონაჟი.
4. კლასში დისციპლინის პრობლემები იქნებ გამოცდილი პედაგოგის დახმარებით **მოაგვართ/ასახოთ**.
5. ბავშვებმა უნდა **განამტკიცონ/დაძლიონ** სწავლის სირთულეები, რათა მეტი ხალისით ისწავლონ.
6. მოსწავლეებმა იქნებ კარგად **ივარჯიშონ/გამოავლინონ** მათემატიკაში, რადგან ხვალ საკონტროლო წერა აქვთ. გუშინ უნდოდათ ფორმულების გამეორება და ვერ ნახეს კლასში. თურმე ისინი პლაკატების ქვეშ ყოფილა.
7. კლასში არა ერთხელ, არამედ ბევრჯერ მყოფია ექვსი წლის მოსწავლეებიც, რომლებსაც წარმატებით **დაუძლევიათ/გამოვლენილა** პროგრამა.
8. მგონი, საუკეთესო ფერწერული ნამუშევრის ავტორი ხვალ **გამოვლინდება/ჩამოყალიბდება**.
9. მიჩნეულია, რომ ბავშვის ძირითადი პიროვნული თვისებები **ხასიათდება/ყალიბდება** ოჯახში.

10. დისკუსია ერთ-ერთი პოპულარული მეთოდია, რომელიც **ახასიათებს/ავარჯიშებს** მოსწავლეებს აზრების ზეპირად გამოხატვაში.

1.5. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

1. აუცილებელია მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებაზე
 - ა) ზრუნვა
 - ბ) მომზადება
2. მასწავლებელი ურჩევს მოსწავლეებს, თუ რაში სჭირდებათ მათ გავარჯიშება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ
 - ა) შესაფასებლად
 - ბ) გამოსავლენად
3. მოსწავლე ფასდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ
 - ა) საგნებში
 - ბ) საკითხებში
4. გუშინ სკოლის ადმინისტრაციამ გაავრცელა განცხადება არგუმენტირებული მსჯელობის წერილობითი კონკურსის ჩატარების
 - ა) მაგივრად
 - ბ) შესახებ
5. მოსწავლეებმა თავად ჩაატარეს ექსპერიმენტი, მასწავლებელი კი იყო
 - ა) ფასილიტატორი
 - ბ) მოტივირებული
6. განმსაზღვრელი შეფასების დროს მასწავლებელი წერს
 - ა) ქულას
 - ბ) კომენტარს
7. მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის
 - ა) გამოვლენა
 - ბ) მართვა
8. დაწყებითი და საბაზო განათლება არის
 - ა) სავალდებულო
 - ბ) არჩევითი
9. საკონტროლო წერის შემდეგ მოსწავლეებმა ჯილდო დაიმსახურეს დადებითი კომენტარის
 - ა) სახით
 - ბ) ჩათვლით
10. მასწავლებელმა მოსწავლეები წერილობითი კომენტარის ნაცვლად ზეპირად
 - ა) განამტკიცა
 - ბ) დაახასიათა

1.6. წაიკითხეთ მოცემული წინადადებები. აღნიშნეთ სწორი (+) და არასწორი (-) ინფორმაცია:

1.	„სპორტი,“ „სავალო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება – ეს ის საგნებია, რომლებშიც მოსწავლე ჩათვლის სისტემით ფასდება: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა.	+	
2.	შეფასების დროს მასწავლებელი უნდა იყოს ობიექტური, თავად შეფასება კი უნდა იყოს ნათელი.		
3.	განმავითარებელი შეფასება სწავლის ხარისხს აკონტროლებს.		
4.	VI-XII კლასებში ათქულიანი სისტემით ფასდება ისეთი აქტივობები, როგორებიცაა: საკონტროლო წერა, ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ზეპირი გამოსვლა, ექსპერიმენტის ჩატარება და ა.შ		
5.	სსსმ მოსწავლე თუ წარმატებით დაძლევენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, იგი შეფასდება მაღალი ქულით.		

6.	განმსაზღვრელი შეფასებისგან განსხვავებით, განმავითარებელი შეფასების დროს მასწავლებელს შეუძლია გააკეთოს არა მხოლოდ ზეპირი, არამედ წერილობითი კომენტარიც.		
7.	სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა გულისხმობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას.		
8.	შემჯამებელი დავალების კომპონენტში შესაძლებელია როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების გამოყენება.		
9.	მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ოთხი დონის მიხედვით და ათქულიანი სისტემით.		
10.	დაბალ კლასებში მასწავლებელი ავარჯიშებს ბავშვებს და შემდეგ მხოლოდ უკუკავშირს აძლევს კომენტარის სახით.		

1.7. მოცემული სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით დაწერეთ მოკლე ტექსტი „მოსწავლის შეფასების სისტემა“:

წარმატებით, ზრუნვა, დახასიათება, აკადემიური მიღწევა, გავარჯიშება, ათქულიანი სისტემა, გამოვლენა, ხარისხის მართვა, ჩათვლა, ნამუშევარი, დაძლევა, არგუმენტირებული, არჩევითი, ვარჯიში, ფერწერული, სავალდებულო, ექსპერიმენტის ჩატარება, საგზაო ნიშნები, ზეპირად, ესეს დაწერა, განმსაზღვრელი, ხუთდონიანი, ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა.

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

1.8. ა) წაკითხეთ ტექსტი და შესაბამის ადგილზე ჩასვით მოცემული სიტყვები და ფრაზები:

კრიტერიუმი ფასდება განმსაზღვრელი მიღწევები საკლასო ხარისხის მართვა ათქულიანი აკადემიური არგუმენტირებული მსჯელობა ფლობდა

მოსწავლეთა შეფასება სწავლა-სწავლების პროცესის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. მისი მიზანია სწავლა-სწავლების, რაც გულისხმობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლის შემოწმება დაუკავშირდეს არა მხოლოდ სწავლების შედეგს, არამედ სწავლის პროცესს, ამიტომ მოსწავლის მიღწევების შესაფასებლად გამოიყენება განმავითარებელი და შეფასება.

სკოლაში შეფასების სისტემა არის და ხუთდონიანი. ეს დონეებია: მაღალი, საშუალოზე მაღალი, საშუალო, საშუალოზე დაბალი და დაბალი.

მაღალ კლასებში ათქულიანი სისტემით ფასდება სხვადასხვა აქტივობა, მაგალითად, ესეს დაწერა,
....., ექსპერიმენტის ჩატარება, ფერწერული და სხვა ტიპის ნამუშევარი და ა.შ. მოსწავლის შეფასება ასევე შესაძლებელია საშინაო, და შემაჯამებელი დავალებებით.

დაბალ კლასებში მოსწავლე არ ქულებით, ანუ ამ კლასებში განმავითარებელი შეფასება გამოიყენება, რომლის დროსაც კარგად ჩანს მოსწავლის
..... აქ მთავარი მოსწავლის წარმატებაა საკუთარ მიღწევასთან შედარებით, ანუ რა დონეს და რა დონეს ფლობს ახლა. მასწავლებელმა აუცილებლად უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მოსწავლეს იმაზე, თუ რაში სჭირდება დახმარება და გავარჯიშება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად.

ბ) კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტი და მისი შინაარსის მიხედვით დასვით კითხვები:

1.
.....
2.
.....
3.
.....
4.
.....
5.
.....



1.9. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- ქალბატონო ნუცა, თქვენი აზრით, მასწავლებელმა რაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება მოსწავლის ?
- ყველაზე მნიშვნელოვანი და აუცილებელია შეფასების პრინციპების
- იქნებ მოკლედ ეს პრინციპები?
- პირველ რიგში, მასწავლებელი უნდა იყოს, რაც იმას ნიშნავს, რომ მასწავლებელი არ უნდა დაეყრდნოს პირად მოსაზრებას, სურვილსა და მოსწავლის
..... თავის დამოკიდებულებას. შეფასება უნდა იყოს, ანუ მასწავლებელი წინასწარ

აწვდის მოსწავლეებს იმ, რომელთა მიხედვითაც აფასებს მოსწავლეთა ნაშრომსა თუ ...
..... დავალებას.

- სულ ესაა?
- არა, შეფასების კიდევ ერთი პრინციპია, რომელიც უნდა დაიცვას მასწავლებელმა.
- და თავად მოსწავლეს რაში ამ ყველაფრის ცოდნა?
- ყოველივე ამის გათვალისწინების შედეგად, მოსწავლეს საშუალება უფრო კარგად მოემზადოს, ყურადღება გაამახვილოს მნიშვნელოვან საკითხებზე. შესაბამისად, მისთვის არ იქნება მოულოდნელი, თუ რა მიიღებს.

1.10. უპასუხეთ კითხვებს და იმსჯელეთ მოცემულ საკითხებზე:

1. თქვენი აზრით, რა განსხვავებაა განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებს შორის? აღწერეთ თითოეული მათგანის ძირითადი მახასიათებლები.
2. მასწავლებლები იყენებენ თუ არა ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა ექსპერიმენტის ჩატარება, ესეს დაწერა, ფერწერული ან სხვა ტიპის ნამუშევარი და ა.შ. ძირითადად როგორი აქტივობები მოსწონთ მოსწავლეებს? არის თუ არა მაღალი მათი ჩართულობა ასეთი ტიპის აქტივობებში?
3. როგორ ფასდება სსსმ მოსწავლე?
4. რას ნიშნავს მოსწავლეს ჩაეთვალა ან არ ჩაეთვალა საგანი? როგორ მოქმედებს სკოლებში ჩათვლის სისტემა?
5. რომელია სავალდებულო და არჩევითი საგნები? ისეთ სპეციფიკურ საგნებში, როგორებიცაა „სპორტი“ ან „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“ როგორ ფასდება მოსწავლე?

ნაწილი II

შეფასების მეთოდები და ინსტრუმენტები

2.1. ა) დააკავშირეთ სიტყვები ერთმანეთთან:

ნიმუში: 8 ა – შეფასების მეთოდები

- | | |
|---------------------|----------------|
| 1. ნამუშევრების | ა. მეთოდები |
| 2. სამართლიანობის | ბ. ხარისხი |
| 3. მოსწავლეთა | გ. შეფასება |
| 4. არგუმენტირებული | დ. გაკეთება |
| 5. მოსწავლის | ე. განცდა |
| 6. ღია | ვ. კითხვები |
| 7. დასკვნების | ზ. ნაკრები |
| 8. შეფასების | თ. გამოთქმა |
| 9. მიღწევის | ი. მსჯელობა |
| 10. შეფასების | კ. ინსტრუმენტი |
| 11. ჰიპოთეზების | ლ. მოსწრება |

ბ) ჩასვით წინადადებებში ზემოთ დაკავშირებული წყვილები:

ნიმუში: ჩემი აზრით, ყველაზე ხშირად გამოყენებული შეფასების მეთოდები არის: ტესტები, დაკვირვება და პორტფოლიო.

1. აკადემიური მასწავლებლის მიერ უნდა შეფასდეს ობიექტურად.
2. ფიზიკის მასწავლებელს აქტივობის ბოლოს შეუფასებია
და რამდენად არგუმენტირებული იყო ეს ჰიპოთეზები.
3. ტესტში არის როგორც დახურული, ისე
4. დღეს გიორგის მაღალი ქულა დაუმსახურებია, რადგან კარგად მოუხერხებია
5. სკოლამ უნდა უზრუნველყოს მოსწავლის ცოდნის სამართლიანი შეფასება, რათა მოსწავლესაც ჰქონდეს შეფასების
6. მოსწავლის ასახავს მის განვითარებასა და მიღწევებს სემესტრის ან წლის განმავლობაში.
7. იამ თქვა, არცთუ ისე ადვილიაო.
8. განმავითარებელი ისე უნდა შეარჩიოს მასწავლებელმა, რომ მოსწავლეებში გაიზარდოს მოტივაცია სწავლის მიმართ.
9. შეფასების საშუალებით განსაზღვრულია სასწავლო შედეგების
10. მოსწავლეს დამოუკიდებელად უნდა შეეძლოს

2.2. წინადადებებში ჩასვით გამოტოვებული სიტყვები სათანადო ბრუნვაში:

პორტფოლიო ელექტრონული ხარისხი ხარვეზი შერეული აღწერილობა შესასრულებელი დასკვნა დონე ხარისხობრივი ჩამონათვალი

ნიმუში: მოსწავლეებს წლის ბოლოს კლასის წინაშე **პორტფოლიოს** პრეზენტაცია გაუკეთებიათ.

1. განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს და ადგენს მოსწავლის მიღწევის
..... ესგ-ით განსაზღვრული მიზნების მიხედვით.
2. მოსწავლეებმა გააკეთეს საინტერესო პრეზენტაციები.
3. მაღალ კლასებში მოსწავლეს უნდა შეეძლოს სიტუაციის ლოგიკურად გააზრება, განხილვა, სხვადასხვა მოსაზრების შედარება და შემდეგ გაკეთება.
4. ანას საშინაო და საკლასო დავალებებში ბევრი აქვს.
5. შეფასების სქემაში შეფასების კრიტერიუმებისა და მათი გამოყენების წესების გარდა, ასევე მოცემულია მიღწევის ხარისხობრივი დონეები და მათი
6. შეფასების სქემების საშუალებით მასწავლებელი იღებს დეტალურ ინფორმაციას და შესრულებული დავალების შესახებ.
7. სქემაში მოცემული აღწერილობები ერთმანეთისგან განსხვავდება.
8. მასწავლებლები იყენებენ ტიპის ტესტს, რომელიც მოიცავს როგორც ღია, ასევე დახურულ კითხვებს.
9. პორტფოლიოში შედის მოსწავლის ნამუშევრების ნაკრები, თვალსაჩინო მასალა, რომელიც ასახავს

მოსწავლის აქტივობებში ჩართულობასა და მიღწევებს, გარდა ამისა, მასში მოცემულია ყველა სხვა საჭირო მასალის.....

10. სქემის შედგენისას ვაფასებთ სასწავლო შედეგების მიღწევის და არა კონკრეტულ დავალებას.

2.3. ა) შეავსეთ ცხრილი:

დღეს	გუშინ მთელი დღე	გუშინ	ხვალ	უნდა	ჯერ არ
აცნობს	აცნობდა	გააცნო	გააცნობს	გააცნოს	გაუცვნია
				გაბომოს	
	აადვილებდა				
					დაუსახავს
			გააძნელებს		

ბ) ზმნის საჭირო ფორმის გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: თამარ, იქნებ **გააძნელოთ** ეს დავალება, ცოტა მარტივია.

1. თურმე
2. შეიძლება.....
3. გუშინ
4. ჯერ არ
5. უნდა
6. გუშინ მთელი დღე
7. ხვალ
8. დღეს
9. ჯერ არ
10. ხვალ

2.4. წაიკითხეთ წინადადებები და ნიმუშის მიხედვით შეუცვალეთ ზმნას ფორმა:

ნიმუში: წარმატებული მასწავლებელი, პირველ რიგში, სასწავლო მიზანს **სახავს**.

- ა) წარმატებული მასწავლებელი, პირველ რიგში, სასწავლო მიზანს **დასახავს**.
- ბ) წარმატებულ მასწავლებელს, პირველ რიგში, სასწავლო მიზანი **დაუსახავს**.
- გ) წარმატებულმა მასწავლებელმა იქნებ, პირველ რიგში, სასწავლო მიზანი **დასახოს**.

1. მასწავლებელი სანდროს **ახასიათებს**, როგორც ნიჭიერ მოსწავლეს.
- ა)
- ბ)
- გ)

2. შეფასების სქემები **აადვილებს** მოსწავლეების შეფასებას.

- ა)
- ბ)
- გ)

3. გიორგის შესრულებული დავალება **ეთვლება**.

- ა)
- ბ)
- გ)

4. ეკა საკუთარი საქმიანობის გაუმჯობესების გზებს **სახავს**.

- ა)
- ბ)
- გ)

5. ჯგუფებში ხმამაღლა კითხვა ყურადღებას **ავარჯიშებს**.

- ა)
- ბ)
- გ)

6. მასწავლებელი მოსწავლეებს ახალ მასალასთან დაკავშირებულ სასწავლო რესურსებს **აცნობს**.

- ა)
- ბ)
- გ)

7. სოფოს კლასში დისციპლინის პრობლემები თანდათან **გვარდება**.

- ა)
- ბ)
- გ)

8. მასწავლებლები შეფასების კრიტერიუმების დახმარებით **ზომავენ** სწავლება-სწავლის პროცესში მოსწავლის მიერ მიღწეულ შედეგებსა და მათ ხარისხს.

- ა)
- ბ)
- გ)

9. ბავშვები წარმატებით **ძლევენ** საბაზო საგანმანათლებლო პროგრამას.

- ა)
- ბ)
- გ)

10. გამოცდილი პედაგოგი პროექტებით კი არ **აძნელებს**, არამედ **აადვილებს** მოსწავლეებისთვის სწავლებას.

- ა)
- ბ)
- გ)

2.5. წიკითხეთ წინადადებები და გახაზეთ სწორი ვარიანტი:

ნიმუში: -მეთქი/-თქო/-ო - ანა, მარიამს უთხარი, აქტივობის ბოლოს შეაფასე მოსწავლეების მიერ გამოთქმული ჰიპოთეზები და რჩევებიც მიეცი-**თქო**.

1. დიანამ თქვა, ტესტებში ხარვეზებია გასასწორებელი **-მეთქი/-თქო/-ო**.
2. ხომ გითხარით, მიღწევის დონის აღწერილობაში ადვილად აღსაქმელი მახასიათებლებია წარმოდგენილი **-მეთქი/-თქო/-ო**.
3. მე ვუთხარი მავას, იქნებ გააკეთო შერეული ტიპის ტესტი **-მეთქი/-თქო/-ო**.
4. ლანას უთხარი, ელექტრონული პრეზენტაციებიც საჭიროა პორტფოლიოსთვის **-მეთქი/-თქო/-ო**.
5. მგონი მანანამ თქვა, ტრენინგი შეფასების მეთოდებსა და ინსტრუმენტებზე ხვალ ბიბლიოთეკაში გაიმართება **-მეთქი/-თქო/-ო**.
6. ხომ გითხარით, დაწერეთ იმ სასწავლო რესურსების ჩამონათვალი, რომელიც გაკვეთილზე დაგჭირდებათ **-მეთქი/-თქო/-ო**.
7. ნინო, მასწავლებლებს უთხარი მშობელს დროულად მიაწოდეთ ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ **-მეთქი/-თქო/-ო**.
8. დირექტორმა თქვა, ჩვენი მოვალეობაა ყველა მოსწავლემ მიიღოს ხარისხიანი განათლება **-მეთქი/-თქო/-ო**.
9. ახალბედა მასწავლებლებს ვუთხარი, ბავშვები ხშირად ჩართეთ სხვადასხვა დონისძიებაში **-მეთქი/-თქო/-ო**.
10. არა ერთხელ, არამედ რამდენჯერმე გითხარით, მოსწავლეები შეაფასეთ სამართლიანად წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით **-მეთქი/-თქო/-ო**.

2.6. ა) დალაგეთ ტექსტი თანმიმდევრულად (1,2,3,4):

..... დაბოლოს, რატომ არის ასე მნიშვნელოვანი შეფასების სქემების გამოყენება? იგი წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომელიც კი არ აძნელებს, არამედ აადვილებს მოსწავლეების შეფასებას და ეს ყველაფერი მოსწავლეს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში ეხმარება.

..... სქემის შექმნისას მასწავლებელმა სწორად უნდა ჩამოაყალიბოს კრიტერიუმები. შეფასების სქემა უნდა ამოწმებდეს იმას, რის შემოწმებასაც ისახავს მასწავლებელი მიზნად და, რაც მთავარია, სქემა უნდა იყოს ნათელი, ანუ როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოსწავლეებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ მის შექმნაში ან წინასწარ გააცნოს მასწავლებელმა არსებული სქემები, რომლებითაც მათი ცოდნა შეფასდება.

....1.... როგორც ვიცით, სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლის შეფასება უმნიშვნელოვანესია. მასწავლებლები მოსწავლის შესაფასებლად ძირითადად შეფასების სქემებს იყენებენ. სქემების საშუალებით მოსწავლე ნათლად ხედავს, თუ რაში, რატომ, როგორ და როდის ფასდება. თითოეული მოსწავლის შეფასება, რა თქმა უნდა, უნდა იყოს ობიექტური, ანუ სამართლიანი. მნიშვნელოვანია, მოსწავლეს ჰქონდეს საკუთარი ცოდნის შეფასების მიმართ სამართლიანობის განცდა.

..... შეფასების სქემები წარმოადგენს კრიტერიუმებისა და მათი გამოყენების წესების ერთობლიობას, რომლის მიხედვითაც ფასდება მოსწავლის მოსწრება ამა თუ იმ აქტივობასა ან საგანში. მასწავლებელს შეუძლია შეფასების სქემის შექმნის პროცესში ჩართოს მოსწავლეები.

ბ) წაკითხეთ ტექსტი კიდევ ერთხელ და უპასუხეთ შეკითხვებს:

1. შეფასების სქემა ეხმარება თუ არა მოსწავლეს საბოლოო შედეგის დანახვასა და მიღწევაში?
2. შესაძლებელია თუ არა, მასწავლებელმა შეაფასოს მოსწავლე ორი ან მეტი კრიტერიუმით?
3. არსებობს შეფასების უნივერსალური სქემა?
4. ვინ ადგენს შეფასების სქემას? შეუძლია თუ არა მშობელს მონაწილეობა მიიღოს სქემის შედგენაში?

2.7. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- ქალბატონო ანა, საგაკვეთილო პროცესში შეფასების რომელ მეთოდებს იყენებთ?
- ხშირად ვიყენებ მეთოდს. ვაკვირდები არა მარტო მოსწავლის მუშაობის პროცესს, არამედ - ქცევებსაც. დაკვირვების საფუძველზე კი ვაძლევ რჩევებს, თუ რა უნდა შეცვალოს მან ან რისი..... საჭირო სწავლის პროცესში.
- რაც შეეხება აქტივობებს, ყველაზე ხშირად რომელს იყენებთ?
- ჩემი აზრით, მოსწავლის ცოდნის შემოწმების გარდა, ასევე მნიშვნელოვანია მისი სააზროვნო უნარების განვითარებაზე ამ შემთხვევაში ერთ-ერთი ყველაზე კარგი მეთოდია.
- ანუ თქვენ თვლით, რომ ტესტის დახმარებით შესაძლებელია როგორც ცოდნის, ისე უნარების შეფასება?
- დიახ, შესაძლებელია, რადგან ტესტი შეიძლება შედგებოდესკითხვებისგან, რაც გულისხმობს იმას, რომ ამ დროს ფასდება მოსწავლის ცოდნა, ხოლო სხვა ტიპის ტესტით, რომელიც შედგება.....კითხვებისგან, ფასდება სააზროვნო უნარები.
- არსებობს ისეთი ტესტი, რომელიც შედგება ღია და დახურული?
- რა თქმა უნდა, არსებობს და მას ტესტი ჰქვია,
- დაბოლოს, იქნებ მითხრათ თავად ტესტი როგორ ფასდება?
- იგი ფასდება მასწავლებლის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების
- დიდი მადლობა!

2.8. წაკითხეთ წინადადებები. იპოვეთ გრამატიკული შეცდომა და გაასწორეთ:

1. მასწავლებელს წინაშე ხშირად დგას დისციპლინასთან დაკავშირებული პრობლემები.
2. შეფასების სქემას შედგება შემდეგი სამი კომპონენტისგან: შეფასების კრიტერიუმების, მიღწევის ხარისხობრივი დონეებისა და მიღწევის დონეების აღწერილობებისგან.
3. მასწავლებელმა უნდა მიაწოდოს მოსწავლეებს დეტალურმა ინფორმაცია შესასრულებელი და შეუსრულებელი დავალებების შესახებ.
4. პორტფოლიოს დანიშნულებაა, მოსწავლემ თავად შეაფასოს საკუთარი ნაშრომები, ანუ იგი ხელს უწყობს მოსწავლის თვითშეფასების განვითარება.
5. თუ მასწავლებელი მოსწავლეები წინასწარ გააცნობს შეფასების სქემებს, შედეგიც ეფექტური იქნება.
6. კრიტერიუმები დახმარებით შეგიძლიათ გამომოთ არა მარტო მოსწავლის მიღწეული შედეგი, არამედ მისი ხარისხიც.

7. მასწავლებელმა ჩართონ მოსწავლეები კლასგარეშე აქტივობებში, თუმცა აქტივობის განმავლობაში ბავშვებმა ვერ გამოიყენეს მათ მიერ შექმნილი ნამუშევრები.
8. მასწავლებლის მიერ მიცემულ დავალებისკენ ჯგუფებმა უნდა დასახონ პრობლემის გადაჭრის გზები.
9. ბავშვები ფიქრობენ, რომ ისინი რთული ამოცანის წინაშე დგანან. მათ ორწუთიანი მსჯელობის შემდეგ უნდა შეძლონ დასკვნების სწორად გაკეთება თემისგან ირგვლივ.
10. ბავშვებს გაუანალიზებიათ ტექსტის დაშვებული ხარვეზები.

2.9. მოცემული სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით დაწერეთ მოკლე ტექსტი „შეფასების სქემების შექმნა და გამოყენება“:

მოსწავლის მოსწრება, გაზომვა, შესასრულებელი, ჩართვა, სამართლიანობის განცდა, ხარისხი, გაცნობა, შესრულებული, ხარისხობრივი, გაადვილება, გაძნელება, დასკვნების გაკეთება, სამართლიანი, მიღწევის დონე, დასახვა, ჰიპოთეზების გამოთქმა, ანალიზი, აღწერილობა, შეფასების ინსტრუმენტი.

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

2.10. უპასუხეთ კითხვებს და იმსჯელეთ მოცემულ საკითხებზე:

1. თქვენი აზრით, რას ნიშნავს სამართლიანი შეფასება და შეფასების მიმართ სამართლიანობის განცდა?
2. დაასახელეთ პორტფოლიოსთვის საჭირო მასალის ჩამონათვალი; როგორ ფიქრობთ, რატომ შედის ეს მასალები მოსწავლის ნამუშევრის ნაკრებში?
3. გამოიყენება თუ არა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები აქტიურად სასკოლო ცხოვრებაში? აკეთებენ თუ არა მოსწავლეები ელექტრონულ პრეზენტაციებს ან სხვა თვალსაჩინო მასალას ისტ-ის გამოყენებით? აძნელებს ეს სწავლის პროცესს?
4. თქვენი აზრით, დგას თუ არა მასწავლებელი რაიმე პრობლემის წინაშე მოსწავლეთა შეფასების დროს? რა გეგმებს სახავს მასწავლებელი ამ პრობლემის მოსაგვარებლად? ან პირიქით, რა აადვილებს მოსწავლის შეფასებას?

3.1. ა) დააკავშირეთ სიტყვები ერთმანეთთან:

ნიმუში: 5 ბ – წამყვანი მასწავლებელი

- | | |
|--------------------|-----------------|
| 1. კარიერული | ა. გეგმა |
| 2. სავალდებულო | ბ. მასწავლებელი |
| 3. ელექტრონული | გ. საბჭო |
| 4. სამუშაო | დ. შეხვედრები |
| 5. წამყვანი | ე. აქტივობები |
| 6. სამოქმედო | ვ. განვითარება |
| 7. შეფასების | ზ. წინსვლა |
| 8. კრედიტქულების | თ. დაგროვება |
| 9. პედაგოგიური | ი. ჯგუფი |
| 10. კრიტიკული | კ. მეგობარი |
| 11. პროფესიული | ლ. საქალაქო |

ბ) ლოგიკურად ჩასვით შესიტყვებები წინადადებებში; ყურადღება მიაქციეთ, რომ ზოგჯერ აუცილებელია სიტყვის ფორმის შეცვლა:

ნიმუში: პროფესიული განვითარების სქემის მიხედვით, მასწავლებლებს შეუძლიათ მიიღონ პრაქტიკოსი, უფროსი, მენტორი ან **წამყვანი მასწავლებლის** სტატუსი.

- ფასილიტატორის ძირითადი მოვალეობაა მასწავლებელთა დახმარება,
..... გამართვა, ურთიერთდაკვირვების უზრუნველყოფა და ა. შ.
- გარდა, უფროს მასწავლებელს შეუძლია ნებისმიერი დამატებითი აქტივობის შესრულება კრედიტქულების მისაღებად.
- საგანმანათლებლო დაწესებულებები ხელს უწყობენ მასწავლებელთა უწყვეტ
.....
- ფასილიტატორი ეხმარება მასწავლებელს პროფესიული განვითარების ინდივიდუალური
..... შედგენაში.
- ნინომ შეძლო დამატებითი საქმიანობის საშუალებით.
- მასწავლებელი ფასდება მიერ.
- სკოლის ფასილიტატორებს წევრები ირჩევენ.
- არსებობს, რომელშიც ატვირთულია მასწავლებლის ყველა ნაშრომი.
- მგონი, პროფესიული განვითარებისა და სქემაში ცვლილებებია. იქნებ თავად ნახოთ ამ ელექტრონულ მისამართზე ინფორმაცია ამის შესახებ.

10. მასწავლებელთა ურთიერთთანამშრომლობის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური სტრატეგიაა
 ინსტიტუტის დანერგვა, რომელიც მასწავლებელთა ურთიერთდაკვირვებას ითვალისწინებს.

3.2. წაიკითხეთ წინადადებები. ზმნები შეცვალეთ ნიმუშის მიხედვით და ჩასვით შესაბამისი ფორმით:

აცნობს წარადგენს ააქტიურებს რთავს სახავს ავალდებულებს თანხმდება ტვირთავს
 აცნობს ანიჭებს დასტურდება აადვილებს

ნიმუში: მასწავლებელმა მოსწავლეებს გააცნო შესასრულებელი დავალების მიზანი, შესრულებულ დავალებაში კი მათ შექება დაიმსახურეს.

1. ხვალ მნიშვნელოვანი დღეა, რადგან მასწავლებლებისთვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭება ..
 სერტიფიკატი.
2. მასწავლებელს მოსწავლეები აქტიურ დისკუსიაში
3. პედაგოგები როდესაც ჩატარებული და შეფასებული აქტივობების დამადასტურებელ დოკუმენტებს eSchool-ის სისტემაში, ანუ ელექტრონულ საქალაქო დედასთან, მათ შეფასების ჯგუფები შეაფასებენ.
4. ლიკას გაუანალიზებია ხარვეზები და საკუთარი საქმიანობის გაუმჯობესების გზები
5. ბევრი ბავშვი აღნიშნავს, რომ მათთვის საბუნებისმეტყველო საგნების სწავლა არც ისე ადვილია. მგონი, რომ გაკვეთილზე თვალსაჩინო მასალის გამოყენება უფრო ასახსნელი მასალის გაგებასა და გააზრებას.
6. შეფასების ჯგუფს უფროსი მასწავლებლის მიერ ჩატარებული გაკვეთილის დაკვირვების საფუძველზე
 კრედიტქულები.
7. ვფიქრობ, „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტის დანერგვა მასწავლებლებს, რომ შეაფასონ ერთმანეთი, მისცენ რეკომენდაციები და თავიანთი გამოცდილება გაუზიარონ.
8. გუშინ სამუშაო შეხვედრაზე ნინო დირექტორთან იმ ღონისძიებებსა და აქტივობებზე, რომლებშიც ის მონაწილეობას მიიღებს ინდივიდუალურად ან კოლეგებთან ერთად.
9. ინტერაქტიული სწავლება საშუალებას აძლევს მასწავლებლებს, მოსწავლის შესაძლებლობები
10. მასწავლებლები საკუთარ პორტფოლიოს შეფასების ჯგუფის წინაშე შეფასება კი სწორედ მასწავლებლის ელექტრონული საქალაქო დედასთან საფუძველზე ხდება.

3.3. ა) შეავსეთ ცხრილი:

დღეს	გუშინ მთელი დღე	გუშინ	ხვალ	უნდა	ჯერ არ
ანიჭებს	ანიჭებდა	მიანიჭა	მიანიჭებს	მიანიჭოს	მიუნიჭებია
		გაააქტიურა			

					დადასტურებულა
			ატვირთავს		
	წარადგენდა				
ავალდებულებს					

ბ) ზმნის საჭირო ფორმის გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: მასწავლებლის დახმარებით ბავშვები ააქტიურებენ წინარე ცოდნას, ანუ ახალი მასალის ნაცვლად გაკვეთილზე ჯერ ძველი მასალის გამეორება ხდება.

1. დღეს
2. ზეგ
3. გუშინ
4. ჯერ არ
5. უნდა.....
6. გუშინ
7. ხვალ
8. გუშინ მთელი დღე
9. ჯერ არ
10. მაზგ

3.4. სიტყვები შეცვალეთ ნიმუშის მიხედვით და ჩასვით შესაბამის წინადადებებში:

ნიმუში: სრული ზოგადი განათლება არის (სამი საფეხური) **სამსაფეხურიანი**.

1. მარი, ბავშვებს უთხარი, სამის ნაცვლად ეს კონკურსი (ორი ეტაპი) იქნება-თქო.
2. კონსტრუქტივისტული გაკვეთილი არის (სამი ფაზა)
3. ნინოს მიერ ჩატარებული გაკვეთილი იყო (ხარვეზი), ამიტომ ამ გაკვეთილში კრედიტქულები ვერ მიიღო.
4. კონფერენცია, რომელშიც წამყვანმა მასწავლებლებმა მონაწილეობა მიიღეს, იყო (ორი დღე)
5. დაბალ კლასებში მოსწავლე ფასდება სისტემით: ჩაეთვალა, არ ჩაეთვალა, ხოლო მაღალ კლასებში უკვე ხდება ნიშნების დაწერა (ათი ქულა) სისტემით.
6. სკოლებში მოსწავლეთა შესაფასებლად მოქმედებს (ხუთი დონე) სისტემა.
7. ნინო ტრენინგზე ინდივიდუალურის ნაცვლად უპირატესობას ჯგუფურ მუშაობას ანიჭებს. მას მიაჩნია, რომ ჯგუფური მუშაობით მიღებული გამოცდილება უფრო (შედეგი)
8. ეკას ძალიან უყვარს ბავშვები; იგი ზრუნავს არა მარტო იმაზე, რომ ბავშვებმა მიიღონ (ხარისხი) განათლება, არამედ თავის პროფესიულ განვითარებაზეც.

9. მანანას სკოლაში მუშაობის (თორმეტი წელი) გამოცდილება აქვს. გუშინ მას მიანიჭეს მენტორი მასწავლებლის სტატუსი, რაც სერტიფიკატით დადასტურდა.

10. სკოლაში გვაქვს როგორც მოკლე, ისე (გრძელი) პროექტები.

3.5. მოცემული სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით შეადგინეთ მოკლე ტექსტი და დაარქვით სათაური:

წარდგენა, მენტორი, კარიერული წინსვლა, უფროსი, დავალებულება, წამყვანი, საქალაქო, პედაგოგიური საბჭო, კრედიტქულა, ატვირთვა, სტატუსი, სერტიფიკატი, დატვირთული, ურთიერთდაკვირვება, გააქტიურება, დამადასტურებელი, მინიჭება, დადასტურება, კრიტიკული მეგობარი, სავალდებულო, შესრულებული, დამატებითი აქტივობები, ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა.

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

3.6. ა) წაიკითხეთ ტექსტი და დაასათაურეთ:

.....

უკვე რამდენიმე წელია, რაც მოქმედებს მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა. ამასთან დაკავშირებით ბევრი საინფორმაციო და სამუშაო შეხვედრა გაიმართა. ჩატარდა კვლევები, მოხდა ცვლილებები და ა.შ.

სქემის მიხედვით, სკოლას ჰყავს ფასილიტატორი, რომელსაც ირჩევს სკოლის პედაგოგიური საბჭო. მას ყოველთვის დატვირთული გრაფიკი აქვს. ასევე, სკოლას ჰყავს პრაქტიკოსი, უფროსი, წამყვანი და მენტორის სტატუსის მქონე მასწავლებლები, რომლებსაც შეუძლიათ კრედიტქულების დაგროვების შედეგად ერთი კატეგორიიდან მეორეში გადასვლა.

მასწავლებლის საქმიანობა ფასდება შეფასების სქემებით. მასწავლებელს სკოლის შეფასების ჯგუფი აფასებს და ანიჭებს კიდევ მას კრედიტქულას. სასწავლო წლის ბოლოს მასწავლებელი შესრულებული

საქმიანობის შესახებ წარადგენს პრეზენტაციასა და საკუთარ პორტფოლიოს. იგი ჩატარებული და შეფასებული აქტივობების დამადასტურებელ დოკუმენტებს ატვირთავს ელექტრონულ საქაღალდეში - eSchool. ელექტრონულმა სისტემამ ეს პროცესები მართლაც გაამარტივა.

ზოგადად, ცნობილია, რომ ადამიანებს, რომლებიც ერთმანეთთან თანამშრომლობენ, აქვთ საინტერესო, საქმიანი ცხოვრება. შესაბამისად, კიდევ ერთი სიახლე, რომელიც სკოლებში იწერება, არის „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტის ჩამოყალიბება, რომელიც უფრო გაააქტიურებს მასწავლებლებს. იგი ავალდებულებს მათ, შეაფასონ ერთმანეთი, გაუზიარონ გამოცდილება და ა.შ. ამრიგად, მასწავლებელს უნდა შეეძლოს ჯანსაღი კრიტიკის მოსმენა, მიღება და გათვალისწინება.

ბ) შეეცადეთ თქვენი სიტყვებით გადმოსცეთ, რაზეა საუბარი ტექსტში:



3.7. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- ქალბატონო ლანა, რა ტიპის აქტივობებს ასრულებენ მასწავლებლები პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლისთვის?
- არსებობს ორი ტიპის აქტივობა: სავალდებულო და **დამატებითი**, რომელთა დახმარებითაც მასწავლებლებს შეუძლიათ დააგროვონ **კრედიტულები**. გარდა ამისა, ნაწილი აქტივობებისა ეხმარება მასწავლებელს შესაბამისი სტატუსის შენარჩუნებაში, ნაწილი კი შემდეგ საფეხურზე გადასვლაში.
- იქნებ აგვიხსნათ, რომელია **სავალდებულო** აქტივობა?
- მაგალითად, პედაგოგიური პრაქტიკის **კვლევა** სავალდებულო აქტივობად ითვლება. ძირითადი აქტივობების გარდა, თუ მასწავლებელი ფიქრობს **კარიერულ წინსვლაზე**, როგორც უკვე გითხარით, შესასრულებელი აქვს დამატებითი აქტივობებიც.
- ანუ დამატებითი აქტივობების შესრულებითაც **შეფასდებიან** მასწავლებლები კრედიტულებით?
- დიახ, **რა თქმა უნდა**. ეს აქტივობები სხვადასხვა ტიპისაა. მაგალითად, ტრენინგებზე **დასწრება**, კონფერენციებში მონაწილეობის მიღება, **სასწავლო** რესურსების შექმნაც ერთ-ერთი დამატებითი აქტივობაა და ბევრი სხვა. მინდა აღვნიშნო, რომ ეს დამატებითი აქტივობები არ არის მხოლოდ კრედიტულების **დასაგროვებლად**, იგი აჩვენებს, რომ მასწავლებელი პროფესიულ განვითარებაზე **ზრუნავს**.
- გეთანხმებით, მასწავლებელმა ყოველთვის უნდა იფიქროს წინსვლასა და განვითარებაზე.

3.8. იპოვეთ და მონიშნეთ განსხვავებული სიტყვა:

1. წამყვანი, ნიჭიერი, მენტორი, უფროსი.
2. ავალდებულებს, ააქტიურებს, მოსწრება, ტვირთავს.
3. შესრულებული, ჩატარებული, დატვირთული, ჩამონათვალი.
4. კრიტიკული მეგობარი, სამოქმედო, პედაგოგიური საბჭო, დამატებითი აქტივობები.
5. გააქტიურება, დადასტურება, სამართლიანობა, ატვირთვა.

6. საქადალდე, სერტიფიკატი, პორტფოლიო, ფერწერული.
7. კლუბი, ბიბლიოთეკა, წრე, კონფერენცია.
8. რეგულაცია, საკონტროლო წერა, გამოცდა, ტესტი.
9. -მეთეი, ნაცვლად, -თქო, -ო.
10. ცოდნა, უნარი, შესაძლებლობა, სტანდარტი.

3.9. წაიკითხეთ მოცემული წინადადებები. აღნიშნეთ სწორი (+) და არასწორი (-) ინფორმაცია:

1.	თვითშეფასების პროცესი მასწავლებლის პროფესიული და პიროვნული განვითარების ნაწილია.	+	
2.	მასწავლებლის კომპეტენციების ნახვა შესაძლებელია რეგულაციის ძირითად დოკუმენტში - მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტში.		
3.	„კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტის გამოყენებისას, ურთიერთდაკვირვების საშუალებით მასწავლებლები ეხმარებიან ერთმანეთს სუსტი მხარეების აღმოჩენასა და მათი დაძლევის გზების ძიებაში.		
4.	კოლეგის შეფასება არ ეხმარება მასწავლებელს შეფასების უნარის გამომუშავებაში.		
5.	პროფესიული განვითარების მიზნით პედაგოგს შეუძლია პროფესიულ კონფერენციაზე დასწრება, სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა, პრაქტიკის კვლევა და ა.შ.		
6.	მასწავლებლები არ მუშაობენ პროფესიული განვითარების ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმებზე.		
7.	მასწავლებლის შეფასების სქემა არასდროს ეფუძნება მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს.		
8.	მასწავლებლის ცოდნა და უნარები დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატით.		
9.	ფასილიტატორი ზრუნავს სკოლის განვითარებაზე, ეხმარება მასწავლებლებს; ასევე, მონაწილეობას იღებს შეფასების ჯგუფის საქმიანობაში.		
10.	ფასილიტატორი ირჩევა სკოლის პედაგოგიური საბჭოსა და წამყვანი მასწავლებლების მიერ.		

3.10. ისაუბრეთ თემაზე „მასწავლებელთა პროფესიული განვითარება და კარიერული წინსვლა“. გამოიყენეთ შემდეგი სიტყვები და ფრაზები:

ელექტრონული საქადალდე, სერტიფიკატი, დამადასტურებელი დოკუმენტები, შეფასების ჯგუფი, კრედიტქულა, საგნობრივი გამოცდა, წამყვანი მასწავლებელი, ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა, კლუბი, დამატებითი აქტივობები, წრე, ფასილიტატორი, დაკვირვება, დატვირთული, პროფესიული უნარების გამოცდა, შესრულებული, ურთიერთდაკვირვება, განმავითარებელი შეფასება, სავალდებულო.

I. წიკითხეთ წინადადებები. ზმნები ჩასვით საჭირო ფორმაში:

ნიმუში: გონებრივი იერიში განსაკუთრებით ეფექტიანია გაკვეთილის საწყის ეტაპზე. მოსწავლეები
ეჩვევიან..... (ეჩვევა) საკუთარი აზრების მოკლედ და ნათლად ჩამოყალიბებას.

1. ჩემი აზრით, მასწავლებელმა საკლასო დისკუსიის დროს უნდა (ზღუდავს) ისეთი მოსწავლე, რომელიც სხვას არ აძლევს აზრის გამოხატვის საშუალებას.
2. ხვალ მასწავლებელი ბავშვებთან ერთად გეგმავს ქცევის წესების დადგენას, რომლებსაც ყველა (ემორჩილება) გარდა ამისა, ისინი სანქციებზეც შეთანხმდებიან.
3. როცა სკოლაში ვსწავლობდი, სადისკუსიო თემები მოსწავლეების ნაცვლად, ყოველთვის (ირჩევა) მასწავლებლის მიერ.
4. თურმე პროექტისთვის ისეთი საინტერესო ვიზუალური მასალა (იძებნება) ბავშვების მიერ, რომ მათ მასწავლებლის ქებაც კი დაუმსახურებიათ.
5. დისკუსიის ან როლური თამაშის დროს, მოსწავლეებს საშუალება (ეძლევა) ერთობლივად შეასრულონ დავალებები, პატივი სცენ სხვათა მოსაზრებებს და ა. შ.
6. დიანა თვლის, რომ თუ ასახსნელი მასალა (ეფუძნება) წინარე ცოდნას, მათემატიკის გაკვეთილები უფრო საინტერესო გახდება ბავშვებისთვის.
7. ინტეგრირებულ გაკვეთილზე მოსწავლეები სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეები არიან. მათ (ეცვლება) სწავლის მიმართ დამოკიდებულება, ანუ ამ დროს მოტივაცია უფრო მაღალი აქვთ.
8. სემესტრის განმავლობაში მოსწავლეები (ფასდება) საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი დავალებების მიხედვით.
9. სკოლის შეფასების ჯგუფი მასწავლებლის აქტივობის შეფასების დროს უნდა (ეყრდნობა) მხოლოდ ელექტრონულ საქალაქო -eSchool-ის სისტემაში ატვირთულ დოკუმენტებს.
10. გონებრივი იერიშის დახმარებით, მასწავლებელს სწრაფად შეუძლია გაიგოს, რა ცოდნას (ფლობს) მოსწავლეები ასახსნელი თემის ირგვლივ და როგორია მათი დამოკიდებულება საკითხის მიმართ.

II. ა) დააკავშირეთ სიტყვები ერთმანეთთან:

ნიმუში: 1 გ – ვიზუალურად აღქმა

- | | |
|--------------------|-----------------|
| 1. ვიზუალურად | ა. მსჯელობა |
| 2. სლაიდშოუს | ბ. ტექნოლოგიები |
| 3. არგუმენტირებული | გ. აღქმა |
| 4. კლასის | დ. წარდგენა |
| 5. სააზროვნო | ე. სქემები |
| 6. ინტეგრირებული | ვ. მასალა |
| 7. გრაფიკული | ზ. უნარები |

- | | |
|------------------|--------------|
| 8. სასწავლო | თ. გაკვეთილი |
| 9. მიზნობრივობის | ი. დიაგრამა |
| 10. თვალსაჩინო | კ. მართვა |
| 11. საინფორმაციო | ლ. პროექტები |

ბ) ჩასვით წინადადებებში ზემოთ დაკავშირებული წყვილები:

ნიმუში: ვენის დიაგრამის საშუალებით მოსწავლეს ორ საგანს ან მოვლენას შორის არსებული მსგავსებისა და განსხვავების **ვიზუალურად აღქმა** შეუძლია.

1. მოსწავლის პორტფოლიოში შედის მისი ნამუშევრების ნაკრები და
....., რომელიც ასახავს მოსწავლის საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართულობასა და მიღწევებს.
2. მოსწავლეებმა დამოუკიდებლად შეძლეს საპრეზენტაციო მასალის მოძიება და
.....- Power point-ში.
3. მოსწავლეებმა შეძლეს და დისკუსიის წესების დაცვა,
რომლებიც მასწავლებელმა დისკუსიის დაწყებამდე გააცნო მოსწავლეებს.
4. და დიაგრამები ეხმარება მასწავლებელს ახალი
მასალის ახსნაში ან ათვისებული მასალის შეჯამებაში.
5. მოსწავლეს ეხმარება მოვლენის ან პრობლემის გაანალიზებაში.
6. თანამედროვე ხელს უწყობს როგორც მოსწავლის მოტივაციის,
ისე სწავლების ხარისხის ამაღლებას.
7. ესგ-ს მიხედვით, პედაგოგმა ყველა მოსწავლეს უნდა მისცეს საშუალება, გამოავლინოს
.....
8. იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელს ეფექტურად შეუძლია,
სწავლა და სწავლება გაცილებით წარმატებულია.
9. ეკამ სასწავლო წლის დასაწყისში დაგეგმა მათემატიკასა და
ბუნებისმეტყველებაში.
10. ბავშვებმა ისტ-ის გამოყენებით მოამზადეს.

III. წინადადებებში შესაბამის ადგილზე საჭირო ფორმით ჩასვით მოცემული ფრაზები:

ნიმუში: მეთორმეტე კლასის მოსწავლეებმა გამოცდები **წარმატებით დაძლიეს.**

ტრანფერის უნარი ციფრული კულტურა ერთადერთი წყარო წარმოსახვის უნარი
ინტეგრირებული სწავლება მგონია საზოგადოებაში ინტეგრაცია აქტიურად ჩართვა
გაუმჯობესებაზე ბრუნვა რა თქმა უნდა **წარმატებით დაძლევა**

1. მნიშვნელოვანია ახალგაზრდების წარმატებული
2. ჩემი დაკვირვებით, ბავშვები მართლაც სპორტულ
ღონისძიებებში.
3. ნეგატიურად დასჯილი ბავშვი,, ფსიქოლოგიურ ტრავმას მიიღებს.

4. დღეს მოსწავლისთვის სასკოლო სახელმძღვანელო ინფორმაციის
..... არ არის. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ისინი ინტერნეტრესურსებსაც იყენებენ.
5. შეხვედრაზე ისაუბრეს მოსწავლეების სასწავლო შედეგების გაუმჯობესებაზე ტექნოლოგიების საშუალებით, ასევე დამკვიდრებაზე სკოლაში.
6. ია ყოველთვის სწავლების
7. გაკვეთილზე ილუსტრაციების გამოყენება აძლიერებს.
8. სალომე ასწავლის მოსწავლეებს როგორ შეძლონ ნასწავლის გადატანა ერთი პრობლემიდან მეორეზე, როგორც ერთ საგანში, ასევე, სხვა საგნებში. იგი ცდილობს მოსწავლეებში
გამომუშავებას.
9. , რომ ტრანსფერის განხორციელება არ არის რთული. მთავარია, სწავლების პროცესში ყურადღება გამახვილდეს იმაზე, რომ შეძენილი გამოცდილების გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა სიტუაციაში.
10. ახდენს ცალკეულ სასწავლო დისციპლინებში მიღებული ცოდნის სინთეზს, რის გამოც საინტერესო და სახალისოა საგაკვეთილო პროცესი და მალდდება მოტივაცია.

IV. წაიკითხეთ წინადადებები და გახაზეთ სწორი ვარიანტი:

ნიმუში: ვერსად/ნურსად ვნახე კლასის მართვის უნივერსალური რეცეპტი.

1. პოზიტიური დასჯის მეთოდი შედეგიანია **არა ერთხელ/როგორც** მოკლევადიან პერიოდში, **არამედ / ისე** გრძელვადიან პერსპექტივაში.
2. **რამდენიმე/ვინმე** მოსწავლეს ვერ მიუღია სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობა.
3. არასასურველი ქცევის პრევენციის **ყველაზე კარგი/ყველაზე მეტად** სტრატეგიაა მასწავლებლისა და მოსწავლეების მიერ კლასში ქცევის წესების ერთობლივად დადგენა.
4. შეხვედრის **განმავლობაში/გვერდით** ისინი საუბრობდნენ კლასებში არსებული დისციპლინის პრობლემების შესახებ.
5. **არა ერთხელ/როგორც, არამედ/ისე** რამდენჯერმე ვუთხარი მასწავლებლებს, დასჯა რაც შეიძლება, რბილი უნდა იყოს-მეთქი.
6. ჩემი აზრით, სკოლა იყო, არის და იქნება ის მნიშვნელოვანი საფუძველი, რომელიც **ხარისხი/ხარისხიანი** განათლების წინაპირობაა.
7. სკინერის აზრით, დასწავლისთვის უმნიშვნელოვანესია **არა მხოლოდ/ისეთი** განმტკიცების, **არამედ/როგორც** დასჯის გამოყენებაც.
8. დაფის **გვერდით/წინაშე**, კედელზე კიდია ბავშვების მიერ გაკეთებული პლაკატები და ილუსტრაციები.
9. ნინომ თქვა, რამდენიმე მოსწავლის არასასურველი ქცევა ძალიან მიშლის ხელს გაკვეთილზე და წესრიგს ვეღარ ვინარჩუნებ-**თქო/-ო**.
10. მოზრდილი ბავშვები, პატარებისგან **განსხვავებით/გარშემო**, თვითონ მართავენ და აკონტროლებენ თავიანთ ქცევასა და აზროვნებას.

V. შეადგინეთ წინადადებები მოცემული სიტყვებითა და ფრაზებით; გამოიყენეთ თანდებულები: ...ირგვლივ... და ...წინაშე...:

საკითხი პრაქტიკოსი მასწავლებელი თემა შეფასების ჯგუფი გამოწვევა პერსონაჟები შედეგი მოდელირება პედაგოგიური საბჭო ხარვეზები ინტერაქტიული მეთოდები

ნიმუში: დისკუსია ჯერ არ დასრულებულა. ბავშვები ისევ მსჯელობენ საკითხის ირგვლივ.

1.
2.
3.
4.
5.
6.
7.
8.

VI. ხაზი გაუსვით ზმნის სწორ ფორმას:

ნიმუში: ბავშვები ხალისით ერთვებიან/ჩაერთონ სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებაში.

ა) დრო

1. ლანა მიიჩნევს/მიიჩნეოდა, რომ ნეგატიურისგან განსხვავებით, პოზიტიური დასჯამართლაც შედეგიანია.
2. დისკუსიის დროს მიღებული წესები არ დარღვეულა/დაირღვეს.
3. ქალბატონი ნონა ბავშვების მიერ გამოქვლივებულ ქცევებს მაშინვე განუმტკიცებია/განამტკიცებს, რადგან, მისი დაკვირვებით, ისინი ასე უფრო აქტიურად ერთვებიან საგაკვეთილო პროცესში.
4. მოსწავლის შეფასებისას შეიძლება გამოვლინდეს/გამოვლინდება პრობლემები, თუ შეფასება არ იქნება ობიექტური.
5. შემდეგ კვირას მასწავლებლები ჩაატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილს. ისინი უკვე თანხმდებოდნენ/შეთანხმებულან ასახსნელ თემაზეც.

ბ) პირი

1. ბევრი ბავშვი ზრდასრულ ასაკში **ყალიბდება/ყალიბდებიან** დამოუკიდებელ, ძლიერ პიროვნებად და აღწევს წარმატებას პროფესიულ კარიერაში.
2. ბანდურას მიხედვით, ადამიანის ქცევა უფრო კარგად **განმტკიცდებით/ განმტკიცდება**, თუ ის დადებითადაა შეფასებული თვითონ ამ ადამიანის და არა გარეშე პირის მიერ.
3. ბავშვები **ბაძავენ/ბაძავთ** მოდელის ქცევას, თუ ხედავენ, რომ ისინი ამისთვის რაიმე ჯილდოს დაიმსახურებენ.
4. ბევრ სკოლაში ისევ მოსაწესრიგებელია სასწავლო გარემო, თუმცა ეს ის პრობლემაა, რომელიც თანდათან **გვარდება/ავგვარებს**.
5. როდესაც მოსწავლე **ამჟღავნებს/ვამჟღავნებ** ინტერესს შემოქმედებითი საქმიანობის მიმართ, მასწავლებელმა უნდა შეუწყოს ხელი მას ამ უნარის განვითარებაში.

VII. წაიკითხეთ წინადადებები. იპოვეთ შეცდომა და გაასწორეთ:

1. პროექტის მომზადება, საკონტროლო წერა, ზეპირი გამოსვლა, ესეც დაწერა და ა. შ ეს იმ აქტივობების არასრული ჩამონათვალია, რომელიც ფასდება ათქულიანი სისტემა.
2. საგანი „საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება“ ყველა მოსწავლეს ჩაეთვალა.
3. მასწავლებელი ყოველთვის მირჩევს მოსწავლეებს, თუ რაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება ან რაში სჭირდებათ გავარჯიშება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად.
4. მასწავლებელს აქვს უფლება, ჩართოს მოსწავლეები შეფასების სქემის შექმნის პროცესი.
5. შეფასების სქემა ეხმარება მასწავლებელს, ჰქონდეს დეტალური ინფორმაციაზე შესასრულებელი და შესრულებული დავალებების შესახებ.
6. მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს კონკრეტულ დავალებას. ისინი უნდა გამოთქვან ჰიპოთეზები და შემდეგ გააკეთონ დასკვნები.
7. ნონამ ნაწილობრივ ატვირთეს მის მიერ ჩატარებული და შეფასებული აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტები ელექტრონულ საქაღალდეში.
8. მგონი, ფასილიტატორიც შედის სკოლის შეფასების ჯგუფში. იქნებ ეს საკითხი გაარკვიოთ დირექტორისთვის.
9. სკოლას ჰყავს ოთხი კატეგორიის მასწავლებელი; მათ ენიჭებათ პრაქტიკოსი, უფროსი, წამყვანი ან მენტორის სტატუსიანი, რაც დასტურდება სერტიფიკატით.
10. მასწავლებელს კრედიტქულები შეუძლია დააგროვოს როგორც სავალდებულო, ისე დამატებით აქტივობებში მონაწილეობა.

VIII. ჩასვით გზნები საჭირო ფორმაში და გადაიყვანეთ წინადადებები შესაბამის დროში:

გამოიყენეთ: ალბათ – მომავალი დრო; თურმე – I თურმეობითი.

ნიმუში: მაკა ბავშვებს წერილობითი კომენტარით ახასიათებს.

ალბათ – მაკა ბავშვებს, **ალბათ**, წერილობითი კომენტარით **დაახასიათებს**.

თურმე – თურმე მაკას ბავშვები წერილობითი კომენტარით **დაუხასიათებია**.

1. ის ბავშვები, რომლებიც შესაბამის დახმარებას იღებენ მასწავლებლისგან, უფრო ადვილად ძლევენ პრობლემებს.

აღბათ

თურმე

2. განმსაზღვრელის გარდა, განმავითარებელი შეფასებითაც ფასდება ბავშვების მიერ შესრულებული დავალებები.

აღბათ

თურმე

3. მოსწავლეები ბევრს ვარჯიშობენ ესეს დაწერაში.

აღბათ

თურმე

4. დღეს სკოლებში ხარისხის კონტროლის მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე ყველა თანხმდება.

აღბათ

თურმე

5. მასწავლებლები თავიანთ პორტფოლიოს შეფასების ჯგუფის წინაშე წარადგენენ.

აღბათ

თურმე

6. „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი ავალდებულებს მასწავლებლებს ერთმანეთის შეფასებასა და რეკომენდაციების მიცემაში.

აღბათ

თურმე

7. მასწავლებელს სკოლის შეფასების ჯგუფი ანიჭებს შესაბამის კრედიტულას.

აღბათ

თურმე

8. ფასილიტატორის რჩევით, ეკა წინასწარ აცნობს მოსწავლეებს შეფასების სქემებს.

აღბათ

თურმე

9. ნინო კარიერული წინსვლისთვის სახავს გეგმებს.

აღბათ

თურმე

10. მანანა სასიამოვნო გარემოს შექმნით აადვილებს ბავშვებში მასალის ათვისებასა და დაძლევას.

აღბათ

თურმე

IX. შეცვალეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით. გამოიყენეთ კონსტრუქცია: იქნებ – II კავშირებითი ნიმუში: სოფო არასდროს ზომავს მოსწავლის მიერ მიღწეულ შედეგებსა და მათ ხარისხს. ის არ იყენებს კრიტერიუმებს.

იქნებ კრიტერიუმების დახმარებით **გაზომოს** სოფომ მოსწავლის მიერ მიღწეული შედეგები და მათი ხარისხი.

1. მარია ყოველთვის გვიან ტვირთავს მის მიერ ჩატარებული აქტივობების დამადასტურებელ დოკუმენტებს ელექტრონულ საქაღალდეში.
.....
2. როგორც ვიცი, „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი ააქტიურებს მასწავლებლებს, თუმცა მინდა მათი უფრო გააქტიურება.
.....
3. ანას კიდევ არ ანიჭებენ უფროსი მასწავლებლის სტატუსს.
.....
4. ჩემი დაკვირვებით, დიანა ისევ არ ასუსტებს მოსწავლეთა არასასურველ ქცევებს პოზიტიური დასჯით.
.....
5. გიორგი პატრა აღარ არის, თუმცა ვერ აკონტროლებს კლასში თავის ქცევებს.
.....
6. სანდრო არ ერთვება ექსპერიმენტის ჩატარების პროცესში.
.....
7. სალომე არ ზრუნავს თავის პროფესიულ განვითარებაზე.
.....
8. ეკას დატვირთული გრაფიკი აქვს, ამიტომ ხვალ ვერ მოაგვარებს ამ პრობლემას.
.....
9. ბავშვები ხშირად არღვევენ ქცევის წესებს და რთული ხდება კლასის მართვა.
.....
10. ბევრი მშობელი არ ერევა თავიანთი შვილების სასკოლო ცხოვრებაში და შეიძლება ბავშვი უარყოფით პიროვნებად ჩამოყალიბდეს.
.....

X. ცხრილში ჩაწერეთ მოცემული სიტყვების მნიშვნელობა:

ნიმუში: ერთ სიტუაციაში ნასწავლის განსხვავებულ სიტუაციაში გამოყენება – ტრანსფერი

1.	ერთ სიტუაციაში ნასწავლის განსხვავებულ სიტუაციაში გამოყენება.	ტრანსფერი
2.		eSchool

3.		ბიპევიორიზმი
4.		ისტ
5.		პორტფოლიო
6.		„კრიტიკული მეგობარი“
7.		სანქცია
8.		მოდელირება
9.		ურთიერთდაკვირვება
10.		ტრანსპოზიცია

ტესტი II

1. წაიკითხეთ ტექსტი და შეასრულეთ დავალებები:

რა არის მასწავლებლის პორტფოლიო? ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია მასწავლებელთა პროფესიული მომზადება და განვითარება. სწორედ პორტფოლიოს წარმოება, ანალიზი და შეფასება ეხმარება მასწავლებელს პროფესიული კომპეტენციის განვითარებაში. პორტფოლიო არის მასწავლებლის უწყვეტი განვითარების, პრაქტიკული საქმიანობის ანალიზის, შეფასებისა და პროფესიული წარმატების დამადასტურებელი დოკუმენტების ერთობლიობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პორტფოლიო არის იმ თვალსაჩინო მასალის ნაკრები, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ იზრდება პედაგოგის საქმიანობის ხარისხი (პედაგოგიური მიდგომა, სწავლების სტილი და პროფესიული კომპეტენცია, ანუ ცოდნა და უნარები). პორტფოლიო ინდივიდუალური დოკუმენტია, რომელშიც დაფიქსირებულია როგორც მუშაობის პროცესი, ასევე – შედეგი. იგი ნათლად აჩვენებს მასწავლებლის წინსვლასა და მიღწევებს დროის გარკვეულ მონაკვეთში. გამოყოფენ პორტფოლიოზე მუშაობის რამდენიმე ძირითად საფეხურს:

- პორტფოლიოს თემისა და მიზნის განსაზღვრა
- მასალის დაგროვება
- დაგროვებული მასალის ანალიზი და შერჩევა მნიშვნელობის მიხედვით
- პორტფოლიოს წარდგენა/პრეზენტაცია

რისთვის გვჭირდება მასწავლებლის პორტფოლიო? პორტფოლიო პედაგოგიური რეფლექსიის ინსტრუმენტია, რომლის დახმარებითაც მასწავლებელი აანალიზებს საკუთარ მიღწევებს პროფესიული ზრდის გზაზე; პორტფოლიო მასწავლებლის „სავიზიტო ბარათია“. პორტფოლიოს დახმარებით დაინტერესებული მკითხველი სრულფასოვან ინფორმაციას მიიღებს მასწავლებლის საქმიანობის ხარისხისა და პროფესიული განვითარების შესახებ. როგორც წესი, პორტფოლიოს ამოწმებენ მასწავლებლის დასაქმების, წახალისების ან სტატუსის მინიჭების დროს. პორტფოლიო მასწავლებლის საქმიანობის ობიექტური შეფასების ინსტრუმენტიცაა.

ა) შეარჩიეთ სათაური; თქვენი არჩევანი დაასაბუთეთ: (2.0 ქულა)

1. როგორ შევქმნათ პორტფოლიო
2. მასწავლებლის პორტფოლიო
3. რა არის საჭირო შეფასებისა და თვითშეფასებისთვის
4. მასწავლებლის სტანდარტის ახალი მოთხოვნები

ბ) ცხრილში აღნიშნეთ სწორი, არასწორი და ისეთი ინფორმაცია, რომელიც ტექსტში არ არის:

(2.0 ქულა)

		+	-	✓
1.	პორტფოლიო მასწავლებლის უწყვეტი პროფესიული განვითარების დამადასტურებელი დოკუმენტების ნაკრებია.	+		
2.	პორტფოლიო არ არის მასწავლებლის მიღწევების ობიექტურად შეფასების ეფექტური ინსტრუმენტი.			
3.	პორტფოლიოს ამოწმებენ მასწავლებლის დასაქმების ან წახალისების დროს.			
4.	პორტფოლიოს ფუნქცია თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობასთან დაკავშირებაა.			
5.	მასწავლებლის პორტფოლიოში დაფიქსირებულია როგორც მუშაობის პროცესი, ასევე - შედეგი.			

გ) უპასუხეთ კითხვებს:

(6.0 ქულა)

1. რა არის პორტფოლიო?

.....

2. პორტფოლიოზე მუშაობის რომელ ძირითად საფეხურებს გამოყოფენ?

.....

3. როგორ გესმით გამოთქმა: „პორტფოლიო პედაგოგიური რეფლექსიის ინსტრუმენტია“?

.....

4. რაში ეხმარება დაინტერესებულ მკითხველს პედაგოგის პორტფოლიო?

.....

5. რა მიზნით ამოწმებენ პედაგოგის პორტფოლიოს?

.....

6. რაში ეხმარება პორტფოლიოს წარმოება და ანალიზი პედაგოგს?

.....

2. შეავსეთ ტექსტი:

(10.0 ქულა)

კარიერული კრედიტქულა ენიჭება ინერგება ურთიერთდაკვირვება თვითშეფასება გამოცდილება ინდივიდუალური რეკომენდაცია დადებითი

მასწავლებელი ყოველ წელს აკეთებს..... და გეგმავს პროფესიულ საქმიანობას. მასწავლებლის საქმიანობას აფასებს სკოლის შეფასების ჯგუფი და ანიჭებს მას შესაბამის თუ მასწავლებლის მიერ სამოქმედო გეგმით შესრულებული საქმიანობები შეფასდება და მასწავლებელი დააგროვებს საკმარისი რაოდენობის კრედიტქულას, მას შესაბამისი სტატუსი (უფროსი, წამყვანი, მენტორი). მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით სკოლას ჰყავს ფასილიტატორი. ფასილიტატორი ხშირად ატარებს სამუშაო შეხვედრებს, უზრუნველყოფს ურთიერთდაკვირვებისას მასწავლებლები აფასებენ ერთმანეთს, აძლევენ, უზიარებენ სკოლებში..... „კრიტიკული მეგობრის” ინსტიტუტი. თითოეული მასწავლებლის პროფესიული განვითარება და წინსვლა ხელს უწყობს სკოლის განვითარებას.

პასუხები: 1. თვითშეფასებას; 2. კრედიტქულას; 3. ინდივიდუალური; 4. დადებითად; 5. მიენიჭება; 6. ურთიერთდაკვირვებას; 7. რეკომენდაციებს; 8. გამოცდილებას; 9. ინერგება; 10. კარიერული.

3. შეარჩიეთ სინონიმები და შეცვალეთ ხაზგასმული სიტყვები. გაითვალისწინეთ, რომ ერთი

სიტყვა ზედმეტია:

(2.0 ქულა)

საფეხური	აღმოჩენა	კომპონენტი	შემეცნება	სტრუქტურირება
		პრეზენტირება		

ნიმუში: სასურველია, ყველა მოსწავლემ უნდა დაამთავროს ზოგადი განათლების სამივე დონე _____ საფეხური _____.

1. კლგნიცია ცოდნის შექმნისა და დაგროვების რთული პროცესია.
2. გაკვეთილის გეგმა უნდა მოიცავდეს ყველა საჭირო ელემენტს
3. ბავშვს უნდა ვაჩვენოთ, როგორ შეიძლება იდეების დახარისხება და დაკავშირება.
4. ახალი იდეების პოვნა ახალისებს მოსწავლეს და დადებითად განაწყობს სწავლის პროცესის მიმართ.

4. ნიმუშის მიხედვით აწარმოეთ ფორმები:

(4.0 ქულა)

ჩატარება	ჩატარებული	ჩასატარებელი	ჩაუტარებელი
მოგვარება			

გამქლავნება			
დამკვიდრება			
დაფასება			
დახასიათება			
დაფუძნება			
მინიჭება			
შეფასება			

5. ჩასვით წინადადებაში ზმნა სათანადო ფორმით: (5.0 ქულა)

ნიმუში:

სამინისტროში მასწავლებლის ახალი სტანდარტი (დამტკიცება) **დამტკიცებულა**.

1. ლიკას სკოლაში უკვე (დამკვიდრება) „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი.
2. დირექტორს კრებაზე(დადასტურება), რომ სექტემბერში ნამდვილად იგეგმება დიდი სასკოლო ღონისძიება.
3. ჩვენი სკოლა (დახასიათება), როგორც რეგიონში ერთ-ერთი საუკეთესო სკოლა.
4. ქალბატონი ლილის გაკვეთილზე წესრიგი არასდროს(დარღვევა).
5. ლიკას ჯერ არ (წარდგენა) შეფასების ჯგუფის წევრების წინაშე.

6. დაუსვით კითხვები წინადადებებში გამოყოფილ სიტყვებს: (5.0 ქულა)

დევიდ პერკინსმა სწავლების რამდენიმე კომპონენტი **გამოყო**. ერთ-ერთი მათგანია - „**სწავლება ტრანსფერისთვის** (1), ანუ გადატანისთვის“. მრავალი კვლევა, **ადასტურებს** (2), რომ მოსწავლეებს უჭირთ ერთ კონტექსტში მიწოდებული პრინციპებისა და ნასწავლი ფაქტების სხვა სიტუაციაში გამოყენება. მაგ.: იმას, რაც აითვისეს მათემატიკაში, **ვერ იყენებენ** (3) საბუნებისმეტყველო საგნების გაკვეთილებზე. იმისათვის, რომ მოსწავლეებმა შეძლონ ერთ საგანში მიღებული ცოდნის სხვა დისციპლინაში გამოყენება, მათ **უნდა ისწავლონ კავშირების აგება** (4) — „დაკავშირება“. ეს კი **გაგების** (5) აუცილებელი წინაპირობაა.

ნიმუში:

რა გააკეთა დევიდ პერკინსმა?

- (1)
- (2)

- (3)
-
- (4)
-
- (5)
-

7. გახაზეთ სწორი ფორმა: (4.0 ქულა)

ნიმუში:
 ფიზიკის მასწავლებელმა ახალი მოსწავლისათვის ინდივიდუალური / ინდივიდუალურად გეგმა შეადგინა.

- 1. თუ რამე დარჩა **გაუგებარი / გაუგებრად**, გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი აუცილებლად ხსნის კიდევ ერთხელ.
- 2. კატო და მისი მეგობრები თვლიან, რომ სწავლების პროცესი **რთული / რთულად** მიდის, თუ არ იყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიებს.
- 3. კვლევები ადასტურებს, რომ ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება **განსაკუთრებული / განსაკუთრებულად** ეფექტურია.
- 4. თუ გიგი საღამოს **თავისუფალი / თავისუფლად** იქნება, ლალის პრემენტაციის მომზადებაში დაეხმარება.

8. შეადგინეთ წინადადებები მოცემული ფრაზების გამოყენებით: (5.0 ქულა)

- 1. როლური თამაშები

-
- 2. მონათესავე საგნები

-
- 3. ციფრული კულტურა

-
- 4. ზიანი არ მივაყენოთ

-
- 5. დამატებითი აქტივობები

-

9. გაასწორეთ წინადადებებში დაშვებული შეცდომები და გადაწერეთ სწორად: (5.0 ქულა)

1. მასწავლებელი ყოველთვის უნდა იცოდეს, რომელი აქტივობით გადის შედეგზე.
.....
.....
2. მასწავლებელს მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავა შეფასების სქემა, რასაც ძალიან გაუადვილებია ბავშვების შეფასება.
.....
.....
3. მოსწავლე, რომელიც წარმატებით დაძლევეს სასწავლო გეგმა, მაღალი ქულით შეფასდება.
.....
.....
4. ქცევის გამეორება უმჯობესია დაკვირვების თანავე.
.....
.....
5. მასწავლებელი არა მხოლოდ ერთგვარი ნიმუშია მოსწავლეებისთვის, იმიტომ მას დიდი წვლილი მიუძღვის მოსწავლის პიროვნებად ჩამოყალიბებაში.
.....
.....

10. გახაზეთ სიტყვა, რომელიც არღვევს კანონზომიერებას: (5.0 ქულა)

ნიმუში:		
ტრანსფერი	გადატანა	ინტეგრაცია

- | | | |
|----------------|--------------|----------|
| 1. ეყრდნობა | ფასდება | ეფუძნება |
| 2. დამკვიდრება | პრეზენტირება | წარდგენა |
| 3. მომზადება | გავარჯიშება | მცდელობა |
| 4. ნაკრები | პორტფოლიო | საქალაქი |
| 5. შედეგიანი | ორიგინალური | ეფექტური |

11. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები: (10.0 ქულა)

- ელენე, რა არის მოსწავლის პორტფოლიო?
- პორტფოლიო შეფასების ერთ-ერთი მეთოდია.
- რისთვის სჭირდება მასწავლებელს მოსწავლის პორტფოლიო?
- ასე უკეთესად ხედავს მოსწავლის : მის განვითარებასა და
..... დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში.
- გასაგებია. ელენე, მოსწავლისთვისაც პორტფოლიო?
- რა თქმა უნდა! პორტფოლიოზე მუშაობა მოსწავლეს თვითშეფასების უნარს. მასწავლებლის დახმარებით მოსწავლე წინასწარ მიზანს და გეგმავს აქტივობებს.

დახმარე სახელმძღვანელო ვადამოგებიანთათვის

- რომელი აქტივობები შეიძლებამოსწავლემ?
- მუშაობა, პრეზენტაციების მომზადება, ღონისძიებებში, კონკურსებში, ოლიმპიადებში, დისკუსიებში მონაწილეობის მიღება და ა.შ.
- მასწავლებლის ვინ ნახავს მოსწავლის პორტფოლიოს?
- ყველა! წლის ბოლოს მოსწავლე კლასის წარადგენს პორტფოლიოს პრეზენტაციას.

12. დააკავშირეთ სიტყვები და შეადგინეთ წინადადებები: (5.0 ქულა)

ნიმუში: შეფასების სქემა აადვილებს მიღწევის ხარისხის დადგენას.

1. მიღწევის	წინსვლა
2. კარიერული	სისტემა
3. პროფესიული	მართვა
4. ჩათვლის	მიდგომა
5. ხარისხის	განვითარება
6. ნეობიჰევიორისტული	ხარისხი

1.
2.
3.
4.
5.

13. გადაიყვანეთ ტექსტი მომავალ დროში: (5.0 ქულა)

ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნილი სასწავლო რესურსები მოსწავლეს **ეხმარება** სასწავლო მასალის ვიზუალურ აღქმაში და ხელს **უწყობს** ცოდნის ათვისების პროცესს. სასწავლო რესურსის შექმნაში ხშირად **ერთვებიან** ხოლმე მოსწავლეებიც. ინტერნეტში ყოველთვის ადვილად **იძებნება** თემასთან დაკავშირებული ინფორმაცია, ილუსტრაციები, ვიდეომასალა, რის მიხედვითაც მოსწავლეები დამოუკიდებლად **ამზადებენ** პრეზენტაციას.

14. უბასუხეთ განათლების ექსპერტის მიერ დასმულ კითხვებს:

(10.0 ქულა)

განათლების ექსპერტი: რას ნიშნავს კლასის მართვა?

.....
.....

ექსპერტი: კლასის მართვის რომელ სტრატეგიებს დაასახელებდით?

მასწავლებელი:

განათლების ექსპერტი: როგორ შეიძლება მოსწავლეებში დისციპლინისა და თვითდისციპლინის გამომუშავება?

მასწავლებელი:

განათლების ექსპერტი: რით ეხმარება მასწავლებელს ქცევის წესების წინასწარ დადგენა?

მასწავლებელი:

განათლების ექსპერტი: მიღებული წესების დარღვევის დროს რა უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა სანქციების, ანუ პროცედურების დადგენისას?

მასწავლებელი:

15. ა) დააკვირდით სურათებს და დაასათაურეთ:

(1.0 ქულა)



ბ) დაწერეთ თემა (მოცულობა 100-120 სიტყვა):

(14.0 ქულა)

შეფასება:

2.0 ქულა - თემის ორგანიზება

3.0 ქულა - მსჯელობა

3.0 ქულა - არგუმენტაცია, ფაქტების მართებულობა

2.0 ქულა - მორფოლოგია-ორთოგრაფია

2.0 ქულა - სინტაქსი

1.0 ქულა - პუნქტუაცია

1.0 ქულა - ლექსიკა, სტილი

სულ: 100.0 ქულა

მოსასამართლო დიალოგები

თავი I – ეროვნული სასწავლო გეგმა

პირველი თავის პირველი გაკვეთილის მე-9 სავარჯიშო:

1. 1. თავის მე-9 სავარჯიშო



IX. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

ა)

-ქალბატონო მანანა, თუ შეიძლება, ისაუბრეთ სკოლის მისიის შესახებ?

- ჩემი აზრით, ხშირად სკოლა არ **ეხმარება** მშობელს ბავშვის აღზრდის პროცესში. არ შეიძლება სკოლაში მხოლოდ ცოდნის **მიღება** იყოს მთავარი. მნიშვნელოვანია სხვა საჭირო **უნარ-ჩვევების** შექმნაც. ამის გარდა, სკოლამ უნდა იზრუნოს ბავშვის **სრულფასოვან**, დამოუკიდებელ პიროვნებად ჩამოყალიბებაზე.

-დიდი მადლობა.

ბ)

-ბატონო მამუკა, თუ შეიძლება, თქვენც გამოთქვით თქვენი აზრი, მაგალითად, სასკოლო ცხოვრებაში მშობლის მონაწილეობის შესახებ?

-მოქალაქის აღზრდაში უნდა მონაწილეობდეს არა მარტო სკოლა, არამედ ოჯახი და **საზოგადოება**. ჩემი აზრით, სკოლის მიერ წინასწარ დაგეგმილი **სასწავლო** პროცესი დაეხმარება სკოლას მიზნის მიღწევაში. რაც მთავარია, გეგმაში უნდა ჩანდეს **მიზნის** მიღწევის გზები. მშობელიც უფრო მეტად უნდა იყოს **დაინტერესებული** სასკოლო ცხოვრებით; სამწუხაროდ, დატვირთული რეჟიმის გამო, მშობელი ხშირად ვერ ახერხებს ბავშვის **აღზრდაზე** ზრუნვას.

-ძალიან დიდი მადლობა ყველას მობრძანებისა და ჩვენს დისკუსიაში მონაწილეობის მიღებისთვის, ნახვამდის.

პირველი თავის მეორე გაკვეთილის მე-9 სავარჯიშო:

1.2. თავის მე-9 სავარჯიშო



IX. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

ა)

-მოგესალმებით, ქალბატონო თამარ! თუ შეიძლება, ისაუბრეთ თქვენი სკოლის მისიის, გეგმებისა და მეთოდების შესახებ.

-ჩვენი სკოლის მიზანია აღზარდოს **მოქალაქე**, რომელიც იქნება **დამოუკიდებელი**. ის დაიცავს ქვეყნის ინტერესებს, **ტრადიციებსა** და **ღირებულებებს**. რა თქმა უნდა, ასევე იქნება **შემოქმედი** და თვითონ შექმნის ღირებულებებს და არ იცხოვრებს არსებულის **ხარჯზე**. ის მთელი ცხოვრების განმავლობაში დამოუკიდებლად შეიძენს **ახალ ცოდნას**, იქნება წარმატებული და შეძლებს **თვითრეალიზებას** საზოგადოებაში.

ბ)

-თუ შეიძლება, ისაუბრეთ თქვენი სკოლის ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესახებ, რომლებიც დაეხმარება ახალგაზრდებს წარმატებასა და მიზნის მიღწევაში.

-დიახ, რა თქმა უნდა; აუცილებელია, ახალგაზრდებმა:

✓ იფიქრონ და დაწერონ ის, რაც აინტერესებთ, რისი სწავლაც უნდათ და ამ მიზნის შესრულება იქნება ყველაზე მრავალფეროვანი, **სასიამოვნო** და **სახალისო** პროცესი.

✓ მათ ასევე უნდა გამოიყენონ არა მხოლოდ **თანამედროვე ტექნოლოგიები**, არამედ წაიკითხონ მეტი წიგნი.

✓ მათ უნდა ისწავლონ სხვებთან ერთად, რადგან **ჯგუფური** მუშაობა ყველაზე კარგი საშუალებაა გამოცდილების გაზიარებისთვის.

✓ მათ ასევე უნდა ისაუბრონ სხვადასხვა აქტუალურ თემაზე. უნდა გამოხატონ **საკუთარი** აზრი სხვადასხვა საკითხზე.

✓ **განათლება** ყველაზე მნიშვნელოვანია ადამიანის ცხოვრებაში. ახალგაზრდები ყოველთვის იქნებიან მოტივაციით სავსე და უფრო ენერგიული.

✓ **უწყვეტი** განათლება გულისხმობს **პიროვნების** განვითარებას, შესაბამისად, ასეთი განათლება არის ის საშუალება, რომელიც **უმრუნველყოფს** მათ თვითრეალიზებას საზოგადოებაში.

სკოლის ადმინისტრაცია თითოეულ მოსწავლეს წარმატებას უსურვებს.

-ძალიან დიდი მადლობა, ქალბატონო თამარ!

-თქვენც გმადლობთ!

პირველი თავის მესამე გაკვეთილის მე-7 სავარჯიშო:

1.3. თავის მე-7 სავარჯიშო



VII. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- მოგესალმებით ქალბატონო ანა. თუ შეიძლება, ისაუბრეთ თქვენი სკოლის შესახებ. პირველ რიგში, როგორი უნდა იყოს სკოლის გარემო, ბავშვმა რომ თავი უსაფრთხოდ იგრძნოს?
- მნიშვნელოვანია **მოწესრიგებული** გარემო. მაგალითად, საკლასო ოთახები, ბიბლიოთეკა, ყველაფერი უნდა გვაძლევდეს შესაძლებლობას, რომ ბავშვებმა შეძლონ **ინდივიდუალურად** ან ჯგუფებში მუშაობა. მოწესრიგებულ გარემოში ბავშვები სწავლობენ უფრო მეტს და არიან მოტივირებულები, იზრდება მათი **ჩართულობა** და ხდება **აკადემიური მოსწრების** გაუმჯობესება.
- როგორ ფიქრობთ, რა კავშირია მოსწავლის მოტივაციასა და ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითად ორიენტირებს შორის?
- მაგალითად, თუ მოსწავლე მიიჩნევა უნიკალურ პიროვნებად, ის ყოველთვის **მოტივირებულია**, რადგან ფასდება თავისი ინდივიდუალური **შესაძლებლობებით**, ემოციებით, ინტერესებით, **სწავლის სტილით**, ცოდნითა და გამოცდილებით. მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეს, რომ დამოუკიდებლად ააგოს **ცოდნა**, ახალი ინფორმაცია დააკავშიროს ადრე ნასწავლთან და შეძლოს ანალიზი და თავისუფლად აზრის **ჩამოყალიბება**. შესაბამისად, მოსწავლე დაინახავს სწავლის მიზანს.
- დიდი მადლობა, ქალბატონო ანა, ინტერვიუსთვის, ნახვამდის.
- ნახვამდის.

II ტავი - ესგ და საგანმანათლებლო პრინციპები

მეორე თავის პირველი გაკვეთილის მე-9 სავარჯიშო:

2.1. თავის მე-9 სავარჯიშო



IX. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- ქალბატონო თათია, თქვენს კლასში როგორ ხდება **მიწოდებული** ინფორმაციის დამუშავება?
- რა თქმა უნდა, **ეტაპობრივად**, წინარე ცოდნის დახმარებით, ანუ ვიწყებ მარტივით და შემდეგ **ვართულებ** სასწავლო მასალას.
- როგორ ეხმარებით მოსწავლეებს მასალის **დამახსოვრებაში**?
- ვიყენებ სხვადასხვა აქტივობას, თამაშებს, რაც ამაღლებს ბავშვების მოტივაციას. ასევე ვიყენებ სურათებსა და **ცხრილებს**, ვაწყობთ **დისკუსიებს**. ასეთი აქტივობის დროს ბავშვები მსჯელობენ და გამოხატავენ საკუთარ აზრებს მოცემული საკითხის შესახებ.
- ანუ აქცენტს აკეთებთ უფრო **აზროვნებასა** და **ფიქრზე**, ვიდრე მარტო ცოდნის შეძენაზე.
- დიახ, მართლაც ასეა, რადგან ბავშვმა უნდა შეძლოს მიღებული ცოდნის დახარისხება, **გაგება**, **გააზრება** და პრაქტიკაში გამოყენება.
- ძალიან კარგი, დიდი მადლობა.

მეორე თავის მეორე გაკვეთილის მე-8 სავარჯიშო:

2.2. თავის მე-8 სავარჯიშო



IX. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- ქალბატონო ეკა, ჩვენ უკვე ვისაუბრეთ საგნობრივ სტანდარტსა და სასწავლო შედეგზე და, თუ შეიძლება, მოკლედ გვითხარით, თუ რას გულისხმობს **საგნობრივი პროგრამა**, რომელიც ასევე შედის საგნობრივ სასწავლო გეგმაში.
- დიახ, რა თქმა უნდა, გეტყვით. საგნობრივ პროგრამაში თითოეული კლასის მიხედვით თითოეულ საგანში **განსაზღვრულია** საგნის სწავლების მიზნები და **ამოცანები**. როგორც უკვე ვახსენეთ, სქემაში შედის **საგნობრივი სტანდარტი**, რაც გულისხმობს თითოეული კლასის ბოლოს მისაღწევ შედეგს და ასევე, **ინდიკატორი**, რომლის საშუალებით შესაძლებელია შევაფასოთ დავალების შესრულების **ხარისხი**.
- ანუ რის საფუძველზე შეგიძლიათ შეაფასოთ შედეგები?

- როგორც ვთქვი, შედეგებს ვაფასებთ ინდიკატორის საშუალებით წინასწარ დადგენილი **კრიტერიუმების საფუძველზე**. ამრიგად, ვიღებთ საგნობრივი სასწავლო გეგმის ისეთ სტრუქტურას, რომელშიც შედის საგნობრივი სტანდარტი, სასწავლო შედეგი, ინდიკატორი და საგნობრივი პროგრამა, ანუ **პროგრამის შინაარსი**.

მეორე თავის მესამე გაკვეთილის მე-9 სავარჯიშო:

2.3. თავის მე-9 სავარჯიშო



IX. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოთვებული ადგილები:

- ქალბატონო თეა, თუ შეიძლება, გვითხარით, რა არის **სასწავლო პროცესის** დაგეგმვის მიზანი?
- დაგეგმვა ეხმარება მასწავლებელს **ეფექტურად** ჩატაროს გაკვეთილები. სასწავლო პროცესი არის **ორგანიზებული** და საინტერესო არა მარტო მასწავლებლებისთვის, არამედ მოსწავლეებისთვისაც.
- მასწავლებლები რა ტიპის გეგმებს **ადგენენ** და იყენებენ?
- ისინი ადგენენ წლიურ, თემატურ და გაკვეთილის სტრუქტურირებულ გეგმებს.
- მაგალითად, რაში გვეხმარება წლიური გეგმა?
- მისი დახმარებით ჩვენ შეგვიძლია დავადგინოთ, თუ რა და როგორ უნდა ისწავლოს მოსწავლემ, რომ **მივალწიოთ შედეგს**. მასში **განსაზღვრულია** საგნის მიზანი და **ამოცანები**.
- რას გულისხმობთ ამოცანებში?
- მასში აღნიშნულია ის **ნაბიჯები**, რომელთა დახმარებით, როგორც უკვე ვთქვი, შესაძლებელია **მიზნის მიღწევა**.
- დიდი მადლობა, გისურვებთ წარმატებას!

III თავი – კონსტრუქტივისტული სწავლა და სწავლება

მესამე თავის პირველი გაკვეთილის მე-9 სავარჯიშო:

3.1. თავის მე-9 სავარჯიშო



IX. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

-ქალბატონო ნუცა, თუ შეიძლება ისაუბრეთ თქვენი საგნის სწავლების შესახებ, როგორია მოსწავლეების ჩართულობა, **მოტივაცია** და ა.შ.

- სასწავლო პროცესში, ეროვნული სასწავლო გეგმით, ჩემს საგანში, ანუ ბიოლოგიაში, გათვალისწინებულია საკითხები, რომლებიც უკავშირდება კვლევებს, დაკვირვებებს. ამიტომ სკოლის არსებული **რესურსების გამოყენებით** სასწავლო წლის განმავლობაში ჩვენ ვატარებთ სხვადასხვა კვლევას. ჩემი აზრით, სწავლა **კეთებითა და აღმოჩენებით** ყველაზე კარგი მეთოდია წარმატებული სწავლა-სწავლებისთვის.

-გეთანხმებით. **დაბოლოს**, თუ შეიძლება გვითხარით, როგორია მოსწავლეების **მოსაზრებები** კვლევებში მონაწილეობასთან დაკავშირებით? მოსწონთ ასეთი ტიპის აქტივობები, თუ ურჩევნიათ კვლევების **გარეშე** ცოდნის **ათვისება** და ინფორმაციის **გაგება**?

-რა თქმა უნდა, მათ მოსწონთ კვლევების ჩატარება. დაკვირვება მათთვის ძალიან საინტერესო პროცესია. ამის გარდა, მათ მოსწონთ **ახალი აღმოჩენების** გაკეთება. ისინი იგებენ არა მარტო ბევრ საინტერესო ინფორმაციას, არამედ იღებენ ცოდნასა და **გამოცდილებას**.

მესამე თავის მეორე გაკვეთილის მე-9 სავარჯიშო:

3.2. თავის მე-9 სავარჯიშო



IX. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- ქალბატონო ლილი, თქვენ როგორც **გამოცდილი** პედაგოგი, რას ურჩევთ მასწავლებლებს, რომ მათი გაკვეთილები უფრო საინტერესო და წარმატებული იყოს?

- გაკვეთილი უნდა იყოს სწორად დაგეგმილი. მასწავლებელმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს და გაკვეთილის გეგმაში ასახოს **კონსტრუქტივისტული** გაკვეთილის სამივე ფაზა, ანუ გამოწვევა, სიღრმისეული წვდომა და რეფლექსია.

- თუ შეიძლება, მოკლედ გვითხარით, რა

არის ამ ფაზების ფუნქცია?

- **გამოწვევის ეტაპზე** მასწავლებელი კითხვებს უსვამს მოსწავლეებს და ბავშვები იხსენებენ **წინარე** ცოდნას. **სიღრმისეული** წვდომის ფაზაში მასწავლებელი ხსნის გაკვეთილის, რეფლექსიის დროს კი მოსწავლეები **აჯამებენ** თემას და აკეთებენ **თვითშეფასებას**. როგორც უკვე გითხარით, თითოეული ფაზა გათვალისწინებული და ასახული უნდა იყოს გაკვეთილის გეგმაში შესაბამისი აქტივობებისა და მეთოდების სახით.
- **დაბოლოს**, თუ შეიძლება გვითხარით, თქვენ რა ტიპის აქტივობებს იყენებთ გაკვეთილზე?
- სასწავლო აქტივობები შესაბამისი უნდა იყოს გაკვეთილის **მიზანთან**, მაგალითად, მე ყოველთვის ისეთი ტიპის აქტივობებს ვარჩევ, როგორც შეესაბამება მოსწავლის ცოდნასა და უნარებს, მის **შესაძლებლობებსა და გამოცდილებას**.
- ძალიან დიდი მადლობა.

მესამე თავის მესამე გაკვეთილის მე-9 სავარჯიშო:

3.3. თავის მე-9 სავარჯიშო



IX. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- ქალბატონო თეკლა, თქვენ გამოცდილი პედაგოგი ხართ. თუ შეიძლება, მითხარით, რომელ მეთოდებს იყენებთ **ინტერაქტიული** სწავლების დროს და რატომ?
- დისკუსია ერთ-ერთი **ეფექტური** და ხშირად გამოყენებული მეთოდია.
- რა არის ამ მეთოდის მიზანი?
- მისი მიზანია სხვადასხვა მიდგომის, იდეისა და პრობლემის ჯგუფში წარმოდგენა. დისკუსიის დროს მოსწავლეები **აქტიურად** მონაწილეობენ საკითხების განხილვაში. დისკუსია ასევე ხელს უწყობს ისეთი უნარების ჩამოყალიბებას, როგორცაა მსჯელობა, **მოსმენა**, განსხვავებული აზრის პატივისცემა და სხვა.
- კიდევ რა დადებითი მხარეები აქვს ამ მეთოდის გამოყენებას?
- მოსწავლეები განხილულ საკითხებს კარგად **იმახსოვრებენ**. მაღალია მოსწავლეთა **ჩართულობა**. ამის გარდა, მათ ეძლევათ საკუთარი აზრის ჩამოყალიბებისა და გამოთქმის **შესაძლებლობა**.
- **დაბოლოს**, რა უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა დისკუსიის დაგეგმვის დროს?
- დისკუსიის დროს უნდა შევინარჩუნოთ **ორგანიზებული** გარემო. ამიტომ საჭიროა **ქცევის წესების** შედგენა და დაცვა. მაგალითად, როცა ერთი მოსწავლე ლაპარაკობს, სხვები უსმენენ, პატივს სცემენ ერთმანეთის მოსაზრებებს და ა. შ.
- დიდი მადლობა საინტერესო საუბრისთვის.

IV თავი – სააზროვნო უნარების განვითარება

მეოთხე თავის პირველი გაკვეთილის მე-9 სავარჯიშო:

4.1. თავის მე-9 სავარჯიშო



IX. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- ქალბატონო ლია, საქართველოს ყველა სკოლაში წარმატებით ნერგავენ პრაქტიკაში ინტერაქტიულ მეთოდებს. მასწავლებლები ხშირად იყენებენ დისკუსიის, გონებრივი იერიშისა და როლური თამაშის მეთოდს. თქვენ როგორ ეხმარებით მოსწავლეებს **სააზროვნო უნარების** განვითარებაში?
- ღიახ, მასწავლებლები გაკვეთილზე იყენებენ სხვადასხვა მეთოდს. ყველა მეთოდს აქვს გამოყენების წინაპირობა, ანუ მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომელი მეთოდი რა უნარებს ავითარებს. მაგალითად, მოსწავლეებში ანალიტიკური აზროვნების განვითარებას უწყობს ხელს **გრაფიკული სქემების** გამოყენება. შედარების დროს ძირითადად **ვენის** დიაგრამას ვიყენებ. მისი საშუალებით მოსწავლეს საკითხის **ვიზუალურად** აღქმა შეუძლია. გარდა ამისა, ვიყენებ მიზეზშედეგობრიობის დიაგრამას, სადაც **ნათლად** არის დაფიქსირებული პრობლემის მიზეზები და შედეგები.
- რას ურჩევთ მასწავლებლებს, როგორ შეუძლიათ დაეხმარონ მოსწავლეებს **კრიტიკული** აზროვნების განვითარებაში?
- მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ როგორც სხვათა აზრის მოსმენისა და გათვალისწინების, ისე საკუთარი მოსაზრების **დაფიქსირებისა** და დაცვის უნარი.
- დაბოლოს, რას გვეტყვით **შემოქმედებითი** უნარის განვითარებაზე?
- უფრო მეტი დრო მიეცით მოსწავლეებს პრობლემის **გარშემო** თავისუფალი დისკუსიისა და აზროვნებისთვის. გამოიყენეთ ისეთი აქტივობები, რომლებიც მოსწავლეებში ავითარებენ **წარმოსახვას**. ბევრმა კვლევამ დაადასტურა, რომ ბავშვს სჭირდება თავისუფალი დრო ფიქრისა და წარმოსახვისთვის.
- ძალიან დიდი მადლობა საინტერესო საუბრისთვის.

მეოთხე თავის მეორე გაკვეთილის მე-8 სავარჯიშო:

4.2. თავის მე-8 სავარჯიშო



IX. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- ა)
- ქალბატონო ია, თუ შეიძლება გვესაუბრეთ თქვენ მიერ ჩატარებული **ინტეგრირებული** გაკვეთილის შესახებ.

- სიამოვნებით, მასწავლებელი უნდა იყოს **შემოქმედებითი**. ასეთი მიდგომა სასწავლო პროცესს უფრო საინტერესოსა და მრავალფეროვანს გახდის. **აღიარებულია**, რომ მოსწავლეები ინტეგრირებული გაკვეთილებით უფრო კარგად სწავლობენ, ვიდრე ჩვეულებრივ **საკაკვეთილო** პროცესში.
- რა მიზნით **დაგეგმეთ** ასეთი გაკვეთილი?
- ინტეგრირებული გაკვეთილი დაგეგმე მათემატიკის მასწავლებელთან ერთად მოსწავლეებში ტრანსფერის უნარის შექმნისა და განვითარების **მიზნით**.
- ანუ მოსწავლეები **ტრანსფერს** ინტეგრირებული გაკვეთილებით სწავლობენ?
- დიახ, ასეა. გაკვეთილის მსვლელობის დროს ბავშვებმა ერთმანეთს დაუკავშირეს **სასწავლო დისციპლინებში** მიღებული ცოდნა. მოსწავლეებმა იმუშავეს ჯგუფებში და ადვილად მოახერხეს ერთმანეთთან კომუნიკაცია და **თანამშრომლობა**.

ბ)

- ქალბატონო ია, გავაგრძელოთ ჩვენი საუბარი. **მაინტერესებს**, რთული ხომ არ იყო სხვადასხვა სასწავლო დისციპლინაში მიღებული ცოდნის **ერთმანეთთან** დაკავშირება?
- ბევრი კვლევა **ადასტურებს**, რომ მოსწავლეებისთვის არ არის ადვილი ერთ სიტუაციაში **ნასწავლის** სხვა სიტუაციაში გამოყენება. მაგალითად, ის, რაც ისწავლეს მათემატიკაში, ბავშვებს ვერ გადააქვთ **საბუნებისმეტყველო** საგნების გაკვეთილებზე. მოსწავლემ რომ შეძლოს ერთ **საგანში** ნასწავლის სხვა დისციპლინაში **გამოყენება**, უნდა ისწავლოს კავშირების დამყარება, ანუ **დაკავშირება**; ამიტომ ხშირად ვგეგმავთ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, რომ მოსწავლემ შეძლოს **ცოდნის** ტრანსფერი.
- **გასაგებია**. დიდი მადლობა საინტერესო საუბრისთვის.

მეთხე თავის მესამე გაკვეთილის მე-8 სავარჯიშო:

4.3. თავის მე-8 სავარჯიშო



IX. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- ქალბატონო დიანა, თუ შეიძლება გვესაუბრეთ სასწავლო პროექტებთან დაკავშირებით.
- **დამკვიდრებული** პრაქტიკაა, რომ მოსწავლეები ხან ინდივიდუალურად, ხან ჯგუფურად მუშაობენ. **მოსამზადებელი** პროექტი შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის და ნებისმიერ სასწავლო დისციპლინას უკავშირდებოდეს. პროექტის მომზადების პროცესს აქვს რამდენიმე **საფეხური**.
- ამ დროს როგორ ხდება ინფორმაციის მოძიება, ანუ რა საშუალებებს იყენებენ პროექტის მონაწილეები?
- ინფორმაციის მოსაძიებლად მოსწავლეები იყენებენ **ინტერნეტრესურსებს**. ეს კი საშუალებას აძლევს ახალგაზრდებს, გახდნენ ისტ-ის **კომპეტენტური** მომხმარებლები.

- **ტექნოლოგიები** მართლაც ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა.
- დიახ, ასეა. უკვე წარმოდგენელია მის გარეშე არსებობა. მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ უნარი, გამოიყენონ ტექნოლოგიები და მათი საშუალებით **ხელმისაწვდომი** გახდეს ინფორმაცია. მათ უნდა შეძლონ საკუთარი **პროდუქტის** შექმნა და პროექტის დასასრულს მისი **პრეზენტაცია**, ანუ სლაიდშოუს წარდგენა Power point-ში.
- კარგი მიდგომაა, რომ სასწავლო პროექტების დახმარებით მოსწავლეები თეორიას აკავშირებენ პრაქტიკასთან.
- დიახ, სასწავლო პროექტების **სპეციფიკა** სწორედ ესაა.
- დიდი მადლობა ქალბატონო დიანა საინტერესო ინფორმაციის გაზიარებისთვის.

მეხუთე თავის პირველი გაკვეთილის მე-8 სავარჯიშო:

5.1. თავის მე-8 სავარჯიშო



IX. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- ქალბატონონა, ბევრი თვლის, რომ **ბიჰევიორიზმი** ყველაზე წარმატებული სწავლების სტრატეგიაა. თქვენ როგორ ფიქრობთ, სწორია თუ არა ეს მოსაზრება?
- ეს მეთოდი **მართლაც** დიდი წარმატებით გამოიყენება სწავლებაში. ბიჰევიორისტული მიდგომა სწავლება-სწავლაში ხაზს უსვამს **წახალისებას**. მასწავლებელმა უნდა შექმნას ისეთი სასიამოვნო გარემო, სადაც ყველა ბავშვი აქტიურად იქნება ჩართული საგაკვეთილო პროცესში, მიიღებს მონაწილეობას **სპორტულ ღონისძიებებში**, ითანამშრომლებს თანაკლასელებთან და ა. შ
- მასწავლებლები წახალისებასთან ერთად დასჯასაც ხომ იყენებენ?
- რა თქმა უნდა, იყენებენ. ზოგადად **დასჯა** არაეფექტურია, მაგრამ თუ ის აუცილებელია, რაც შეიძლება რბილი უნდა იყოს, რომ **ზიანი** არ მივაყენოთ მოსწავლის თვითშეფასებას. დასჯა შესაძლებელია იყოს არა მხოლოდ ნეგატიური, არამედ **პოზიტიური**. მაგალითად, პოზიტიური დასჯის მიზანია, **შეასუსტოს** მოსწავლეებში არასასურველი ქცევა,
- ანუ ეს მეთოდი **შედევია**?
- დიახ, რა თქმა უნდა, შედეგია როგორც მოკლევადიან პერიოდში, ასევე -გრძელვადიან **პერსპექტივაში**.
- გასაგებია, დიდი მადლობა.

V თავი – ქვევის მართვა

მეხუთე თავის მეორე გაკვეთილის მე-9 სავარჯიშო:

5.2. თავის მე-9 სავარჯიშო



IX. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- ქალბატონო ნათელა, თქვენ სწავლების რომელი სტილის **მომხრე** ხართ?
- ბიჰევიორისტული სტილის **მოწინააღმდეგე** არ ვარ, მაგრამ ჩემთვის კლასის **მართვის** დემოკრატიული სტილი უფრო მისაღებია, ვიდრე ბიჰევიორისტული.
- რატომ არის თქვენთვის უფრო მისაღები **დემოკრატიული** სტილი?
- კლასის მართვის დემოკრატიული სტილის დროს უპირატესობა ენიჭება მასწავლებლისა და მოსწავლის თანამშრომლობას, რათა მოხდეს არასასურველი ქცევის **პრევენცია**.
- გასაგებია. კლასის მართვის დროს რა სტრატეგიებს იყენებთ?
- ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია მოსწავლის **წახალისება** და შექება. **შექება** სტიმულს აძლევს მოსწავლეებს. მათ ექნებათ **მოსალოდნელი** წარმატების განცდა და კიდევ უფრო აქტიურად ჩაერთვებიან საგაკვეთილო პროცესში.
- როგორც უკვე აღნიშნეთ, თქვენთვის ასეთი სტილი მისაღებია; რაში ეხმარება **კლასის** მართვის ეს მოდელი მოსწავლეებს?
- იგი მათ **შემოქმედებითი** და კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებაში ეხმარება.
- დიდი მადლობა, ქალბატონო ნათელა, საინტერესო საუბრისთვის.

მეხუთე თავის მესამე გაკვეთილის მე-8 სავარჯიშო:

5.3. თავის მე-8 სავარჯიშო



IX. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- ა)
- ქალბატონო ნინო, თუ შეიძლება გვითხარით, როგორ სწავლობს ადამიანი **სოციალური** დასწავლის თეორიის მიხედვით?
 - ამ თეორიის მიხედვით, ადამიანმა შეიძლება ისწავლოს არა მხოლოდ საკუთარი ქცევის შედეგად,

არამედ სხვა ადამიანების ქცევაზე დაკვირვებითაც, ანუ **მიბაძვით**. სხვა ადამიანების ქცევის მოდელირებისა და საკუთარი გამოცდილების საფუძველზე კი ყალიბდება ქცევის **სტანდარტები**.

- ქცევის სტანდარტები, ალბათ, შექმნის ქცევის თვითრეგულაციის შესაძლებლობას?
- დიას, ასეა. მოზრდილი ბავშვი თვითონ მართავს და აკონტროლებს თავის ქცევას, ანუ თანდათან იზრდება **თვითრეგულაციის** უნარი.
- და როდის განმტკიცდება ადამიანის ქცევა?
- ბატონი ბანდურა მიიჩნევს, რომ ადამიანის ქცევა უფრო კარგად განმტკიცდება, თუ ის დადებითად ფასდება არა გარეშე პირის, არამედ თავად ამ ადამიანის მიერ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თვითშეფასებით მიღებული განმტკიცება გარეგან **განმამტკიცებელზე** უფრო ძლიერია.

ბ)

- რას გულისხმობს ის ოთხი ეტაპი, თუ შეიძლება ამბზეც რომ გვითხრათ რამე?
- დიას, ბატონი ბანდურა **გამოყოფს** ოთხ ეტაპს, რომლებიც ეხმარება ადამიანს სხვაზე დაკვირვების გზით რაიმეს დასწავლაში და ეს ეტაპებია: ყურადღება, **დამახსოვრება**, გამეორება და მოტივაცია.
- მოკლედ რომ გვითხრათ თითოეული ეტაპის შესახებ?
- მაგალითად, ყურადღება და დამახსოვრება ხელს უწყობს **მოდელის** ქცევის ათვისებას, გამეორება და მოტივაცია კი უზრუნველყოფს ამ ადამიანის მიერ ნასწავლი **ქცევის** განხორციელებას.
- დაბოლოს, რა რჩევას მისცემდით მასწავლებლებს?
- ბანდურას მიერ შექმნილი თეორიის გამოყენება მასწავლებელს საშუალებას აძლევს, საჭიროების შემთხვევაში შეცვალოს მოსწავლის ქცევა, აკონტროლოს ის და განსაზღვროს ეფექტური **სტრატეგიები** სასურველი ქცევის დასწავლისთვის. ასე რომ, მასწავლებლებს ვურჩევ ამ თეორიის გამოყენებას.
- დიდი მადლობა საინტერესო საუბრისთვის.

VI ტაპი – შეფასება

მეექვსე თავის პირველი გაკვეთილის მე-8 სავარჯიშო:



IX. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- ქალბატონო ნუცა, თქვენი აზრით, მასწავლებელმა რაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება მოსწავლის შეფასებისას?
- ყველაზე მნიშვნელოვანი და აუცილებელია შეფასების პრინციპების **დაცვა**.
- იქნებ მოკლედ **დაახასიათოთ** ეს პრინციპები?
- პირველ რიგში, მასწავლებელი უნდა იყოს **ობიექტური**, რაც იმას ნიშნავს, რომ მასწავლებელი არ უნდა დაეყრდნოს პირად მოსაზრებას, სურვილსა და მოსწავლის **მიმართ** თავის დამოკიდებულებას. შეფასება უნდა იყოს **ნათელი**, ანუ მასწავლებელი წინასწარ აწვდის მოსწავლეებს იმ **კრიტერიუმებს**, რომელთა მიხედვითაც აფასებს მოსწავლეთა ნაშრომსა თუ **ზეპირ** დავალებას.
- სულ ესაა?
- არა, შეფასების კიდევ ერთი პრინციპია **სანდლობა**, რომელიც უნდა დაიცვას მასწავლებელმა.
- და თავად მოსწავლეს რაში **დაეხმარება** ამ ყველაფრის ცოდნა?
- ყოველივე ამის გათვალისწინების შედეგად, მოსწავლეს საშუალება **ეძლევა**, უფრო კარგად მოემზადოს, ყურადღება გაამახვილოს მნიშვნელოვან საკითხებზე. შესაბამისად, მისთვის არ იქნება მოულოდნელი, თუ რა **შეფასებას** მიიღებს.

მეექვსე თავის მეორე გაკვეთილის მე-7 სავარჯიშო:



IX. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- ქალბატონო ანა, საგაკვეთილო პროცესში შეფასების რა მეთოდებს იყენებთ?
- ხშირად ვიყენებ **დაკვირვების** მეთოდს. ვაკვირდები არა მარტო მოსწავლის მუშაობის პროცესს, არამედ ქცევებსაც. დაკვირვების საფუძველზე კი ვაძლევ რჩევებს თუ რა უნდა შეცვალოს მან ან რისი **გაუმჯობესებაა** საჭირო სწავლის პროცესში.
- რაც შეეხება აქტივობებს, ყველაზე ხშირად რომელს იყენებთ?
- ჩემი აზრით, მოსწავლის ცოდნის შემოწმების გარდა, ასევე მნიშვნელოვანია მისი სააზროვნო უნარების განვითარებაზე **ზრუნვა**. ამ

შემთხვევაში **ტესტი** ერთ-ერთი ყველაზე კარგი მეთოდია.

- ანუ თქვენ თვლით რომ ტესტის დახმარებით შესაძლებელია როგორც ცოდნის, ისე **სააზროვნო** უნარების შეფასება?
- დიახ, შესაძლებელია, რადგან ტესტი შეიძლება შედგებოდეს **დახურული** კითხვებისგან, რაც გულისხმობს იმას, რომ ამ დროს ფასდება მოსწავლის ცოდნა, ხოლო სხვა ტიპის ტესტით, რომელიც შედგება **ღია** კითხვებისგან, ფასდება სააზროვნო უნარები.
- არსებობს ისეთი ტესტი, რომელიც შედგება ღია და დახურული **კითხვებისგან**?
- რა თქმა უნდა, არსებობს და მას **შერეული** ტესტი ჰქვია,
- დაბოლოს, იქნებ მითხრათ თავად ტესტი როგორ ფასდება?
- იგი ფასდება მასწავლებლის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების **სქემით**.
- დიდი მადლობა.

მეექვსე თავის მესამე გაკვეთილის მე-7 სავარჯიშო:

6.3. თავის მე-7 სავარჯიშო



IX. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- ქალბატონო ლანა, რა ტიპის აქტივობებს ასრულებენ მასწავლებლები პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლისთვის?
- არსებობს ორი ტიპის აქტივობა: სავალდებულო და **დამატებითი**, რომელთა დახმარებითაც მასწავლებლებს შეუძლიათ დააგროვონ **კრედიტულები**. გარდა ამისა, ნაწილი აქტივობებისა ეხმარება მასწავლებელს შესაბამისი სტატუსის შენარჩუნებაში, ნაწილი კი შემდეგ საფეხურზე გადასვლაში.
- იქნებ აგვიხსნათ, რომელია **სავალდებულო** აქტივობა?
- მაგალითად, პედაგოგიური პრაქტიკის **კვლევა** სავალდებულო აქტივობად ითვლება. ძირითადი აქტივობების გარდა, თუ მასწავლებელი ფიქრობს **კარიერულ წინსვლაზე**, როგორც უკვე გითხარით, შესასრულებელი აქვს დამატებითი აქტივობებიც.
- ანუ დამატებითი აქტივობების შესრულებითაც **შეფასდებიან** მასწავლებლები კრედიტულებით?
- დიახ, **რა თქმა უნდა**. ეს აქტივობები სხვადასხვა ტიპისაა. მაგალითად, ტრენინგებზე **დასწრება**, კონფერენციებში მონაწილეობის მიღება, **სასწავლო** რესურსების შექმნაც ერთ-ერთი დამატებითი აქტივობაა და ბევრი სხვა. მინდა აღვნიშნო, რომ ეს დამატებითი აქტივობები არ არის მხოლოდ კრედიტულების **დასაგროვებლად**, იგი აჩვენებს, რომ მასწავლებელი პროფესიულ განვითარებაზე **ზრუნავს**.
- გეთანხმებით, მასწავლებელმა ყოველთვის უნდა იფიქროს წინსვლასა და განვითარებაზე.

პასუხები

I თავი

1.1.

I. ა) დააკავშირეთ სიტყვები

ერთმანეთთან:

1. საგანმანათლებლო დაწესებულება
2. თანაბარი პირობები
3. სრულფასოვანი მოქალაქე
4. სკოლის მისია
5. დასახული მიზანი
6. კეთილმოწყობილისახელოსნო
7. სასწავლო პროცესი
8. ემოციური მხარდაჭერა
9. რელიგიური კუთვნილება
10. უსაფრთხო გარემო
11. აქტიური მონაწილეობა

ბ) ჩასვით შესიტყვება შესაბამის წინადადებაში. გაითვალისწინეთ, ზოგჯერ საჭიროა სიტყვისთვის ფორმის შეცვლა:

1. კეთილმოწყობილი სახელოსნო
2. საგანმანათლებლო დაწესებულება
3. ემოციური მხარდაჭერა
4. უსაფრთხო გარემო
5. დასახული მიზანი
6. სკოლის მისია
7. თანაბარი პირობები
8. აქტიური მონაწილეობა
9. სასწავლო პროცესი
10. რელიგიური კუთვნილების

III. ხაზი გაუსვით ზმნის სწორ ფორმას:

1. ჩაატარა
2. ქმნის
3. ვიმუშავებთ
4. იმსჯელეს

5. მიიღებს
6. დაეხმარონ
7. ვითვალისწინებთ
8. გააგრძელებს
9. უზრუნველყოფს
10. უვითარებს

IV. წაიკითხეთ წინადადებები და მოცემული სიტყვები ჩასვით ნიმუშის მიხედვით; გამოიყენეთ კონსტრუქცია: ... ნათ. ბრ. –ის გარდა

1. მასწავლებლების გარდა
2. ბიბლიოთეკის გარდა
3. კონკურსების გარდა
4. ცოდნის შექმნის გარდა
5. სსსმ პირების გარდა
6. ეთნიკური ჯგუფების გარდა
7. დამოუკიდებელი პიროვნების გარდა
8. სკოლის გარდა
9. კომფორტულის გარდა
10. საინტერესო აქტივობების გარდა

V. ა) ჩასვით წინადადებებში ზმნები

მომავალი დროის ფორმით ნიმუშის მიხედვით:

1. ითანამშრომლებენ, ექნებათ
2. ჩაატარებენ, იქნება
3. მოძებნიან, მოამზადებენ
4. ისაუბრებენ, იმსჯელებენ
5. უზრუნველყოფს, ისწავლიან

ბ) ჩასვით წინადადებებში ზმნები

მომავალი დროის ფორმით ნიმუშის მიხედვით და გამოიყენეთ კონსტრუქცია: თუ..., მაშინ

6. თუ გაავრცელებს, მაშინ მონაწილეობას მიიღებს
7. თუ ჩამოაყალიბებენ, მაშინ იქნება
8. თუ განუვითარებს, მაშინ აითვისებენ
9. თუ იქნებიან, მაშინ მიაღწევენ
10. თუ ექნება, მაშინ იქნება

VII. წაიკითხეთ მოცემული წინადადებები. აღნიშნეთ სწორი (+) და არასწორი (-) ინფორმაცია:

- 1. +
- 2. +
- 3. +
- 4. +
- 5. +
- 6. +
- 7. -
- 8. +
- 9. -
- 10. +



IX. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

ა)
 - ქალბატონო მანანა, თუ შეიძლება, ისაუბრეთ სკოლის მისიის შესახებ?
 - ჩემი აზრით, ხშირად სკოლა არ **ეხმარება** მშობელს ბავშვის აღზრდის პროცესში. არ შეიძლება სკოლაში მხოლოდ ცოდნის **მიღება** იყოს მთავარი. მნიშვნელოვანია სხვა საჭირო **უნარ-ჩვევების** შექმნაც. ამის გარდა, სკოლამ უნდა იზრუნოს ბავშვის **სრულფასოვან**, დამოუკიდებელ პიროვნებად ჩამოყალიბებაზე.
 -დიდი მადლობა.

ბ)
 - ბატონო მამუკა, თუ შეიძლება, თქვენც გამოთქვით თქვენი აზრი, მაგალითად, სასკოლო ცხოვრებაში მშობლის მონაწილეობის შესახებ?
 - მოქალაქის აღზრდაში უნდა მონაწილეობდეს არა მარტო სკოლა, არამედ ოჯახი და **საზოგადოება**. ჩემი აზრით, სკოლის მიერ წინასწარ დაგეგმილი **სასწავლო** პროცესი დაეხმარება სკოლას მიზნის მიღწევაში. რაც მთავარია, გვეგმაში უნდა ჩანდეს **მიზნის** მიღწევის გზები. მშობელიც უფრო მეტად უნდა იყოს **დაინტერესებული** სასკოლო ცხოვრებით; სამწუხაროდ, დატვირთული რეჟიმის გამო, მშობელი ხშირად ვერ ახერხებს ბავშვის **აღზრდაზე** ზრუნვას.
 -ძალიან დიდი მადლობა ყველას მობრძანებისა და ჩვენს დისკუსიაში მონაწილეობის მიღებისთვის, ნახვამდის.

1.2.

I. წინადადებებში შესაბამის ადგილზე ჩასვით მოცემული ფრაზები:

1. ქვეყნის ინტერესები
2. თანამედროვე ტექნოლოგიები
3. ბუნებრივი გარემოს
4. უწყვეტი განათლება
5. საკუთარი პასუხისმგებლობა
6. საკუთარი ადგილი
7. ტოლერანტი მოქალაქე
8. სრულფასოვანი მოქალაქე
9. აღზრდილი ახალგაზრდა
10. ადამიანთა უფლებები

II. ა) დააკავშირეთ სიტყვები ერთმანეთთან:

1. საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება
2. ზოგადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების გამოყენება
3. ბუნებრივი გარემოს შენარჩუნება
4. გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება
5. მიზნების მიღწევა
6. ღირებულებების შექმნა
7. ახალი ცოდნის შეძენა
8. არჩევანის გაკეთება
9. პატივისცემით მოქცევა
10. ზიანის მიყენება

IV. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

1. საზოგადოებაში
2. ოჯახში
3. პიროვნებას
4. სკოლაში
5. ოჯახმა
6. პიროვნებამ
7. მოზარდები
8. მშობლიური
9. მოზარდი
10. პიროვნება

V. დაასრულეთ წინადადებები; გამოიყენეთ კონსტრუქცია: არა მხოლოდ....., არამედ...../არა მარტო.....,არამედ.....

1. არა მარტო/არა მხოლოდ კანონმორჩილი, არამედ ტოლერანტი...
2. არა მარტო/არა მხოლოდ გამოცდილების, არამედ მიღწევების ...
3. არა მარტო/არა მხოლოდ ტოლერანტობაზე, არამედ უსაფრთხოებაზეც...
4. არა მარტო/არა მხოლოდ სახალისო, არამედ მრავალფეროვანი...
5. არა მარტო/არა მხოლოდ მსჯელობა, არამედ საკუთარი აზრის...
6. არა მარტო/არა მხოლოდ საკლასო ოთახები, არამედ სპორტული დარბაზებიც...
7. არა მარტო/არა მხოლოდ სკოლაში, არამედ ოჯახშიც.
8. არა მარტო/არა მხოლოდ კონფერენციები, არამედ კონკურსებიც...
9. არა მარტო/არა მხოლოდ შენარჩუნება, არამედ დაცვა.
10. არა მარტო/არა მხოლოდ საკუთარი შესაძლებლობების, არამედ ინტერესების...

VI. დააკავშირეთ წინადადებები

ნიმუშის მიხედვით; გამოიყენეთ კონსტრუქცია: თუ....., მაშინ

1. თუ ბავშვი კარგად იგებს მასალას, მაშინ ხალისით სწავლობს, იძენს ცოდნასა და საჭირო უნარ-ჩვევებს, რომლებიც ეხმარება პიროვნებად ჩამოყალიბებაში.
2. თუ პიროვნება იცხოვრებს დამოუკიდებლად, მაშინ გადაწყვეტილებებსაც მიიღებს დამოუკიდებლად პირად, ოჯახურ თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.
3. თუ სწავლის გარდა მოზარდი შეიძენს საჭირო საკომუნიკაციო უნარ-ჩვევებს, მაშინ ეს ყველაფერი დაეხმარება მას საზოგადოებასთან ურთიერთობაში.
4. თუ ადამიანი გაიაზრებს საკუთარ პასუხისმგებლობას, მაშინ ის არ მიაყენებს ბუნებრივ გარემოს ზიანს.
5. თუ ბავშვი შეიძენს და გამოიყენებს ყველა იმ მახასიათებელს, რაც ქმნის სრულფასოვან ადამიანს, მაშინ ეს ყველაფერი დაეხმარება მას თვითრეალიზაციაში.
6. თუ ვიცხოვრებთ მარტო არსებული ღირებულებების ხარჯზე, მაშინ ვერ შევქმნით ახალ მატერიალურ, ინტელექტუალურ თუ სულიერ ღირებულებებს.
7. თუ სწავლების პროცესში მასწავლებლები გამოიყენებენ თამაშებს, მაშინ ბავშვებში მოტივაციაც მაღალი იქნება.
8. თუ ადამიანები გამოიყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიებს, მაშინ შეძლებენ სხვადასხვა შინაარსის ინფორმაციის მიღებას, რომელიც შეუძლიათ დაამუშაონ და გამოიყენონ დასახული მიზნებისთვის.
9. თუ სწავლის პროცესი კარგად იქნება დაგეგმილი, მაშინ მოსწავლეები არა მარტო კარგად გაიგებენ მასალას, არამედ რთულ დავალებებსაც კარგად შეასრულებენ.
10. თუ სკოლა თავის დანიშნულებას მაღალი ხარისხით შეასრულებს, მაშინ საზოგადოება მიიღებს სრულფასოვან, დამოუკიდებელ მოქალაქეებს.

VIII. წინადადებებში ჩასვით

გამოტოვებული სიტყვები სათანადო ფორმაში:

1. შემოქმედი
2. პათივისცემა
3. აღზრდილი
4. შემუშავებული
5. ზოგად
6. კანონმორჩილი
7. ინტელექტუალური
8. არჩევანი
9. თვითრეალიზების
10. აღწერილი



IX. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

ა)

-მოგესალმებით, ქალბატონო თამარ! თუ შეიძლება, ისაუბრეთ თქვენი სკოლის მისიის, გეგმებისა და მეთოდების შესახებ.

-ჩვენი სკოლის მიზანია აღზარდოს **მოქალაქე**, რომელიც იქნება **დამოუკიდებელი**. ის დაიცავს ქვეყნის ინტერესებს, **ტრადიციებსა** და **ღირებულებებს**. რა თქმა უნდა, ასევე იქნება **შემოქმედი** და თვითონ შექმნის ღირებულებებს და არ იცხოვრებს არსებულის **ხარჯზე**. ის მთელი ცხოვრების განმავლობაში დამოუკიდებლად შეიძენს **ახალ ცოდნას**, იქნება წარმატებული და შეძლებს **თვითრეალიზებას** საზოგადოებაში.

ბ)

-თუ შეიძლება, ისაუბრეთ თქვენი სკოლის ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესახებ, რომლებიც დაეხმარება ახალგაზრდებს წარმატებასა და მიზნის მიღწევაში.

-დიახ, რა თქმა უნდა; აუცილებელია, ახალგაზრდებმა:

- ✓ იფიქრონ და დაწერონ ის, რაც აინტერესებთ, რისი სწავლაც უნდათ და ამ მიზნის შესრულება იქნება ყველაზე მრავალფეროვანი, **სასიამოვნო** და **სახალისო** პროცესი.
- ✓ მათ ასევე უნდა გამოიყენონ არა მხოლოდ **თანამედროვე ტექნოლოგიები**, არამედ წაიკითხონ მეტი წიგნი.
- ✓ მათ უნდა ისწავლონ სხვებთან ერთად, რადგან **ჯგუფური** მუშაობა ყველაზე კარგი საშუალებაა გამოცდილების გაზიარებისთვის.
- ✓ მათ ასევე უნდა ისაუბრონ სხვადასხვა აქტუალურ თემაზე. უნდა გამოხატონ **საკუთარი** აზრი სხვადასხვა საკითხზე.

✓ **განათლება** ყველაზე მნიშვნელოვანია ადამიანის ცხოვრებაში. ახალგაზრდები ყოველთვის იქნებიან მოტივაციით სავსე და უფრო ენერგიულები.

✓ **უწყვეტი განათლება** გულისხმობს **პიროვნების** განვითარებას, შესაბამისად, ასეთი განათლება არის ის საშუალება, რომელიც **უზრუნველყოფს** მათ თვითრეალიზებას საზოგადოებაში. სკოლის ადმინისტრაცია თითოეულ მოსწავლეს წარმატებას უსურვებს.

-ძალიან დიდი მადლობა, ქალბატონო თამარ!

-თქვენც გმადლობთ!

1.3.

I. ა) **გზნებს შეუცვალეთ ფორმა ნიმუშის მიხედვით:**

1. წარმოადგენს
2. შეუშლის
3. გაართულებს
4. შეადარებს
5. გაამარტივებს
6. ჩათვლის
7. მიიღებს
8. გაავრცელებს
9. ჩამოაყალიბებს
10. მიაყენებს

ბ) **წაიკითხეთ წინადადებები და ნიმუშის მიხედვით ჩასვით შესაბამისი გზნები საჭირო ადგილას:**

1. მიაყენებს
2. მიიღებს
3. ჩამოაყალიბებს
4. გაამარტივებს
5. გაავრცელებს
6. წარმოადგენს
7. შეადარებს
8. შეუშლის
9. გაართულებს
10. ჩათვლის

II. **დააკავშირეთ სიტყვები ერთმანეთთან:**

1. მოტივირებული მოსწავლე
2. სმენითი სტილი
3. ინდივიდუალური მიდგომა
4. სასარგებლო წიგნი

5. სასწავლო მასალა
6. თანაბარი ჩართულობა
7. პოზიტიური დამოკიდებულება
8. მოწესრიგებული გარემო
9. მარტივად სწავლება
10. პირადი გამოცდილება

ბ) ჩასვით წინადადებებში ზემოთ დაკავშირებული წყვილები:

1. მოტივირებული მოსწავლე
2. თანაბარი ჩართულობა
3. სმენითი სტილი
4. სასწავლო მასალა
5. სასარგებლო წიგნი
6. მოწესრიგებული გარემო
7. ინდივიდუალური მიდგომა
8. პირადი გამოცდილება
9. მარტივად სწავლება
10. პოზიტიური დამოკიდებულება

III. წინადადებებში ჩასვით გამოტოვებული სიტყვები სათანადო ფორმით:

1. მოსწავლის
2. აღზრდას
3. უნიკალურ პიროვნებად
4. თანმიმდევრობით
5. მარტივად სწავლებას
6. ახალგაზრდებმა
7. ინფორმაციით
8. საგნის
9. მოსწრების
10. მასწავლებლის

V. ჩასვით შესაბამისი ფორმები გამოტოვებულ ადგილას:

1. არა მარტო....., არამედ
2. რომელიც
3. მაშინ
4. მაშინ
5. არსებულის ხარჯზე

- 6. არა მხოლოდ...., არამედ
- 7. მოსწავლეების გარდა
- 8. მაშინ
- 9. მასწავლებლის გარდა



ლიც

VII. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- მოგესალმებით ქალბატონო ანა. თუ შეიძლება, ისაუბრეთ თქვენი სკოლის შესახებ. პირველ რიგში, როგორი უნდა იყოს სკოლის გარემო, ბავშვმა რომ თავი უსაფრთხოდ იგრძნოს?

- მნიშვნელოვანია **მოწესრიგებული** გარემო. მაგალითად, საკლასო ოთახები, ბიბლიოთეკა, ყველაფერი უნდა გვაძლევდეს შესაძლებლობას, რომ ბავშვებმა შეძლონ მუშაობა **ინდივიდუალურად** ან ჯგუფებში. მოწესრიგებულ გარემოში ბავშვები სწავლობენ უფრო მეტს და არიან მოტივირებულები, იზრდება მათი **ჩართულობა** და ხდება **აკადემიური მოსწრების** გაუმჯობესება.

-როგორ ფიქრობთ, რა კავშირია მოსწავლის მოტივაციასა და ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითად ორიენტირებს შორის?

- მაგალითად, თუ მოსწავლე მიიჩნევა უნიკალურ პიროვნებად, ის ყოველთვის **მოტივირებულია**, რადგან ფასდება თავისი ინდივიდუალური **შესაძლებლობებით**, ემოციებით, ინტერესებით, **სწავლის სტილით**, ცოდნითა და გამოცდილებით. მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეს, რომ დამოუკიდებლად ააგოს **ცოდნა**, ახალი ინფორმაცია დააკავშიროს ადრე ნასწავლთან და შეძლოს ანალიზი და თავისუფლად აზრის **ჩამოყალიბება**. შესაბამისად, მოსწავლე დაინახავს სწავლის მიზანს.

- დიდი მადლობა, ქალბატონო ანა, ინტერვიუსთვის, ნახვამდის.

-ნახვამდის.

VIII. ნიმუშის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

1.	2.	3.	4.	5.	6.	7.	8.	9.	10.
ა	დ	ვ	თ	ბ	ზ	კ	ო	გ	ე

IX. იპოვეთ განსხვავებული სიტყვა და მონიშნეთ:

- 1. წესრიგი
- 2. მიდგომა
- 3. რეგულაცია
- 4. განსაზღვრა
- 5. ესგ
- 6. მრავალფეროვანი
- 7. პატივისცემით

8. ხმადაბლა
9. თანაბარი ჩართულობა
10. დამოუკიდებლად

II თავი

2.1.

I. წინადადებებში ჩასვით გამოტოვებული სიტყვები სათანადო ბრუნვაში:

1. მოტივაცია
2. მოსწავლის
3. დახმარებით
4. ეტაპობრივად
5. დაკავშირებით
6. გამოცდილებას
7. ბიბლიოთეკა
8. პიროვნებად
9. ინფორმაციის
10. მასწავლებელმა

II. ა) დააკავშირეთ სინონიმური და ანტონიმური შესიტყვებები ერთმანეთთან აზრობრივად:

1. ძველი-ახალი
2. სწავლა-სწავლება
3. სხვადასხვანაირი-ერთნაირი
4. ხმადაბლა-ხმამაღლა
5. რთული-ადვილი
6. დისკუსია-კონფერენცია
7. ამრიგად-მართლაც
8. გაგება-გააზრება
9. მიღებული-არსებული
10. კონკურსი-ოლიმპიადა
11. რელიგიური-ეთნიკური

ბ) ჩასვით შესიტყვებები საჭირო ფორმით წინადადებებში ნიმუშის მიხედვით:

1. გაგება და გააზრება
2. სწავლა-სწავლების
3. კონკურსსა და ოლიმპიადაში
4. ერთნაირი, სხვადასხვანაირი
5. მიღებული და არსებული
6. დისკუსიაში, კონფერენციაში

7. რელიგიური, ეთნიკური
8. ხმადაბლა, ხმამაღლა
9. ძველი და ახალი
10. ამრიგად, მართლაც

VI. წაიკითხეთ მოცემული წინადადებები. აღნიშნეთ სწორი (+) და არასწორი (-) ინფორმაცია:

1. +
2. -
3. +
4. -
5. +
6. +
7. +
8. +
9. -
10. +

VII. ხაზი გაუსვით კავშირის (ანუ, ე.ი, რომელიც, სადაც, რადგან, როცა, რაც) სწორ ფორმას:

1. ანუ
2. სადაც
3. რადგან
4. ანუ
5. როდესაც
6. რომელიც
7. ე.ი.
8. როცა
9. რომელიც
10. რადგან



IX. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- ქალბატონო თათია, თქვენს კლასში როგორ ხდება მიწოდებული ინფორმაციის დამუშავება?
- რა თქმა უნდა, **ეტაპობრივად**, წინარე ცოდნის დახმარებით, ანუ ვიწყებ მარტივით და შემდეგ **ვართულებ** სასწავლო მასალას.
- როგორ ეხმარებით მოსწავლეებს მასალის **დამახსოვრებაში**?
- ვიყენებ სხვადასხვა აქტივობას, თამაშებს, რაც ამაღლებს ბავშვების მოტივაციას. ასევე ვიყენებ სურათებსა და **ცხრილებს**, ვაწყობთ **დისკუსიებს**. ასეთი აქტივობის დროს ბავშვები მსჯელობენ და გამოხატავენ

საკუთარ ამრებს მოცემული საკითხის შესახებ.

-ანუ აქცენტს აკეთებთ უფრო **ამროვნებასა** და **ფიქრზე**, ვიდრე მართლ ცოდნის შექენაზე.

-დიახ, მართლაც ასეა, რადგან ბავშვმა უნდა შეძლოს მიღებული ცოდნის დახარისხება, **გაგება, გააზრება** და პრაქტიკაში გამოყენება.

-ძალიან კარგი, დიდი მადლობა.

2.2.

I. ა) დააკავშირეთ სიტყვები ერთმანეთთან ამრობრივად:

1. სრული - არასრული
2. საშინაო - საკლასო
3. ძლიერი - სუსტი
4. ქართული ენა - მათემატიკა
5. მიზანი - შედეგი
6. მაღალი - დაბალი
7. დაწყებითი - საშუალო
8. დამახსოვრება - დაზეპირება
9. ზოგადი - კონკრეტული
10. პირადი - საზოგადოებრივი
11. შენარჩუნება - ზიანის მიყენება

ბ) ჩასვით წინადადებებში ზემოთ დააკავშირებული წყვილები:

1. შენარჩუნება - ზიანის მიყენება
2. სრული - არასრული
3. პირადი - საზოგადოებრივი
4. ქართული ენა - მათემატიკა
